

# ჩვენი მწერლობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

24 ივლისი 2009






№15(93)

1516  
2009



ახალი სიტყვა ქუთაისში  
სმა ღვთისა და სმა ერისა  
ჩვენი ბოდიში მერცხლებს  
დიალოგი გიზო თავაძესთან  
ლელა სამნიაშვილის ლექსები  
ლუიჯი პირანდელოს ნოველა  
გია ლომაძის ახალი ბაბილონი  
არტურ შოპენვაუერის პორტრეტი  
ფიროსმანის და ვან გოგის შეხვედრა

# წიგნის თარო







კანდიდატორის ბიარდი	2	ხმა ღვთისა და ხმა ერისა
ბაჟონმარვა	3	ლაშა გიორგაძე დავადავას დღეს ბილმცავთ
	5	ნინო ვახანი ჩვენი გოლფი მარცხულს (ჯანო ჯიქიძის თავანწყვეტილი სილაღე)
ვასკან-ინაერეი	7	სალომე ბენიძე მისურვაბი შრანა შხეძელს (შოაშადა ნატა ვარადაშ)
არგუა	8	გია ლომაძე ახალი ბაბილონი
	19	ელგუჯა ბერძენიშვილი ქორნილი
ერბის ერთ ღვთის	22	დარეჯან სუმბაძე ჩვენი სიმღერა
არეზა	24	ლელა სამინაშვილი ბალი და სხვა ლქსავი
ანკველი შთაბედილა	26	მაკა ჯოხაძე მრისხნა ყვაპილაპი
უსლოთის სხარაბიდა	27	ზურაბ ხასიაი მისიმიზის მბალობალი (არტურ შოგენაშვილი)
ახალი ინაერეი	31	მარინე ტურავა ბარდვეული ლაბინიტი (სოსო ნადირაძის „ბაკისფერი ჩადრი“)
ნავ სხარაბი ბარ თანაბარი	33	გოგი ჩაველიშვილი ნიქო შიროსმანის და ვან გოგის შხეძელა (გამოუქვეყნებული წერილი ძმას — თეოდორს) საქმან ჩვენა ნარმოვაპირის... (დარინა ყურუას ესაუბრეა გიზო თავაძე)
დვალვა	35	ნატა ვარადა ახალი სიტყვა ქუთაისში
რამორაბი	37	კატო ჯავახიშვილი ქუთათურავს
ნანახა	39	ნანა კუცია „შავი ნიგის“ ნათელი (ბიოგრაფიული რომანი შოი არაგვისპირელზე)
კრიბა	40	ნინო ქოქოშვილი სათუთი, უნილაპი კაფაპი (საუბარი ნინო ნიკლაურთან)
მარალი ხალვა	46	ეკა ბუჯიაშვილი მათ ერთად ნახეს... ბიკასო თორნიკე ქუმბურიძე მ.შ.
ნაბი პაბარა ძალა	48	გიორგი ლალიაშვილი ქრისტი იხვა! ბინაროდე!
ახალბარდაპო. ან ქ თხვა	50	ფორე სიმენონი მე და მებრა ერთმანეთს დავაგვანათი ლევან ბრეგაძე მელიკის საპითხი
	52	აქამინდური დამარტოვის ნიშუაპი-5
დვანთის მამარ	53	ლუიჯი პირანდელი მხარხა შემოგვადარი სიკვილი მანდელშტამი და კოტატიშვილი
ბაჟონმარვა	54	
პრეზის მარინა	56	
უსლოთი ნიქა	60	
მონა	63	

ორკვირული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
წებინაშვილის №41  
რედაქცია - (995 32) 96-20-62  
რეკლამა - (995 32) 65-93-68  
გავრცელება - (995 99) 41-95-21  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი - მაკა ჯოხაძე  
კრიტიკა და თარგმანის რედაქტორი - თამარ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიზაინერი - მალხაზ იაშვილი  
სტილისტ-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დეკორატიული - თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელების სამსახური - ლევან კიკნაძე

გარეკანზე: პაბლო პიკასო, ქალი ქუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 აგვისტოს



# სამ ღვთისა და სამ ერისა

ვითარცა გვაუწყებს ღამთაღმწერელი —

მეფე დიმიტრი თავისთან მიიწვევს აბრაამ კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს, გარეჯის მონასტერთა და უდაბნოთა მღვდელ-მონაზონი და ყველა მთავარს მისი სამეფოსი, რათა ამცნოს რეალობის ტრაგიკოზიც და საკუთარი გადაწყვეტილებაც:

— ან განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუდოან, და ან მე მიწოდეს წინამე მისსა... უკეთუ ნარვიდე ყაენს წინამე, დასტურობით უწყი მომკლავს...

არჩევანის წინამე დამდგარა მეფე — შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ან მას მოაკვეთს თავს ყაენი, ანდა, თუკი მითულეთს შეებრუნება, მთელ სამეფოს აუბოვრებს და ნაცარტუბად უქცევს. მისი გამოსვლა სულეერ მამათა და ნარჩინებულთა წინამე ორატორული სიტყვის, პოეტური გზნების დიდებული ნიმუშია, ზნეობრივი მხაღლითის შესაფერისი, რაკილა დიმიტრი მზადაა თავი განიროს ქვეყნისათვის, ქვეყანა კი არ შეიწიროს:

— ან წმებას, რათა ნარვიდე ყაენს წინამე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს.

კათალიკოსიც, ეპისკოპოსნიც, მოძღვარნიც და მთავარნიც გაკვირდებოან მეფის ამგვარი გადაწყვეტილებით და ცდილობენ შეაგონონ: არ არსებობს შენი შემცლებელი, არა ღირს თავის განირვა, სჯავს მითულეთს შეეფარო ანდა აფხაზეთსო.

მაგრამ მტკიცეა და შეუვალი მეფე:

— მე დაესდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემსა, და არ დავიშოლ ურდის ნასულასა.

ბევრგვარ ფიქრსა და განცდას იწვევს საისტორიო ქრონიკის ეს მონაკვეთი, მაგრამ ამერად მარტოედენ იმ გარემოებას დაუკვირდეთ, რომ მეფე დიმიტრის ოდნავადაც არ ეეჭვება, გარდუვალი სიკვდილი მომეღოსო. მაინც მიდის ურდოში და შეუდრეკლად გაუსწორებს თვალს ჯალათის მოქნიულ ხმალს.

მაინც რა მოხდა: მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

მარტივი, ზედაპირული აღქმით, ეს თვითმკვლელობა უფროა, ვიდრე მკვლელობა, რადგანაც პიროვნებამ დაბეჯითებით იცის თავისი ტრაგიკული აღსასრული და ნებით, დახ, ნებით მიეზარება საჯალათო კუჩხისაკენ. აგერ სულეერი მაშინც უშლიან და ვერაფრისდიდებით ეერ დაამლევინეს.

ქრონიკიანი და თვითმკვლელობა? მამ საქართველოს ეკლესიას კიდევ უნდა დაეგმო მისი საქციელი.

არადა, წმინდანად შვირაცხა. მიუხედავად არცთუ სანიმუშო ცხოვრების წესისა, ამ გადაწყვეტილებამ, რომელსაც უნდელი გონება თვითმკვლელობის განზრახვისაგან ვერც გააარჩევს, მოუწინა სამარადისო ადგილი წმინდანთა დასში.

ქართლის ცხოვრების ეს ეპიზოდი არამარტო ილია ჭავჭავაძეს შთაგონებდა პოემას („მეფე დიმიტრი თავდადებული“), არამედ აკაკი წერეთელსაც „ბაში-აშუკის“ ფინალურ მონაკვეთს, რომლის იდეური სარჩულიც ბერი ეგვატაშვილის მონათხრობი კი არ არის, არამედ ეპითალმწერლის ის ბელეტრიზებული ფრაგმენტია.

საისტორიო ქრონიკის მიხედვით, ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ერისთავები ნებით კი არ ეახლებიან შაჰს, არამედ ცდილობენ ყარაღაჯს შეაფარონ თავი და ასე გაექცნენ შაჰის რისხვას ბახტრიონის აჯანყების მოწყობისათვის; მაგრამ იქ მურთუხალყულობანი შეიყრობთ და შაჰის კარზე გაგზავნიან; და კიდევ შაჰივედ მონაპირიკი აღსასრულს.

იაკობ გოგებაშვილი



„ბაში-აშუკი“ კი სამივე გმირი მზადა ეახლბო შაჰს და გულმშვიდად შეეცებოდა გარდუვალ სიკვდილს. და გაზაფხულთობით ხის მფოთვლის მეტაფორას — შალვა ერისთავი რომ მოიძველებოდა და ხეს ქვეყანასთან გაიიფეგებს, ფოთლებს ხალხთან, ვახუშტის ციკლურ შემოტრუნებას კი საუკუნესთან — ისევე ჰკვებავს მეფე დიმიტრის ის მგზნებარე სიტყვები („მრავალმღელვარ არს სანუთო ესე, დაუდგრომელ და ნარმავალ, დღენი ჩვენნი სიწმინდრ და არღიღბრი ნარულენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაჯ ნარსულა სოფლისა ამისგან...“), როგორც ბიძინა ჩოლოყაშვილის მტკიცებას, თანამზრახველის მეტაფორას რომ უნდა დაუბრტოს: ვერც ხე იხარებს მოურწყველად და ვერც ეროვნების ხე, რომელსაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლოთან ერთად ხანდახან წმინდა მოხამებრივი სისხლიც ეჭირავება სარწყავადო. და პირდაპირ იმეორებს წმინდანისა და მეფის გამოსთხოვილი ფრაზას:

— და დღეს თუ განებავს ჩვენთვის ნილად უზედვრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მიეგვებებოთ და მორჩილებით თავს დაედებთ!. საქართველოს ქირიც ნავცილია!..

მაინც რა ხდება, მხატვრული ქმნილების პერსონაჟებად გადაცეცილი გმირების საქციელი თვითმკვლელობას ხომ არ ჩამოჰგავს?

მარტივი, ზედაპირული აღქმით, ესეც, ცხადია, თვითმკვლელობა უფროა, ვიდრე მკვლელობა, რადგანაც სამივე პიროვნულად ეგებება სიკვდილს, ხელსაც არ ატოკებს თავის დასაცავად.



მაგრამ აკაკი წერეთელი სიღრმისეულად რომ გაიანერგებოდა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ერისთავების პიროვნულ ბუნებას, ამ ნებაყოფლობითი არჩევანთა და გამგზავრებით ჯალათის მახვილთან შესაგებებლად, წმინდანთა სახეებს გამოხატავს, წმინდანთა დასის ახალ წერეთა სულიერ სიღაძეს ნათელაფრებს და თავის მიზნობასაც მიაღწევნებს სასულიეროს კართან.

უნდელი გონება შესაძლოა კიდევ წაედავოს აკაკი წერეთელს: საისტორიო წყაროსათვის გადავიხვევია და გმირებს თვითმკვლელობის დამალით ზღაღავ, ვიღამ უნდა დაიფეროს მათი წმინდანობა?!

მაგრამ აკაკი წერეთელი ოცნების სახელმწიფოს რომ ქმნიდა თანამოღახებებთან ერთად, ის ზნეობრივად ფერ-ნაცვალი და ამაღლებული საქართველო თვითვე მოითხოვდა ვეფლასა და ვეფლავრის განსჯა-შეფასებას ღმრსა სულიერების ფონზე და არა ზერელებობისა და მორწმუნებობად გასაღებულ ფარისებლობას; სწორედაც ფერ-ნაცვალი და ამაღლებული საქართველო, რომელსაც დღესდღეობით თუ რაიმე სჭირდება სულიერ ორიენტა-

რად, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის შურაცხება წმინდანად.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.  
უფროდ საიდან ამოჩნდა ეს სახელი?

რაღა უტყვად — ამ ჩანანების პირველად სტრიქონი-დანევე იქ ამოძრავდა იაკობ გოგებაშვილის ლანდი, შემოწმებულ არც არავის დარჩებოდა, უნდელი, ზერელე გონების გარდა, მითუმეტეს, მისი თვითმკვლელობის მცდელობის ცოდაც ასე ძალდაუტანებლად განაძრავდა გიორგი გოგობაშვილის შემწეობით, თუმცე აქამდე არც უნდა მისულიყო საქმე, თუკი წმინდა მონაშეთა პანთეონს გადავაჯავლებდით თვალს.

სხვა რომ არაფერი, მეფე დიმიტრი თავდადებულის სახება და ღვანლი სიყრმბიდანეუ შეგვითვისებია და აპაში-არეჟიკი\* გმირთა გამოთხოვების სცენებს არანაკლებ გვაღვლებდა, ვიდრე მისი მიწმზიდელი სოფეტკი.

ესეც ხმა ერისა.  
და გავრინდებულვართ ღვთის ხმის გაგონების მოლოდინში.

გამოხმაურება

დაგადების დღეს გილოცავთ...

ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ ახალ, მე-13 ნომერს ვფურცლავდი და შუა ზგაში, თუ შეიძლება ასე თქვას, შემომანათა განუმორებელმა, სეველი გამსჭვალულმა გამოხედვამ, ყველგან რომ იცნობ და არსოდეს არ აგერევა სხვისაში.

დაბადების დღეს (3 ივლისი) ულოცავდენ ფრანც კაფკას (1883-1924) და ჩანართში კიდევ ერთხელ შევევლით თვლი დიდებულ მწერლის ნაცნობ ფოტოსურათს. კიდევ ერთხელ გვეცე თვალში მწუხარე გამოხედვა იმ კაცისა, ვისაც განვებამ ამქვეყნიურ საყოველთაო ვარამთან ერთად მიზანად უკურნებელი სენივ არგნა ნილად და შემოქმედებითი სიმნიფის ასაკში გამოასალმა სიცოცხლეს; გამოხედვა იმ კაცისა, ვის თვალშიც იოთხება ჩვეული ნაღველი ღვთისგან რჩეულ-გამორჩეული და, იმავდროულად, საუკუნეთა ქარავანში ვეფლად ტანჯულად შერაცხული ერის შვილისა; გამოხედვა იმ კაცისა, ვინაც გაუგონარი ანდერძი დატოვა (კარგად თუ დადაკორდებით, ვეგბ თვალეგბიც ეს ამბოჯობით ეს ანდერძი): ჩემი ხელნაწერები ცვეხლს მიეციოთ.

ნარმოადგინეთ, რომ შემდგომში სახელმწიფეცილი „პროცესი“ (გვონებ, მწვერვალი მწერლის შემოქმედებისა) დაფურცლოდეს, სამუდამოდ გამარალიყო. გაუგონარი იყო უკანასკნელი გულისნაადილი მწერლისა და ალბათ ამიტომაც არ გაუგონა თანამოკალმე მეგობარმა მაქს ბროდმა და ფრანც კაფკას გამოუქვეყნებელი რომანები შემოუნახა მისიველ კაცობრიობას.

მაგრამ პლანეტის ერთი შევექსედი (სადაც ჩვენც ცვხობობდით), ვეფლავ მეიოხველ ქვეყანას რომ

უნოდედნენ, კარგა ხანს მხოლოდ პროგრესული კაცობრიობის\* მესიტყვეებს სწყალობდა და თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაშიც თავისი ფლავებში ჰყავდა, ვთქვით, ამერიკული მოვარდ ფასტი და ინგლისელი ვეიმიზ\* ოლდრიკი, რომელთაც საბჭოთა კავშირში გაცილებით კარგად იცნობდენ, ვიდრე მათსავე სამშობლოში და ენაცემბრად ოდესცილი ლიტერატორები ამ პერსონებს ამერიკელ თუ ინგლისელ „საბჭოთა მწერლებად“ მოიხსენიებდენ ხოლმე კულურაგებში.

იმდროინდელი ვითარების მარტოოდენ ენდამილის ნარშოსადგენად (მიტერეშმილი თქვენ თვითონ ნარშოადგინეთ!) დაგიმონშებდი მწერალ ვიქტორ ნეკრასოვს. შეგახსენებთ, რომ ეს იყო პროფესიით არქიტექტორი, მეორე მსოფლიო ომის წლებში — ნითელი არმიის ოფიცერი, სტალინგრადის დაცვის მონანილუ და სალინური პრემიის ლაურეატი (1947 წ.) რომანისათვის „სტალინგრადის სანგრებში“. შემდგომში გადაისდებდა და გადაიხვეწა დასაყლეთით.

ვიდრე გადაიხვეწებოდა, 1962 წელს ყურნალ „ნოვი მირის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა უცხოეთში მოგზაურობის ნარკვევი, რომელმაც, სხვათა შორის, ლტერატურის დღეი სპეციალისტის — ნიკიტა ხრუშჩოვის განრისხება და საჯარო ანათემა დაიმსახურა.

ნეკრასოვი წერდა, თუ რაგორ უზერულად უგრძენია თავი (ექვსიოდ წლის წინათ) საბჭოთა მწერლების ჯგუფს, როდესაც ლენინგრადში სტუმრად ჩასულ იტალიელ მწერალს ალბერტო მორავისა რაღაც უკითხავს მათთვის... კაფკას შესახებ ნეკრასოვი გულახდილად აღიარებს: ჩვენ მდუმარედ გადავხედეთ ერთმანეთს და პასუხი ვერ გავცეთ, კაფკას სახელი მაშინ გავოწნილც არა გვეჩრდაო.

და აგვრ, ექვსი წლის შემდეგ, იტალიაში მეგობრული ვიზიტით ჩასულ ნეკრასოვს ქრილობაზე მარლის დააყრინა. და მერე ვინმე დაიბ, დაიბ, იტალიელი კომუნისტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



(აღბათ, კულტურის მოვლენა) საბჭოთა სტუმრებს ამგვარი ნოტივებით უმასპინძლდება:

„მე მესმის, დიხაბუ კარგად მესმის, რომ თქვენ თქვენი შეხედულებანი გაგაჩნიათ ლიტერატურის ამოცანებზე, თქვენი საგამომცემლო გეგმები გაქვთ, მშვენივრად მესმის, რომ მწერალითაგან ვიღაც უფრო ახლობელია თქვენთვის, ვიღაც — უფრო შორეული, და კიდევ ვიღაც სასვენებელი უცხოა. თქვენ რომ თავში მოგხვდეთ, ვთქვათ, ნაბოკოვის „ლოლიტას“ გამოცემა, რომელიც ამჟამად ბესტსელერად ითვლება ამერიკაში, ეს უბრალოდ უაზრობა იქნებოდა. მაგრამ ასე რატომ აჭიანურებთ ფოლკნერის გამოცემას? რატომ არ ბეჭდვით კაფკას? ასეთი სიბეჯითი რატომ ერიდებით ალბერ კამიუს? ბოლის და ბოლოს თქვენ სრულიადაც არა ხართ ეალდეებული, რომ ბამონსზე ისინი ასიათასიანი ტირაჟებით. მაგრამ ყოველი მათგანი ხომ თავისებურად მნიშვნელოვანია, ფრანსუაზა საგანიც კი, ბევრს არასერიოზულ მწერლად რომ მიაჩნია. ეს მწერლები ხომ უაღრესად ტიპური არიან თავიანი დროისათვის, ეპოქის გონებაჯანსუფისათვის. ისინი შეიძლება არ გიყვარდეთ, გააკრიტიკოთ, თუნდაც უკუაგდოთ, მაგრამ არ შეიძლება საერთოდ არ იცოდეთ ისინი“.

ნეკრასოვი იომნებდა ამ ვრცელსა და მზავვე მონოლოგს და გვეუბნებდა: მე მგონი, ეს კაცი მართლს ამბობდა.

ამასობაში თანდათანობით, ნელ-ნელა ლღვდა ყინული. ფურნალი „ინოსტრანინა ლიტერატურა“ აქვეყნებს ფოლკნერისადაც კაფკასაც (იტალიელის მესამე რეკომენდაცია ახლი მომავლისათვის გადაიდო).

ქართულ ენაზეც გამოგზნა (პირდაპირ გერმანულიდან!) კაფკას მოთხრობა „გარდასახვა“, მთარგმნელმა რატომღაც „სეტპორფოზა“ რომ შეარქვა. ეს ბერძნული წარმოშობის საერთაშორისო სიტყვა, ქართულისა არ იყოს, გერმანულ ენაშიც არის შესული და, აღბათ, ცუდიდნებოდა გენიალური მოთხრობის ავტორს. შოდა, სათარაოდ რომ ნდომებოდა, ნეტავი ვინ დაუშლიდა, ვინ აუკრძალავდა? („გარდასახვა“ კაფკას სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული, 1915 წელს).

„გარდასახვა“, სხვა გამოხვევლა დარად, მეც შეიძრა და მომაჯადოვა. ჩვენში უაღრესად პოპულარული პემინგუის უკვე შეჩვეული და, ასე ვთქვათ, ვაჟკაციური სამყაროს შემდეგ — უცდარი სურათი გრეგორ ზამზას ტარაკანად გადაქცევისა, რაც ადამიანური ცხოვრების ვივაგლახისა და ამქვეყნად იღისურულ პიროვნებათა უზომო დაკნინების ჩინებულ სიმბოლოდ გამოიყურება. „გარდასახვის“ კითხვისას თვალნათლივ ხედავ ტარაკანად გარდასახულ ზამზას და სასონარკვეთაში ჩაჯარდნილს იხლა განუგებებს, ჯერჯერობით მართლა არ

გადაქცეულვარ ტარაკანადო (პირდაპირი მნიშვნელობით).

ამ მოთხრობის ყველა კუთხე-კუნჭულის მიჩრტვ. მოჩრტვა ძალზე შორს ნაგვიყვანდა, მე მხოლოდ ჩემი „ენებაში“ მინდა გავიხსენო, კაფკას გაცნობას რომ უკავშირდება.

იმხანად მოსკოვში გამოდიოდა (გვონებ, დღესაც გამოდის) ყოველკვირული გაზეთი (სახელწოდება აჯარ მახსოვს), რომელიც სისტემატურად გვაცნობდა ახალგამოცემული ნიგნების ფრიალ მნიშვნეულ ნუსხას (ყინული ხომ უფრო და უფრო ლღვებოდა).

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, გაზეთმა მოგვახარა, რომ რუსულ ენაზე უკვე გამოქვეყნდა კაფკას რომანი „პროცესი“.

იმავე გაზეთიდან ცნობილი იყო ის ნიგნის მალაიები, სადაც არსებობდა განყოფილება „ნიგნა — ფოსტით“, და ისინი დაუზარებლად ასრულებდნენ ნებისმიერი მკითხველის შეკვითას, ბუარიტ-მონღოლეთიდან იქნებოდათ თუ ესტონეთიდან. ერთი სიტყვით, *широка страна моя родная...*

არ ვიცი, მოგვხსენებთ თუ არა, რომ ჩვენს საყვარელ თბოლისში კარგი ნიგნის (კარგის-მეთქი!) შიგნა გაქვილებით ძნელი იყო, ვიდრე ზუთი-ორაგულისა. ან ცეკაში უნდა გემუშავა, ანდა იმავე ცეკაში მხანდაფიცი გყოლოდა, რომელიც, მართალია, კაფკას ვერ გარჩედა ცეცხტევასგან (აღბათ იმიტომ, რომ ორივენი პრლაბო ცხოვრობდნენ), მაგრამ ფიცკერცხლის ფასი კარგად იცოდა, როგორც

ყველა ქვეშარიტმა ქართველმა.

მე არც ცეკაში მიმუშავია და არც მხანდაფიციები შეხულებოდა იქ, ამიტომაც დიდად მაღლეირი ვიფიცი ცხრა მთას იქით მიმოივანტული ნიგნის მალაზიებისა და, მაღლეირების ნიშნად, სამარადისო ხსოვნისათვის, ყოველი ნაწყალობევი ნიგნის შმუტტილუხე სასოებით ვნერდი იმ ქალკის სახელს, საიდანაც გამახარეს და ფსადაფეგბული საწყურის საფოსტო ხარჯებით რაღაც კაპიკები გადამახდევინეს.

ერთი შევექსედი პლანეტისა მუხლანაუსხელად მონაილიობდა ჩემს ლიტერატურულ აღზრდა-განათლებლაში, და მამარაგებდა და მამარაგებდა... რამელიც დიაბაზონია: მოსკოვი — ფოლკნერი, კიევი — ბოლი, სიმფეროპოლი — სელინჯერი, ტერნოპოლი — სტანინეკი, სოჭი — აპდიაკი და აუსიონოვი, ბრიანსკი — პლატონოვი, ჩელიაბინსკი — ვოზნესენსკი, ხაბაროვსკი — ტენენსი ულიამსი, ვოლოგდა — ნორმან მეილერი (მახსოვს, ტაშკენტიც გადაიდა სამკემი და ტალინდი, ოლინენ ის ნიგნები უგზოუკვლოდ გაქრა ჩემი სიყვად მწირი ბოლოითუქიდან).

შოდა, ნაცადი გზა ვამჯობინე მხანდაფიცთა ძიებებს ცეკა-ტეკაში და, ნინასნარ პესიმისტურად განწყობილმა, ლამის 100 მალაზიას შეუვკეეთი კაფკას „პროცესი“.



ფრანც კაფკა

ქართული ლიტერატურა



თქვენც არ მომიკვდეთ! არსაიდან ხმა, არსით ძახილი... ხახამშრალი დაგრჩი. თქვენ ეგებ მითხრათ, საჯარო ბიბლიოთეკაში ნაღდად იქნებოდა და ნაფეკითხაო. მაგრამ ბორჯომიდან საჯაროში სიარული, ცოტა არ იყოს, რთულია.

დაიხ, ხახამშრალი დაგრჩი. მშობდა და არ დამაპურეს. მწყუროდა და არ მასვეს. მიშველი ვიყავ და არ შემშოსეს. არ შეინყნარეს ჩემი უმორჩილესი ხეენა-ვედრება. იმდენი ვიციხე „პროცესის“ ე.წ. გარჩევა-მიმოხილვე-ბი და სხვადასხვა ჯურის რეცენზიები, რომ დავიჯერე, მბ რომანი ხომ ნაკითხული მაქვს-მეთქი და როდესაც ახალთა ჟამთა გამოცემით, „პროცესი“ ხელთ ჩამივარდა, ჩემდა სამარცხვინოდ, გული ვეღარ დავფუდე (რომანებსაც თავისი დრო აქვს!) და კაჟა პირადად ჩემთვის „გარ-დასახვის“ ავტორად რჩება. მაგრამ განა ცოტაა, ეს მარ-გალიტი ნაკითხული გეონდეს და თავდავიწყებით გიყ-ვარდეს!?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფრანც კაჟა ქართული მკითხველის ერთ-ერთ უსაცვარლეს მწერლად იქცა და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ მოსწავლის საკითხავ ნივნში, რომელსაც „ქართული, XII კლასი“ ჰქვია (შემდგენლები: თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუხაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე), კაჟას ტექსტიც შეუტანიათ.

ამასთან ერთად, მასალაც ზუსტად არის შერჩეული. ნაწყვეტი როდია რომანიდან თუ მოთხრობიდან, არამედ ეს გახლავთ ფრანცის „წერილ მამას“ (დათარიღებული 1919 წლით). მოზარდისათვის ის უფრო უპირანი, მაგრამ მოზრდილთაც ანაც — ვინ არ ჩაუფიქრდება და არ გაითავისებს აგრ, თუნდაც ერთ უმოკლეს ანბაცს ამ წერილიდან: „სულაც არ არის აუცილებელი მშის შუაგულში შეჭრა, მაგრამ დედამისის ერთ სუფთა ნაწილ-ამდე ხომ მაინც უნდა მივსოდე, სადაც მზე ხანდახან გამოიანათებს, რომ ცოტათი გათბობა შეძლოს“.

კაჟას გარდა სხვა ვინ იტყოდა ამას? შესაძლოა, ვინმე პინკის, ყოველი წვეთი სისხლისა ქართულად რომ უჩქეს, ენათმეცნიერის კიდევ ქართველი მწერლების მხარდამარ კაჟას. და სხვა უცხოელ ავტორთა მოკალთება დასახელებულ ნივნში. მაგრამ ისინი ხომ ვარც ხანია უცხოელები აღარ არიან ჩვენთვის. ქართულად ვკითხულობთ სელინგერს თუ კემინგერს და მათი პერსონაჟები ჩვენს ძველისძველ ნაცნობებად გვესახება, ისევე როგორც ქართული მწერლობის დაუვინყარი გმირები.

...დასარულ ვიტყვოდი, რომ სასურველია — უცხოელი მწერლებისათვის დაბადების დღის მილოცვა (თუნდაც ერთი თუ ორი საუკუნის შემდეგ) ჟურნალ „ჩვენი მწერ-ლობის“ კეთილ ტრადიციად იქცეს.

ლავა გიორგაძე

ბორჯომი

ჩვენი გოდები პირცხლავს



ვახო ჯიჟიძის თავანჯატილი სივალა

რუსტიკო სოფლის მერცხალია, თუ გნებავთ, სოფელი დეუძახეთ. ოღონდ სოფელი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მარტო ქალაქის საპირისპირო ცნებად არ უნდა მოვიხაროთ. ეს სოფელი დართო სოფელია, ნუთისოფელი, ამქვეყნად არსებობისათვის განსაზღვრული მოკლე დრო, მცირე ჟამი. მაინც რამდენი რამე უნდა მოასწროს რუსტიკო (მერცხალმა) ან ამ ნუთისოფლის მდგურმა თუ სტუმარმა (აღამიანმა) სიცოცხლეში? — ბუდის (ბინის) ამწედა ან სხვისი საცხოვრებლის ყიდვა ( თუნდაც უყიდ-ლად დაპატრონება), ცოლის შერთვა, ბარტყების (შვილების) გამოჩევა-გაჩევა, დაზარდა, დაფრთხილება, ყოველდღიური ოჯახური თუ სხვა ცხოვრებისეული პრობ-ლემების მოგვარება, თბილ ქვეყნებში გადაღერება (აღამი-ანმავე — რატომაც არა!) და, რაც მთავარია, უკან, შინ, საკუთარ სახლში, მამისეულ საცხოვრებელში დაბრუნება.

როცა ადამიანებს ამქვეყნად უამრავი გასაქირი აქვთ, მერცხლის (თაგვის და სხვათა) უბედურებაზე დაფიქრებ-ჩაუფიქრება მხოლოდ გიყვებს თუ შეუძლიათ. ისეთ „გიყვებს“, როგორიც ჯანი ჯიქიძეა, რომლის მოთხრობა „რუსტიკო და მისი ჯანი“ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2009 წლის მე-7 ნომერში დაიბეჭდა.

გიჟად არ დავბადებულვარო, — დასაწყისშივე გვამც-ნობს მოთხრობელი. მამ რამ გააგაჟა? ლოგიკური შეკითხვა და ასევე ლოგიკური პასუხი იქვე, ნაწარმოებ-შივე გაცემული: „მე შემიკლა ამ რყველებმა: მყიფე მშვი-დობამ, ომმა, მსოფლიო კრიზისმა, „ჭკუის კოლეჯების-აგან“ მშენებულმა ეკონომიკურმა მოვლემამ, მაცდური ელვარებით მოყოქვამმა ხუხულეობამ, მატრიარქატის და პატრიარქატის მგომბელებსიგან რომელიღაცა-ქრატის დაკანონებამ...“

მოდ, და, ნუ შეიშლები შეც და ის მკითხველიც, რომ-ლებსაც მოთხრობა მოგვენონა, ამ ყველაფერისგან ავტორზე ცოტა ადრე (ან ერთდროულად, ან ცოტა მოგვიანებით) გაგაფიქრებლები ვართ. ამიტომ მოგვენონს და ვიზარებთ შეუძლებლის შესაძლებლობის თეორიას და მზად ვართ, ვიბრძოლოთ მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ შედეგს ვერ მივაღწევთ. „თავგანწირულის სულისკვე-თებაა?“ — სწორედ რომ ისაა.

გაცივების უშუალო მიზეზი (ბოლო წვეთი) მაინც 2008 წ. აგვისტო გამხდარა. „ჭკვიანი“ ამა სოფლისანი გვარ-მუნებენ, რომ „ჩვენ არ დავმარცხებულვართ, რომ ეს მხოლოდ ვეუბნებოდა...“ რომ ამ ტრიტიკორები დაევიარ-გავს, არც თუთომეტი და არც ერთი წლის ნინათ, არც





არავინ გაუბედურებულა და, თუ ცრემლი იღვრება, — მხოლოდ სიხარულის.

რუსტიკოსი ბუდე კი სამუდამოდ დაცარიელდა. ამაზრზუნია მიტოვებული, უსიცოცხლო, მკვდარი ბუდე, ეხო, სახლი...

მიტოვებაცა და მიტოვებაც! როცა სხვა დიადი მიზანი, იდეა, პრინციპი გინდევს და გეძახის? დატოვა ზენონმა „მონაგებნი თვისნი“ და ღმერთს უძღვნა თავი. დატოვა აბომ სახლი, კარი, მშობლები, ნათესავები, სამშობლო და ქუმარიტი ღვთის შეცნობით უკვდავებას ეხიარა...

სხვა, როცა ტყვია და უსამართლობა გატოვებინებს შენთვის სულიერად ქცეულ გარემოს (გითის ლოგიკით ასეა). „აღრუულობის შიშები ვისაც არ გამოუცადოს, მან მშვიდობასა სწორფასი ვერ დასდევას, რაზომც ეციდოს“ (ალექსანდრე ჭავჭავაძე). შიშმა მიატოვებინა რუსტიკოსი მშვიდი, მყუდრო, უსაფრთხო, მკვიდრად ნაშენი ბუდე (ცხოვრება).

იქ, ოღონად მიტოვებული სახლი სუნთქავს, ყოველ კუთხე-კუნძულს ახსოვს ნასული პატრონი, ყოველი ხე, ბუჩქი, ყვავილი და ბალახი, ქუჩა, ბილიკი და ქვაც კი მონატრებითაა სავსე, ზღედა ცოცხალია და მანამდე მუდამ მოცეკვავე ნეიმაც ტირის, პაუერც რაღაც მოლოდინთა დაშუბტულს, „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი ვანგებას ციურს“.

იქნებ უკეთესი სახლი მოიხსოვს რუსტიკოს აფრიკაში? იქნებ იქ ადამიანებიც ისეთი კეთილშობილები არიან, რომ ახალგაზრდა მფედრს ნარამარა (ან სულაც) არ უხდება შეიღების გაფრთხილება: „მოდის, მოდის, ბავშვებო, დაიშლებითო“?

შეიწვია და შეეთვისა სოფლის მერცხალი უცხო ქვეყანას, სხვა ყოფას. აღარ ახსოვს ადგილის დედა, არც მიწის ყიფილი ვიწროს. თუ ეს მართლაც ასეა, რუსტიკოსი რუსტიკოსა იქნება? თუ თვითონაც გააფრთხილ-გაუცხოებულ სხვა ჯიშის მერცხლად იქცევა?

ადამიანებისა, მერცხლებისა არ იყოს, ბევრ რამეს ეგუებიან. ნეტავი იმას, ვინც ბოლოს მათსაც ახერხებს საკუთარ სახლში დაბრუნებას — ფიზიკურ სახლშიცა და ცრემლისა და მონანიების გზით — საერთო მამასთან, უზუნავთან.

\*\*\*

ერთი სიტყვით, ვეცადე თამაშა და სიგიჟეში ავყოლოდი ჯანო ვიქიძეს, მაგრამ ბოლომდე ვერ მივყვი. მწერლის თავანჯეტელ სილაღში იმედოდ იკითხება და უიმედობაც, ნარსულის შეფასებაც და მომავლის ნინასწარმეტყველებაც, ეჭვიც და ნდობაც. ნუხს, პოი, როგორ ნუხს მითრობელი იმის გამო, რომ ყველა

უნუგემო ეცოდება, მაგრამ ვერაფრით ენმარება. არადა, მათი დახმარება ხომ მხოლოდ მათი ტკივარის გაზიარებაა, არა თანაგრძობა, არა შეყოფა, არამედ სწორედ გაზიარება, რასაც აკეთებს კიდევ ავტორი.

მოხდენილიადა შერჩეული ეპიგრაფი — რომბუტ ბერნის ღვესის სტრიქონები. მართლაც, ბოდიში უნდა მოუხადოთ თავგებაც, მერცხლებსაც, ადამიანებსაც მავანთა ამბიციებს შეწირული დაწერული საცხოვრებლის გამო, მიტოვებული სოფლებისა და ქალაქების, უპატრონოდ დაგდებული ადგილის დედის გამო...

მოთხრობას მიზიდველობა მატებს განსხვავებული შრიფტით აღწერილი ენციკლოპედიური ცნობები მერცხლების შესახებ. ეს ცნობები იქნებ არცაა დოკუმენტური წყაროებიდან ამოკრებილი და ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. ამას მკითხველისთვის არსებითი მიხედვით არცაა აქვს. მკითხველს მის სინამდვილეში ეჭვიც არ ეპარება, ეს ჩანართები ხომ მწერლის ჩანაფიქრის გარკვევაში გვეხმარება.

მოუხედავად მცირე (თუ დიდი) ცოდვებისა, ადამიანი ყველგან და ყოველთვის ადამიანია, ღვთის ნინამე ყველა თანასწორია და ყველას აქვს (უნდა ჰქონდეს)

უფლება, იცხოვროს თავის სახლში, თავის სამშობლოში. რუსტიკოსს აქვს ჩადენილი ცოდვები — არ იცის ბუდის შენება. ე. ი. ადვინყა ნინამართა ზნე; ბუნებრივ ერთცილიანს სხვა ცოლი მოჰყავს; ზოგჯერ ბარტყებზეც ვერ ზრუნავს სათანადოდ. მაგრამ ადამიანებს შორის გაჯალბული იმის გამო ვაზაფხულზე მშობლები კერას ვერ დაბრუნება მეტისმეტად დიდი, ნარმოუდებელი სასჯელია.

და თუ მერცხალი იმედის სიმბოლოა, ვისთვის არის მისი სერიდაბრუნება ტრაგედია? — ჩვენთვის თუ რუსტიკოსისთვის?

და თუ მერცხალი კაცობრიობის უკეთესი მომავლის მომხსნავებელია, ვის ან რას ველოდით ჩვენ?

ჯანო ვიქიძე რუსტიკოსს დაბრუნებას ელის. და რაც უნდა გამოერგება, გემოვნების პრინციპად, არარიგინალობად ჩამთვალოს, მეც, რა თქმა უნდა, ჩემი მერცხლის, ჩემი რუსტიკოს, ჩემი ნილი ცხოვრების, ამომილი ნღების, იმედის, ნარსულის და მომავლის დაბრუნებას ველი და ველი.

ცხოვრების მწარე სასმელს მიჩვეული ავაკი წერეთელი ახალი წლის ნინა დეკემბერში იმავდ სიმწარეს ელოდა მომავლისგან. მოუხედავად იმისა, რომ ჩემი ხასიათ-განწყობისთვის ასეთი უიმედობა უფრო დამახასიათებელია, მაინც ვაღიარებ, რა ტკბილია ბედნიერი მომავლის მოლოდინი...

**ფრანკლინის ალმანახი — ნახევარ მილიონ დოლარად**

ამერიკის სახელმწიფოს ერთ-ერთი მამა-დამაარსებლის ბუნჯაში ფრანკლინის მიერ გამოცემული ალმანახი სიტბის აუქციონზე 566.500 დოლარად გაიყვდა. აუქციონის დაწყებამდე ორგანიზატორები ალმანახის გაყიდვას 100-150.000 დოლარად ვარაუდობდნენ.

ფრანკლინი ალმანახს 1732-1758 წლებში გამოსცემდა რისად სონდერსის ფსევდონიმით. იქნის დრომდე 1733 წელს გამოცემული მხოლოდ სამი ეგზემპლარი შემორჩა, რომელთაგან ერთი 9 იუნისს გაიყვდა სიტბის აუქციონზე.





სალომე ბენიძე

## ვისურვებდი, ფრენა შეეძლოს

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- როცა გვერდით არაინი გყავს.
- საღ ისურვებდით ცხოვრებას?
- გარკვეული ხნით — აფრიკის რომელიმე ქვეყანაში, საშუალოდ — მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში.
- რა არის უშალესი ბედნიერება?
- როცა გარშემო ყველა კარგადაა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ზე მორიგა და შირინიო "სამოსელი პირველიდან".
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- უფრანკო მეომრები, ვისი სახელეებიც არაინი იცის.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფრიდა კალო
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბეთჰოვენი, შტრაუსი
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ინტელექტს, ერთგულებას, კარგ გემოვნებას.  
— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

- იგივე თვისებებს, რასაც მამაკაცში.
- რომელი ადამიანური სათნოება თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- რაც სათნოებაა, ის, თავისთავად, მომხიბლავია.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- მოგ ზალურობა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- არაინი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- სიჯილტუე
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ჩემი მეგობრები ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ადამიანები არიან. ვაფასებ მათ არსებობას ჩემს გვერდით.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ფიცხი და ფეთქებადი ვარ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?  
— სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარია, ხშირ შემთხვევაში, სულ მცირე მიზეზი მყოფის იმისთვის, რომ ბედნიერი ვიყო.  
— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

- სრულიად მარტო დარჩენა.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- უკეთესი, ვიდრე ვარ.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ყვეთელი და თეთრი
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- გვირილა
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- წერო.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- გურამ დონანაშვილი, კავაბატა.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- ენ სექსტონი, სილვია პლათი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ესთერი პლათის "ზარზუფიდან" და ჰერმიონა "პარი პოეტრიდან"

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?  
— თვითმფრინავის ბიჭები.  
— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?  
— ელისაბედ პირველი  
— საყვარელი სახელები?  
— ეფემია, ალექსანდრე, იოანე, ლაზარე.  
— რას ფერ იტანთ ყველაზე მეტად?  
— უფერულიდ ყოფნას.  
— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?  
— თუ ორი შეიძლება — პიტლერი და სტალინი.  
— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტნაკლები აღტაცებისა?  
— ვერ ვისხეებ ასეთს. ყველა საომარი მოქმედება საშიშრელებაა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უშალეს შეფასებას აძლევთ?

- დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ყველა რეფორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, ჩემი აზრით.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- თუ ნაწილს ვიღებ — ვისურვებდი, ფრენა შეეძლოს.
- როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?
- არა ასაკოვანი.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ძალიან კარგი — საქართველოში დასაბრუნებლად ვემზადები.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ყველა ქმედება შეიძლება, შეინყნარო, თუკი მოსიურებ.
- თქვენი დევიზი?
- „ადამიანებს ისე მოეცეცო, როგორც გინდა, რომ მოგეცეცენ“.



გია ლომაძე, ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, დაიბადა 1953 წელს. სწავლობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ინგლისური ენის ფაკულტეტს. ლიტერატურული დებიუტი შედგა 1977 წელს ჟურნალ "ცისკარში". მისმა პროზაულმა ნაწარმოებებმა: "თაბაშირის კაცი", "პროსაგორდი", "კაცი გალავანზე", "დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები" გამოქვეყნებისთანავე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. თარგმნილია მსოფლიო ხალხთა ენებზე.

ავტორია რამდენიმე პროზაული და პუბლიცისტური ნივთი. 1992 წელს დაწერა პირველი რომანი "პანკს". 1994-1995 წლებში საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი და გაზეთი "საქართველოს პარლამენტის" მთავარი რედაქტორია. 1996 წლიდან 2002 წლამდე რედაქტორობდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დაარსებულ "სახალხო გაზეთს".

2003-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტის მთავარი კონსულტანტია საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და მასმედიაშიან ურთიერთობის საკითგებში.

2003 წლის ბოლოს დატოვა სახელმწიფო სამსახური და დაუბრუნდა პროფესიულ მწერლურ საქმიანობას.

გია ლომაძე

# ახალი გაბიონი

## მივიწყული

ქალაქში უპატრონო ძაღლები მომრავლდნენ და სკვერებს, ქუჩებს, სადარბაზოებს დაეპატრონნენ. უძრავად ინგნენ თუ ისხდნენ, არც ნაგავი იქექებოდნენ და არც ურთიერთობებს არკვებდნენ, გამვლელებს მზერას არც არიდებდნენ და არც აყოლებდნენ, თითქოს სახლებს მიღმა იმზირებოდნენ ტყეადი, მოჩილი მოლოდინით სავსე თვალებით, უძრავად მყოფნი და გარინდულნი — თითქოს პატარ-პატარა სფინქსნი, მოციქულნი დროის წიაღიდან მოვლენილნი

## ბალახში

## ბაბანული მიძვიანი

ნაშუადღევის ოთხ საათზე გამოვიდნენ დასახლებიდან. კაცი მანქანას მართავდა, სვიარტის ეწეოდა და მდუ-მარედ გააყურებდა გზას. მონოტონურად ქოთქოთებდა ძრავა, სირქარის მარვენებელ პანელზე უხილავი, ზუსტი მექანიზმი ცვიო, მექანიკური ლოგიკით აღორცხავდა გავლელ მაშინლს და ციფრებდა ავალბებდა მანძილმ-ზომზე; ციფრებს კი გზისპირა, ერთმანეთისაგან ზუსტი ინტერვალებით დაშორებული თეთრი, ლურჯფირნიშოანი ბოძები ანოშნებ-ადასტურებდნენ მერე.

და უახლოვდებოდნენ ქალაქს, რომელსაც ამ დღლით გამოეცქინე; თბილისში ბრუნდებოდნენ — პატარა ბაბანულში. როგორც კი ავტომაბისტრალზე გამოვიდნენ, ქალმა ქურთუკი გაიხადა. მოყვითალო ანგორის სვიტერი ეცვა, დიდი, მწვანე-მოციფრო თვალები ჰქონდა და ოქროს-ფერი, ზრუჭი, საყარცხელს დაუმორჩილებული თმა.

— გი! — თქვა ქალმა, — გი!

კაცმა კითხვით გამოხედა.

— გიო, ნახე, კიდევ ერთი დიდი აწყვდა... — ქალს ქურთუკის აწყვეტილი დიდი ზელისგულზე ედო და სინანულით დასცქეროდა ავადგონს ქურთუკზე, სადაც დიდი უხედა ყოფილიყო. კაცს გაეცინა და ხელი გადახვია.

— რა გაციენებს? — გაებუტა ქალი, — არ გეყოლები?

- არა!
- რატომ?
- ძალიან გაინტერე-სებს, რატომ?
- ჰო, ძალიან.
- არ გეტყვი — გულ-გრლი იერი მიილი კაცმა.
- უჰ, რა აუტანელი ეინმე ხარ! — ქალმა ხელი მოიშორა და ზურგი ნახ-ევრად შეაქცია, გვერდითა სარკმელს მიყრდნო და თვალები დახუჭა. სახეზე დიმილი დათამაშებდა. საქციარი თამაში იყო, მათ მიერ გამოვლილი თამაში... კაცმა გახედა.



— კარგი — თქვა ბოლოს. — ჟანდაბას ჩემი თავი, გეტყვი იმიტომ, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ!

— კიდევ... — ჩურჩულთ თქვა ქალმა.

— მიყვარხარ...

— მე უფრო... ისევ ჩურჩულთ თქვა ქალმა.

— ვერ გაგიგე, რა თქვი? — კაცმა თითქოს მართლა ვერ გაიგო და ქალისკენ გადაიხარა. ქალი უყვრად მოხვია. კაცმა ძლივს მოასწრო სირქარის კოლოფის გადაღოთვა და დამზრუჭებდა... საყვირის შუახე, გამბულმა მზამ გამოარკვია ორივე. შუა გზაზე იდგნენ და თავს ვეებრთელო, რუსი ტურისტებით გადატყინილი "იკარუსი" ნამოფეგომოდათ.

— გიეი ხარ! — თქვა დარცხვენილმა კაცმა, ძრავა ჩართეს და ავტობუსი გაატარა. შენელებული კადრებით გაიარეს სახეებმა "იკარუსის" სარკმლებში. თითოეულ სახეზე გამკიცხავი გამომეტყველება: "ნახეთ რა, აფე-ილი!"

— უცნაურია, — თქვა კაცმა, როცა ავტობუსმა ჩაიარა. — როგორ უყვართ ყველასათვის ქუთის სწავლება და რა გიფურად, ერთად და ერთნაირად ამქვლავნებენ ემო-ციებს...

— გიო... — თქვა ქალმა. — მართლა გიეი ვარ?

— ჰო, მართლა!

— შენ?

— მე შენზე უარესი გიეი ვარ!

— უეი იგი, ჩვენ ორივეი გიეი ვართ!

— ჰო, ასე გამოდის, — დაეთანხმა კაცი (გიო ერქვა და ქალი შემოკლებით გის ეძახდა) და მანქანა დაძრა. ქალმა ზელის მტევენები ეყვანე შემოიჭიფო, სვიტერი მკვერე, პატარა მკვერზე შემოტემახნა.

— რა მემართება მაინც? — ჩუმად ჩაილაპარაკა.  
 — რა თქვი?  
 — შენთან როცა ვარ, ტვინი მეკეტება!  
 — რაა? რა უცნაური გამოთქმაა...  
 — მე თვითონ გამოვიგონე... „ტვინის დაკეტვა“. —  
 დამარცხელა ქალმა. — კარგია, არა?  
 — არ ვიცი. — მხრები აიჭიაკა გიომი.  
 — სამაგიეროდ ზუსტია! ვერასდროს ნარმოვიდგენდი  
 ამას!

— რას ვერ ნარმოვიდგენდი?  
 — რომ ასე საოცრად შეყვარებოდი!  
 — შე კიდევ სულაც არ მიკვირს! — გადაჭარბებული  
 გულგრილობით თქვა გიომი. — ისევ მათთვის ჩვეულ  
 თამაშზე ინვედა.

— გი... მე არ ვხუმრობ, მე მართალს ვამბობ...  
 თხუთმეტი წლის წინ გნახე პირველად და არაფერი,  
 საშინლად არ მომეწონებ; მერეც არაფერი, წლების  
 განმავლობაში და უფერად...  
 — მართლა არ მოგეწონებ მაშინ?

— არა! რალცნარი იყავი... მეტიჩარა და  
 მოძვლებიჭო.

— შე კი ის, თხუთმეტი წლის წინანდელი, უფრო მომ-  
 წონს ჩემი თეხი...

— მე? თუ სულ არ გახსოვარ მაშინდელი?  
 — არა... თოთხმეტი წლის გალეულ გოგოს რანაირად  
 უნდა მიექცია ჩემი წურადლება? მით უმეტეს, მაშინ.

— ჰო... — ქალის ხმაში სევდა გაერია. — გი... მართლა  
 გვიყვარება?

— ჰო.  
 — იცი რა... არ მყვარა! სულ მგონია, რომ მიმატოვებ...  
 — საიდან მოიტანე?  
 — არ ვიცი...  
 — მართლა უცნაურია, — თქვა გიომი და სიგარეტს  
 მოუკიდა. — უცნაური. თხუთმეტი წელია ერთმანეთის  
 ვიცნობთ, თხუთმეტი წელია, არ შეგვიხედავს  
 ერთმანეთისათვის და უფერად... რა მოგვივიდა მაინც?

— არ ვიცი. — თქვა ქალმა და მართლაც არ იცოდა. —  
 შენ კაცი ხარ და შენთვის იოლია ყველაფერი. ჩემთვის? მე  
 ხომ თითქმის მისი გაზრდილი ვარ. აი, ასე იტყვიან, როცა  
 გაიკებენ.

— რაც უნდათ, ის თქვან! — მოკლედ მოჭრა გიომი.  
 — შენ კაცი ხარ, გი! მე კიდევ არაფერ არასდროს მამა-  
 ბტებს ამას.

— რას არ გააბტებენ? — უცარი ბრახით თქვა  
 კაცმა. — ნუთუ არ შეიძლება გავყვარდეს? ნუთუ არ  
 გვაქვს უფლება ერთმანეთი გვიყვარდეს?

— არა...  
 — რატომ?  
 — არც შენ მამაბტებ მერე, თუკი მიმატოვებ!  
 — რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაფერს მე დამაბარლებ მერე და  
 სწორიც იწებო, ყველაფერი ჩემი ბრალი იქნება!

— შენ? შენ არაფერს დამაბარლებ?  
 — არა, გი... მე საოცრად, სიცოცხლეზე მეტად მიყ-  
 ვარხარ! შენ რომ რამე მოგივიდეს, იმავე დღეს მოგკედე-  
 ბი...

გიოს არაფერი უთქვამს. იცოდა, რომ ქალი გულწრ-  
 დელი იყო და გული დანება, რალცნარი დანაშაულის  
 გრძობა დაეუფლა, ვინაიდან თვითონ არასდროს  
 შეეძლო ვინმე ასე ვყვარებოდა; ასე ბოლომდე, ასე  
 მთლიანად, იმ ზღვარს გადავამბ, სადაც ევოცენტრული  
 „მე“ თავდებოდა და ინვეცია ვეება, უსასრულო, იფუ-  
 მალი სამყარო, რომელსაც ინტუიციითა და ინსტინქტით  
 გრძობდა მხოლოდ...

— გი, — თქვა ქალმა. — გი... მე ლამაზი ვარ, არა?  
 — ჰო, — შეხედა გიომი. — საოცრად ლამაზი ხარ. —  
 მარჯვენა ხელი საჭეს მოაშორა და გადახვია.

მართალიც იყო. მარადიულობასთან წილნაყარი სილა-  
 მაზე ჰქონდა. — მე შენ მიყვარხარ!

— ვიცი. — თვლები დაიხუტა ქალს. — რა კარგი იწე-  
 ბოდა, რომ ახლა, ამ ნუთას მანქანით გადავიჩხოთ ხრამში...  
 თუკი ოდესმე დამთავრდება, ახლა დამთავრდეს.

— საინტერესოა, ვინმე იკისრებს ჩვენს დამარხებას?

— თუკი რამე არსებობს ამქვეყნად, თუკი ვინმეა  
 კიდევ ჩვენს გარდა, სიყვარულის რომ სჯერა, ერთად  
 უნდა დაგვმარხოს.

კაცს არაფერი უთქვამს. გზას ადევნებულ მდინარეს  
 გახედა, უნებურად სიჩქარეს მოუშატა, პირველსავე  
 ჩასახვევში ჩაუხვია ქვემოთ, მდინარისკენ. ღრმად  
 შევიდნენ ბუჩქნარში. ქალმა თვითონ გადანია საფარქელი.  
 თვლები არ გაუხვლია, სახე რალაც დიდის, მწველის,  
 მხურვალის მოლოდინით ავეს...

ცოტა ხნის შემდეგ კაცი ჩამცხრალი, გამოფხიზლებუ-  
 ლი, ქალის თავსზემოთ, მანქანის უკანა სარკმელს მიღმა  
 იხედებოდა და საოცარი უზარდულობის გრძობა ეუფლე-  
 ბოდა, რასაც დაბანგული ქალის სლუკუნი ამბავებდა  
 უფრო. სარკმელში კი მღვრიე მდინარე ჩანდა  
 დაზვიერთული, ფოთლებგაძარცული ბუჩქის ტოტებ-  
 ცხაურში გამომწყვდეული თითქოს.

ქალი ჩუმად იწეა, დაბაბული, გარინდული, თითქოს  
 რალცაცას, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანს ითვლიდა,  
 მერე კი უფერად გაიღვიძა თითქოს, წამოიწია და თავი  
 გაიქცინა; თვლები არ გაუხვლია მხოლოდ, ისევ  
 დახუტული ჰქონდა. გიომ ათასნალოვანი რეფლექს-მოფე-  
 დების გამო აკოცა...

\*\*\*

ჩვეულებრივი გზისპირა რესტორანი იყო, მდინარე-  
 სპირა, საზაფხულო რესტორანი და ახლა, ზამთარში  
 უფრო იგრძნობოდა სიმარტოვე. გზისპირა რესტორნების  
 განუყოფელი ატრიბუტი — უჯრები ნავაზო იქვე,  
 ელექტროლუმენთან ინვა მორჩილი, ტვეადი მზერა-  
 თვალბობით. იქ, სიღრმეში მანანალათა ფარული,  
 მხოლოდ მათთვის ვასაგები სიბრძნე იგრძნობოდა.

შზარეული იქვე, რესტორნის უკან აშენებულ  
 ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. დანჯერადან  
 თუნუქის მიღი გამორჩილიყო, მიღიდან მღვრიე ბოლი  
 გამოდიოდა და სახლი თავზე ტომარანაფარებულ,  
 ჩაცუცქულ, ჩიზხიან მენისქველი ჰვავდა. ებოში,  
 დაჭირბულ თოკზე მამაკისის შარვალი და პერანგი  
 შრებოდა თუ ლღებოდა თებერელის მკრთალ მზებზე.

ჩუმად ისხდნენ ცარიელ დარბაზში. რალაცინარი სიცვი იყო, ელექტროლუმები გაბზარული სიცვიე. გიო ვიტრინის მწმენდავ ხნიერ დედაკაცს უყურებდა; უზურ-გო სკამზე ასულიყო, ნაცრისფერი დოღბანდით მწმენდა ჯერ დართოქლო, მერე დაცვარულ მუშას და მისი ხელის ყოველ მოსაზე იბადებოდა ზამთრის სვედიანი პეიზაჟი ვიტრინის მიღმა. დედაკაცს რეცხვისგან განაცრისფრებული, ნაკერებზე ძაფვათიერებული შავი ფლანელის ხალათი ეცვა, გამხდარ ფეხებზე — ბამბის ნინდები; ხალათი თემოზე ასაჩოდა და მონაცრისფრო საცვლის ტოტები თითქოს ქალადის ნაკუნებით გამოეტენათ... გიოს უეცრად გაეხარდა, რომ ამ საოცრად ლამაზი, ჟანსალი სხეულითა და სიხარულით სავსე მწვანეთვალეზიან ქალთან იყო.

— რატომ უყურებ? — ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.  
 — ფულს ინახავს, ალბათ, იქ. — ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიომ, — ახალგაზრდობაში ხომ არასდროს შეინახავდა იქ...

ქალმა დედაკაცს გახედა და გაეცინა.  
 — ახლა სულ ერთია მისთვის ყველაფერი — უეცარი ბრაზით თქვა გიომ და გაკინებულ ქალს შეხედა. — მას არც კი ახსოვს ის, რაც შენ ასე გსიამოვნებს და გახარებს. არადა, მასაც ხომ ჰყავდა ოდესღაც კაცი, სახით თითქოს თიხისგან გამოქერნილი, უტყვი, უუნო, მორჩილი, როგორც ჯაგლაგი ცხენი გართო და უხეივ, ტლანქი, მომთხვიე სახლი, ღამით... მერე კი, თიხისფერი სახე — დაბრძელებული, დახუჭული თვალები — ჩაღრმავებული, გამხდარი კისერი სრული, ჩაუტყელო, საყვლაგატყელო თეთრი პერანგის გამო და სხუელის მთელი სიმიძიე ჩაეგრძნო მკერდზე — გულზე დაკრებილი ვეება ხელის მტყელები; იქვე კი მეზობლის გულურბყვილო პატარა ბოქო ალვისის მწვანეფოთლებიანი ტოტით ხელში — ბილინი, მსუქანი, ფიუტი ბუზების გამრეკი... მერე კი, შავი ფლანელის ხალათში გახუჭული მარტოობა, გაუაზრებელი, უტყვი, გაუმხელებელი, უთქმელი, შეგუებული, თინიერი, როგორც ძროხა, დაბმული მინდვრად წვიმაში და ბოლოს, იქნებ ერთადერთი ჯიღლო — ძილში სიკედილი, ბედნიერთა ხვედერი...

ქალი ჩუმად იჯდა და ფანჯრის მწმენდავ დედაკაცს უყურებდა...

\*\*\*

— რატომ დაინახე იგი ასე? რატომ მაინცადამაინც ასე? — ჰკითხა, მანქანაში როცა ჩასდგნენ.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა გიომ და მანქანა დაძრა. — ცინიოსი ვარ, ალბათ.

— არა, არა ზარ ცინიოსი, შენ საოცრად კეთილი ხარ... მაგრამ არ გენყინება, რომ გითხრა?

— არა...

— შენ ძალიან ცოტა ვინმეს უყვარხარ... იმიტომ, რომ არაიცი იცის, სინამდვილეში როგორი ხარ...

— რატომ, ნთლუ ასე მწელი ამის ვარკვივა?

— ჰო, ძალიან მწელი! შენ თამაშობ მუდამ, მუდამ ნიღაბს ატარებ თითქოს და მხოლოდ მაშინ იხსნი, როცა მარტო ხარ. შენ შეგნებულად აძულეხ თავს ყველას. რატომ აკეთებ ამას?

— არ ვიცი... თავს ვიცავ, ალბათ. იქნებ მარტოობას ვიცავ? — გაიფიქრა გიომ.

— შენ ხომ ადამიანები გიყვარს, გი... — კაცს არაფერი უთქვამს.

— მისი ხომ ყველანი კარგები არიან... ყოველი ქართველი საოცრად ლამაზია.

— შენ ხარ კარგი... — თქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ გიომ.

— მე მაგაზე არ გამბობ. — თავი გააქნია ქალმა.

— შენ სულ კარგზე ფიქრობ?

— ჰო... სულ...

— არაფერი გწყინს?

— არა!

— არასდროს? — გიომ იცოდა, რომ ეს მართლაც ასე იყო და უეცრად შემურდა მისი, მისი ასაკის, ოპტიმიზმის...

— ჰო, არასდროს. — გაეცინა ქალს; გადამდები სიცილი ჰქონდა და გიოს საოცრად უყვარდა მისი ეს თვისება...

— ერთხელ, მხოლოდ ბავშვობაში, სულ პატარა როცა ვიყვი, — განაგრძო ქალმა. — იაფფასიანი ქვეტელა მძივები გამებნა ბალახში... დიდხანს ვეძებე და ნახეარი ძლივ შევაგროვე. საოცრად დამწყდა გული, დიდხანს ვტიროდი, ძილშიც კი ვტიროდი, მგონი. მერე დღეს ახალი ყელსაბამი მომიტანეს, ისეთივე, მაგრამ იმ ჰირველს, გაბნეულს, ბალახში დიდხანს ვეძებდი კიდევ — რა სულელი ვიყავი, არა?

— არა!

— რა მოგივიდა? სიცილი შეაცვიდა ქალს. — რა მოგივიდა? — გაიმორა ჩემად, დაბნეულად.

— არ ვიცი... დავიღალე, საოცრად დავიღალე, ყველაფრით დავიღალე, ჩემი თავით კი, ყველაზე უფრო დავიღალე... არ შემეძლია ასე!

— როგორ?

— აი, ასე, როცა ყველას ვე ყველაფერს უნდა დავემალოთ, როგორც დამნაშავენი.

— ჩვენ დამნაშავენი ვართ, გი... — ჩუმად თქვა ქალმა.

— რა დავაშავეთ მაინც?

— მე ბევრი რამ, — თქვა ქალმა. — და ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს ამას.

— რას ვერ აპატიებ? იმას, რომ ჩემთან ხარ, ერთად რომ ვართ?

— ჰო... ჩვენ არა გვაქვს ამის უფლება.

— კი, მაგრამ, მაშინ რატომ მელოდენი საათობით ტელეფონთან? რატომ ვხვდებით ერთმანეთს?

— ეგ შენზეა დამოკიდებული, გი... შენ კაცი ხარ...

— მერე რა, რომ კაცი ვარ?

— შენ უნდა გადანყვიტო ყველაფერი...

— მე არ შემეძლია! — თქვა გიომ და უკვე მერამდენად გაიხზრა ბოლომდე, რომ ამ შეველო ყველაფერი შეველო ამის გარეშად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ შემეძლია უშენოდ! შენ?

— მე მითოუშტეს. — ქალმა მზარზე თავი მიაყრდნო. ფრანგულ სწამაში შეხვედრული ნუშის სურნელი ასიოდდა თმას.



— აბა, რა ვქნათ?  
 — არ ვიცო, ის ვიცი მხოლოდ, რომ ძალინ ცუდად ვიქცევი.

— რატომ არ მომიშორე თავიდანვე? — თითქოს გული ამოყოლა გიომ ნათქვამს.

— რანიარად?  
 — სრულიად მარტივად, ისევე, როგორც მილიონობით ქალი იშორებს კაცს.

— არ შემიქლო გი... გესმის, არ შემიქლო. თვითონ არ ვიცო, რა დამემართა. დაგინახე თუ არა, რალაცამ საოცრად მიმიზიდა. მეორე დღეს, სახლში რომ წამიყვანე, ვიჯექი მანქანაში შენს გვერდით, მელაპარაკებოდი და მე კი ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა იქნება, მაკოცოს-მეთქი. არამდროს არავისზე მიფიქრია მსგავსი რამ! გვერა ჩემი?

— კი. — თქვა გიომ. იცოდა, რომ მართლაც ასე იყო; იცოდა, რომ პირველი იყო ქალისთვის...

— არა, შენ არ გჯერა. ალბათ, ათას რამეს ფიქრობ ჩემზე. მე რომ კაცი ვიყო, მეც ვერე ვიფიქრებდი...

— გეყოფა, არაფერს არ ვფიქრობ...  
 — არც გამტყუნებ. ღმერთო ჩემო, პირველად გნახე, მეორედ — მანქანაში ჩავიჯექი, მესამედ კი ლოგინში აღმოვჩნდი შენთან ერთად...

— კარგი, გეყოფა!  
 — მე თვითონ არ ვიცო, რა დამემართა...

— მე ხომ ძალია არ დამიტანებია. — თქვა გიომ და მიხვდა, რომ უხეზად გამოვიტოვდა.

— არა, რასაკვირველია, არა. მე რომ არ მდომებოდა, არც არაფერი მოხდებოდა. სწორედ ეს მაგიერებს. მსგავსი რამ რომ ვითქვამი ჩემთვის ადრე, სასაცილოდ არ მგეყოფოდა...

— მართლაც რა უქნაურად და სწრაფად მოხდა ყველაფერი... წაილაპარაკა გიომ.

— რატომ? — თქვა ქალმა. — რატომ მოხდა ასე?

— არ ვიცო, ალბათ, ორივეს გვაგვიანდებოდა, ორივემ ძალზე ბევრი დრო დაეკარგეთ ერთმანეთთან შეხვედრამდე. — თქვა გიომ და ნამსევე მიხვდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. სიცარიელე და უზადრუკობა იყო მანამდე, გრძობებისა და განცდების იმტაცია მხოლოდ, მის მიერვე გამოგონილი და გარემოებებთან შეხავებული. სიყვარული კი, ნამდვილი სიყვარული, მწყვდი, ევება, დამოუთავი, ამ ლურჯ-მწვანეთვლებმა ქაღმში იყო. ეს მყარად იტყვდა ახლა, როცა უკვე გვიან იყო...

— იცი, თქვა ჩუმად ქალმა. — უბრალოდ, ყოფნა მინდა შენთან, სექსი მეორადია...

— მე კი, — გაეცინა გიოს. — ორივე მინდა, ვინაიდან სხევეგარად არ ვიცი და არც წარმომიდგენია. შენ ჯდოდი, ნადავლი ხარ ჩემი, რომელსაც არავის არასადროს დაეუთობო... თანაც ის გარემოება, რომ საოცრად ლამაზი ხარ, ჩემი მამაკაცური ხიბლის ხილული დადასტურებაა... ხომ კარგად ჩამოვაყვავებდი, არა?

— მე კი, პირადად, ამ კონცეფციამ ყველაზე მეტად სიტყვები, საოცრად ლამაზი, მხიბლავს და მანყობს.  
 — შენ წარმოიდგინე, მეც!

ქალს გაეცინა თავისი გადადებელი სიცილი.  
 — ჩვენ ორივენი ლამაზები ვართ, გი! — თქვა ბოლოს.

— იცი, როგორ მინდა შენთან ერთად ქუჩებში ვისიერნო?

იცი, როგორ მინდა ყველამ დაგვიანახოს ერთად, სტუმრად ვიართო ერთად?

გიოს თითქოს რალაცა ჩანყდა სხეულში. თვითონაც იგივე უნდოდა და იგივეს ფიქრობდა. არაფერი უთქვამს.

ქალიც დუმდა. იცოდა, როცა უკან, ქალქში ბრუნდებოდა, კაცს ყოველთვის უფუჭდებოდა გუნება.

თბილისამდე უხმოდ იარეს. კაცს სწრაფად მიჰყავდა მანქანა. საღამო ჟამს მოაღწიეს ქალქს. ცას მოგვიანებული სილურჯე შეპაროდა და ქვის სახლებით ჩახერგლი დღე დასაძინებლად გაძრომას ლამობდა.

სანამ მანქანიდან გადავიდოდა, ქალი მოხევა და აკოცა. გიო იჯდა სატეზე ზეღებდანყობილი და უყურებდა, თუ როგორ მიდიოდა იგი სადარბაზოსკენ — საოცრად ლამაზი, ამაყი, მზატე ასაკითა და მსუბუქი სხეულით.

\*\*\*

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ტიპური ქართული ოჯახი იყო, ერთპილიანი ოჯახი. მოსამსახურე ნასულყო, ბიჭი ბებიასთან იყო ალბათ და მანქანასთან მოუხდა და მიბრუნება სახლის გასაღებისთვის. წინკარში, ტანსაცმლის საკიდზე მიზნული ბართი დახვდა: „გელოვანებთან გელოდებო“... გრძელი ასოები იყო, ძლიერი, გაკრული ხელით ნაწერი, ტექსტი — ლაკონური, შინაარსი — აქსიომა... კაცმა ბართი უსაყვე დამაგრა და ზეობით, სახელისწიში — თავშესაფარში ავიდა. ქურთუკი გახიბდა, აბრეჭოსლის ქვეშ ტახტზე წამოხდა, ტრანზისტორი ჩართო, პოლიტიური მიმობილიც იყო და ხმას დაუწილა...

ცოლი შვიდი წლით იყო მასზე უფროსი და მან ყველაფერი იცოდა ამქვეყნად. კაცს არც კი ეგონა, თუ იყო ვინმე კიდევ სამეშ, მასავით რომ სცოდნოდა ყველა გასასულელი იმ ვეება მსაბირნიდან, რასაც ცხოვრება ჰქვია; ტანთხელი იყო, სწორ, სიმეტრიულნაკვებიანი, ძლიერი ნებისყოფის, მიზანდასახული, ვარგება და დაქვემდებარებული სხეულით, პრაქტიკული აზროვნების ყაიდდინად გამომდინარეობდა მისი უპირატესობა კაცის მიმართ. მასთან ყველაფერი ნათელი იყო, იცო ქმინდა მათი ერთობლივი ცხოვრების ასის მხოლოდ მივითვის ცნობილი ფორმულებით და რეცეპტებით, რასაც კაცი უსიტყვოდ, მორჩილად მიჰყვებოდა და ყველაფერი კარგად იყო, სწრაფად იყო, სიმშვიდე იყო ყველგან, ყველაფერში. ემოციებიც გონებას ჰქონდა დამორჩილებული და კაცს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ საოცარი სილამაზის მოაზროვნე ქანდაკება იყო იგი... არასდროს შემოდიოდა სახელისწიში, როცა კაცი იყო აქ, მაგრამ ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს სადაღც, რომელიღაც კედელში უხილავი სამზერი მითი იყო გამადიდებელი მუშობი და იქიდან უთვალეთვლებდა იგი მის ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას, ფუნჯის მოსმას (არადა, როგორ უყვარდა თხოთივეს წლის წინ, ოცდასამი წლის მეოცნებე მხატვარს ეს ბრწყინვალე, მოუწოდებელი, იდუმალ არსება და ხატავდა მისთვის, მხოლოდდამხოლოდ მისთვის). გავირდოდა თუ არა სახელისწილიან, რაღაც იცვლებოდა აქ მის დაბრუნებამდე და სახელისწი თანდათან ემსგავსებოდა





ტურისტების დასათვალისწინებელ ადგილს, სახლი კი — მუზეუმს, მემორიალური დაფით შემოსასვლელზე, ხელოვნური არეულობა იგრძნობოდა აქ, სახელოსნოში, გაახრბებული უსწარიგობა — მეოცე საუკუნის მიწურულის მაღალი სტილი...

კაცი ინვა ტახტზე და თავის სახელისნოს ათავაძნებდა, თითქოს პირველად იყო აქ. გრძელ და მაღალ კედელზე, სივრცე-სივრცეზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ეყიდა მისი ნამუშევრების ორიგინალები თუ ასლები (ასლებს შემოქმედებითი უძლეურების დროს აკეთებდა, ხელი რომ არ გამრუდებოდა, არ გაუხეშებოდა); კუთხეში — ერთადერთი ქანდაკება მთელ სახელოსნოში — ასლი უნერი მორისიგანა; იქვე, კედელთან დაუდევრად მინყოფილი ესკიზები, დაუთავარებელი პორტრეტები, კომპოზიციები, სუბდენტობისდროინდელი დაღუსმნული მოღებრტი, ცარიელი ჩარჩოები, სადაც, მდინარის ხეობაში ნაპოვნი ნაცრისფერი ქვა, შესწორებული და უფრო დამსაკავებელი ლოშის თავს; განივ კედელზე ახელდინანს ორი სურათი: ნილეუ და შავი, ერთში კი საოჯარო ფერი, გახაფხულის ნესტანი, ნახამთრალი მინის ფერი, არსად გამოკრებული და გაგრძელებული მერე („უცნაურია“, — გაიფიქრა, — არ ცოტას სჯერდებოან ქალები ხელოვნებაში; კარგად აგნებენ, მაგრამ ცოტას სჯერდებიან...“), კაპაბადის ორი კოლაჟი, გუდაიამილის ორიგინალი, მის მიერვე ნაშუქარი (კაცს არ უყვარდა ეს სურათი; ნაბან წყალს გადაყოლებული ბავშვითი იყო — თუთმინანდა თუ ვირტუალუმა ტექნიკამ დაახრწო იგი, ნამდვილი სისხლით სასუქ ვარდისფერ-მოყვითალო ტკინებზედ აქცია ფიგურები და ელთაბერივი სახეები ავგორც სხულებზედა. კაცმა გაიფიქრა, რომ არასდროს უთქვამს ეს ხმაბლად და არც იტყუად ოდესმე, ისევე, როგორც მრავალ სხვა რამეს), იროსმანის (ასოსონის ქალსაგან ხუთ მანეთად ნაყიდი) საოჯარო პეიზაჟი კახეთის სერიიდან — პურის ყანებში ჩაგულბული მარიამობის თვის მშურვალები და ოფლის მლაშე სუნი, ბავშვქუქ-მელიქოვის ორი ორიგინალი (საოჯარო შრომა, რუმი ნიჭი), რამდენიმე მისი თანამედროვე ეპიკური მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის გამო ჩამოკიდებული მათ გვერდზე, თავისი ორიგინალი — ცოლის პორტრეტი, დახატული თბუთმეტი წლის წინათ (ელა სიყვარულის სინამდვილე ქვეყნისა და არა ისე, როგორც იყო სინამდვილეში და ახლა იცოდა), გაურან-დავი ხისგან ნაკეთები თაროები, თაროებში წიგნები, წიგნებში გაბომბყდეული ექსპლისონები, პოსტექსპრესიონიზმი, მოდერნიზმი, ფოვოზმი, კუბიზმი, დადაიზმი, ანსტრაქციონიზმი, სურრეალიზმი, სივრცეაღიზმი, პრიმიტივიზმი... უმრავლესობა წანახი ორიგინალებში, მაგრამ გვიან, ძალზე გვიან; იქვე დაუდევრად დანაწილი საკუთარი გამოუფენების კატალოგები, გამოქყვები, სადაც მისი ნამუშევრები იყო შეტანილი, წერილები, სტატეტიები სათაურებში: „ახალი სტილი“, „საკუთარი მანერა“, „ორიგინალური ხელნაწი“, „თვითმყოფად“, სათაურებს მიღმა სხვის ნასუფრალზე გამძღარი სწობები, აქვე, კედლებზე კი ზოგი მათგანის პორტრეტ-პონორარი... ფოტოსურათები ცნობილ პირთნებებთან, თანამედროვეებთან, უძლეურება ფოტო-

ობიექტივის უცთუნებელი თვალის წინაშე და შედეგადანაჩენი: ეპიკურეზობის დალი სახებზე; იქვე შიკასის მავ-თური ფოტოსურათი წარწერით (ფლომასტრის მსუქანი კვალი კუთხეში. გაახსენდა, როგორ აღმოჩნდა იუკოსლავიელ კინოდოქუმენტალისტებთან ერთად უცვრად, მოულოდნელად სხვა განზომილებაში. ისეთივე გაუგებარი იყო მხატვრის თანხმობა გადაღებაზე, როგორც ბეერის მისი ნამუშევარი. თვითონ კი მოძრავი, როგორც მინდორის პატარა მდღენელი, სამყაროსთან ერთად გაჩენილი და მარადიული. კაცს არ უთქვამს მამი, რომ მხატვარი იყო თავად. „სწობი ვარ“ — გაიფიქრა მერე, მაღრიდის იმ სასტუმროში, სადაც „მუხუთე კოლონა“ ინერებოდა. — „სწობი ვარ, ბითური სწობი.“ გაოგნებული იყო წანახით, ფრთებმეტრუსული, პატარა და უმწეო, უფურული, დაშის შეპულსახითი. ერთი წლის შემდეგ მოკვდა ევროპის უკანასკნელი მხატვარი, დასრულდა უწყვეტ გაჭეტი, მახართი დაწყებული; მოკვდა ევროპის უკანასკნელი მხატვარი და გაუგებარი წინასწარმეტყველება დატოვა სხვა გალაქტიკებიდან მოსულ მკვლევართათვის, ალბათ...), მიუხეზნენ ნაყიდი დიურის ავტომორტრეტის ასლი (ნამდვილი მხატვარი ნამდვილი სიცოცხლით! ღვთაებრივად ღამაში, სიცოცხლით სავექ მარადი შეყვარებული, სავეც ცხოვრების ტრეიალით და სამყაროს სიყვარულით, ნამდვილი, თბილი ფერებით დახატული სიმართლე, ქვეული ფერწერით, მაღრიდის იმ სასტუმროში სივრცე მოპირდაპირე კედელზე...)

კაცმა მის მიერ დახატულ ქალებსა და კაცებს გახედა: „ნებისმიერი გამოადგება ცოლად ნებისმიერს“, — ორთხილი გაიფიქრა. — „პანქოსავით შეიძლება აიგრას სუველა, უთვალაჯვერ შეცვალო ხან ცოლი, ხან ქმარი და კმაყოფილება იქნებან, ერთნაირები არიან, ერთი აზრით დამუხლებები“. მაგრამ ეს ნაფიქრი არც ერთ სახეზე არ ჩანდა, არც ერთ მის მიერ დახატულ სახეზე, ყველა პორტრეტში სიცრუე იყო, მოწონებელი, აღზვევლის სიცრუე. გაახსენდა ერთ-ერთი თავისი სურთუნების ნათქვამი წრფელი: „მე არ შემიძლია თბილი ფერებით ხატვა ჯერ, არ გამომიდის და არ მინდა მოვიტყუო, არავის მოტყუება არ მინდა!“ და ამ გახსენებაზე კაცი მიხედა, რომ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ მასზე, წერდნენ, ისეთივე სიცრუე იყო, როგორც მისი პორტრეტები. ფერები კი, რომელსაც თვითონ ქმნიდა, შუქრდლები შეხამებით მორანდა თბილი, სინამდვილეში კი ცივი იყო, ცივი, როგორც სიცარილე... „ცხოვრება კი, — გაიფიქრა კაცმა. — აუტანებლია, იქნებ შაკარი, მაგრამ თბილი, ბოლომდე თბილი!“

აბგა და შუქი გამოიშრა. სიბნელეში უფრო ხმაბლდა გაისმა მელოდია ტრანზისტორიდან. სწორედ ამას უსმენდნენ ის და გარკაც პუნენრისტო ოციოდ წლის წინ. გარკაცას საოჯარად უყვარდა ვან გოგის „ტუსალთა სეირნობა“ და აუტომორტრეტე მოჭრილი ყური“, ჯიმი ჰენდრიქსი და ბრაი ჯონსი; მას კი ზოსიხი და ედუარდ მუნკის „კვილი“, ჯონ ლენინი და ჯიმი მორისონი. გახუნებული ვინსენტი ვეცუთა ორრეცს და მოვალეობის, ზონრებზე შესაკრავი, დაჭრლიძირანი ფესცემლები; წვერმოძებულნი, გამხდარი მხრებით და სახეებით...





გარკია პლენერისტი უცნაური პეიზაჟებით: ზემოთ ცა, ქვემოთ — ხეები უმინოდ, კოლუმბი პაპიროსი „აზაზეგი“, პაპიროსში აზაზა. „რას აკეთებს ახლა გარკია, სად არის?“ — გაიფიქრა კაცმა. გარკია პლენერისტი თხუთმეტი წელია, ავსტრალიაში იყო ბოძისითან მკარხუნას ენევა, უნაწურ პეიზაჟებს ხატავს ისევ, ოღონდ ახლა ხეები მინაზუ დაბნა, ალბათ...“

ნოსტალგია — პეიზაჟისტთა ეიბო... ჯიმი შენდრიქსი ნარკოტიკებისგან მოკვდა, ბრაი ჯონსი — საკუთარ აუზში იპოვეს დამხრწავალი, ჯიმი მორისონს გული გაუსკდა, ჯონ ლენონი კი მოკლეს...

რეტროპროგრამას ასე გადმოსცემდნენ ტრანზისტორიდან: „მანკისები“ და ერეკ ბერდონი მღეროდნენ... „ორმოცდარვა ზომის ტანსაცმელს ვატარებები მაშინ, რა შეუმწივლად გადავედი ორმოცდათორმეტზე, სამოცდაათი კოლოგრაზიდან — ოთხმოცდაშვიდზე... ნელინაფში თითო კილო; კიდეც ოცი წელი — ოცი კილო, ზომამ რომეღია ყველაზე ღილი ზომა? სამოცი?..“

თამაზ დიასამიძე რესტორნის ინტერიერებს აფორმებს ფიროსმანის მოტივებზე; კვადრატული მეტრის ხუთასი მანეთი ფიროსმანის მთელი მინიერი ცხოვრების საფასური ერთ კვადრატულ მეტრში!

მაია მებრეველი — ვიქტორ ცარას ერთგული მიმდევარი... ყურადღების მიმქვეყი ქუჩაში ხმაშალაი ლაპარაკითა და მანერებით, ზეთის საღებავებით დალაქავებული ქვედატანით, ქუსლებშითელილი ფეხსაცმელით, სატინის დაქუმებული ლურჯი ბლუზითა და კონტრასტული, კარატიანი ბრილიანტის თვლით საჩუქრებელ თითზე. სოცრეალიზმზე წერს ახლა, არაფერს ხატავს და სხვის ნაბატებზე წერს. ჩემზედაც აქვს სამი ბოთური წერილი.

გია ლალიძე?.. მეოთხე სასჯელს იხდის ახლა. ძალი გაშოვა და ჯერ სანახავად, მერე ფულის სათხოვნელად მოვა, მორცხვად აიღებს და ნავეს დასცავს და მესუთედ ჩასაფრდობდა...

ეკა იაშვილს სამი ბავშვი უყავს და მდღენე ქმარი, გშულია მხარჯველი, მაგრამ გულლიაობის მიღმა თავის ქალმა პატარა ნადირივით გამომწყვდეული ფხიზელი გონება და უფილოზოზა არა მისი წრის ხალხის მიმართ... ეკას გია ლალიძე უყვარდა, სანამ მესამედ ჩავადებოდა, მანამდე უყვარდა, მერე კი ვერ გაუღლო...

ლალის მეოცე წელია ვუყვარვარ! ბედნიერი და უბედური ერთად... საბავშვო ჟურნალს აფორმებს, ძალიან კარგად გაამოსდის და ლექსებსაც წერს, ოღონდ დაღებისათვის...

დიტო გაბუნია კი ხატავს, ვიუტად ხატავს. ხელის ცვენებით მიოკლევს გზას ბნელ გვირაბში და გაღანებს, აუცილებლად გააღანებს სინათლეს, ოღონდ იმ ილუზორულ სინათლეს არა, მე რომ გავაღნიე, ნამდვილ სინათლეს გააღანებს...

გელა არსამე? სანყალი გელა, „მგელი ბიჭი გელა“, ვითომ სასტიკი, გულგრილი, პოზიოთი ბავშვი, კომბინაციით ნოქსირო-კოტაპრინი ნაყვანილი დევიწყობის ქვეყანაში. რა საწყლად, მიუხაფრად ინვა ნაცრისფერი სხეულითა და ლაქებით ტანზე იქ, პროპეტურის მაგიდაზე...

მერაბი? საოცარი ჭაბუკი ლამაზი, საესე გადაშმები სიხარულით, დარჩენილი სამუდამოდ ოცი წლის ექსპანსიურ ჭაბუკად... თავიდან ყოველ წელს იკრიბებოდნენ მის საფლავზე, მერე კი ხან თინო არ მოვიდოდა, ხან ვირ. ვითომთ ათი წლის წინათ იყო უკანასკნელად...

„არასდროს ვითვლიდი თარიღებს საფლავებზე ადრე“, — გაიფიქრა კაცმა. — „ახლა კი ვითვლი: 1945-1946 — სინანული, 1930-1980 — შიში, 1899-1989 — შური, იმედი, იქნებ მეც? რატომაც არა?!. რა კარგი იყო, ნიგნებს როცა ეკითხულობდი, რა საოცარი დრო იყო, კითხვა რომ მიყვარდა... ბედნიერი უფლისწული“ და „პატარა მინდიცო...“ „არა, მახრობოლა გველის დაბატვა კი არ მინდა, სილო რომ გადაეყალბა, ბატკანი დამხატე!“

საოცარი იყო... ბედნიერი უფლისწულის თვითგვემა ყველაზე მაღლა რომ დგას და ამივით ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს ცუდას... „ესენიც მაღლა დგანან!“ — გაიფიქრა კაცმა თავის პორტრეტებზე. — „მაგრამ ვერაფერს ხედავენ არ უნდათ, დანახონ...“

კაცი ინვა ბნელ სახელოსნოში, რეტროპროგრამას გადმოსცემდნენ ტრანზისტორიდან: „ნარმოიდგინე, რომ ქვეყანა მშენიერია!“ — ისმოდა შორიდან ლენონის სეფდობის ხმა. ბალახში გაბნეული მივიღბს მებნეული გოგონას დაბატვაზე ფიქრობდა ვიო, მაგრამ ექონიდა, ვერ დაბატვდა, ვინაიდან ბეერი, ძალზე ბეერი მძივი იყო დაკარგული და აქამედ არც უფიქრია, არ დაუთვლია ისინი... „ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ, — ორმოცისაც არა ვარ...“



მხატვარი სოფო ელიაშვილი



\*\*\*

დესანტი

— რატომ არ მოხვედრი გუშინ გელოვანებთან? —  
შკითხა დილით საუზუნისას ცოლმა (ისეთივე სახე ჰქონდა,  
როგორც ოცი წლის წინ — არც ერთი ნაოჭი). — ყველანი  
გელოვანნი.

გიომ მზრები აირეკა.

— რა უგუნური ხარ. — გაეცინა ქალს, მაგრამ  
უბრალოდ, ლაღად, დაცინვის გარეშე. — ნუთუ მართლა  
ფიქრობ მასზე?

— ვისზე?

— ამბობენ, მის ქმარს დიდი ფული აქვსო. —  
განაგრძო ცოლმა. — სიტყვა „ფული“ ოდნავ შესაშინებს,  
ცივი, აზურნადამგდებ ინტონაციაში გაახვია, ირონიულობის  
ბრჭყალებში გამოამწყვდია თითქოს. — ისევე ისეთი  
ლამაზია? ხალხური ფერის თმა ჰქონდა, ოქროსფერი და  
ჯოჯობდა ხშირი, რამდენი წელია არ მინახავს, ათი მაინც  
იქნება. მამამისის დეკრძალვაზე ენახე ბოლოს. შენ  
სახლვერგარეთ იყავი მაშინ.

გიომ დგომა.

— არც მიკვირს, ასე რომ იქცევა. აბა, რა შეუძლია  
ფულს იმზე მეტი, რაც შეუძლია. მუდამ ასე ხდება, როცა  
ფულზე თხოვდებიან!

„ნიჭზე როცა თხოვდებიან?“ — გაიფიქრა გიომ. — „და  
მერე ისრუტავენ, ნოვან ამ ნიჭს, რათა თავიანთი ყოფა  
გაიხარებოდნენ, ობობაა ყოფა.“

არაფერი უთქვამს, ეს ადრე უნდა ეფიქრა, ჩვიდმეტი  
წლის წინათ.

— თუმცა, არც ვამტყუნებ. აბა, რა უნდა ექნა? ძალიან  
უჭირდათ. სულ გული მწყედობდა, როცა ნამოხარდა,  
იმდენად ლამაზი იყო, კარგი და სულ ჩაუტყველო. ჩემს  
კბენას ვაძლევდი მუდამ. არ იხსენებ? ძალიან უცნაური  
გოგო იყო. ნარამარა ვარბოდა სახლიდან და ამიტომაც  
გათხოვდა ასე ადრე, მგონი ჩვიდმეტისაც არ იყო. ახლა  
რამდენის იქნება? ოცდაცხრის ან ოცდაათის. დღემოთ  
ჩემო, რა სწრაფად გარბის დრო... იქნებ მოგეცვანა  
ჩვენიან?

— არა! — თქვა გიომ, — არა!

— როგორც გინდა, იქნებ მისთვის ასე ჯობდა... შენ  
ხომ იცი, რე მენი ვართობის წინააღმდეგ არ ვარ. იმის  
შემდეგ, რასაც შენ აკეთებ და მუშაობ, სამართლიანად  
იმსახურებ ისეთ ვართობას, როგორც განცობს! —  
ქალმა სამაქრიდან მაქრის ნაჭები ამოიღო და ფინჯანში  
ჩაუღო. — მაგრამ ის, რაც ვართობა შენთვის, მისთვის  
შეიძლება საზღაფრეველად გადაიქცეს. გინდ დიჯერე და  
გინდ არა, არ შემეცლება საამისოდ...

გიოს რაღაცა ჩასწყდა, მაგრამ ვერ არ იცოდა, რა  
ერქვა ამ რაღაცას, არაფერი უთქვამს

— არ დაგვიწყდეს კულტურის სამინისტროში შევლა,  
გელოვანებთან. — უბრალო ცოლმა, როცა სახლიდან გადიოდა,  
— ახალ გამოფენაზე მოვლასპარაკ სპაზ გელოვანს!  
— დღეოფელი იყო ბუნებით და შინაარსით და როგორც  
ყოველ დილით, ლოყა მიუშვირა საკოცნელად. გიომ  
აკოცდა და გარეთ გავიდა.

ქარი ქროდა.

თებერვლის ქარი იყო, თოვლნარევი...

დიდი ქალაქის მთავარი გამზირიდან უ ე ც რ ა დ  
გაუჩინარდნენ ქალთა სქესის წარმომადგენლები და  
მათთან ერთად გაქრა „კარდენის“, „მანელის“, „წინა  
რიჩის“, „არამანის“, „ველდენის“, „გილა რომის“ ბრწყინ-  
ვალემა, სურნელი. გაქრნენ და თან გაიყოფენ ლიმლი,  
თავაზიანობა, სიცხილი, კეთილშობილება, შეყვარებულთა  
მთავარული სიარული...

დაცარიელდა სახელობითი ბირყები სახლების  
კუთხებთან და რესტორნების შესასვლელთან. გაქრ-  
ნენ „შტატნიკები“, „ბიტნიკები“, ბერბიჭა „სტალიაგები“;  
დილის ლოთებიც კი, გამზირის ეს ვანუერელი კოლორიტი-  
ატრიბუტები საგულდაგულად დაეარცხნელი თმით;  
ისინიც კი გაუჩინარდნენ სადღაც... ძველი, ვადასულო,  
ვახუენებული აფიშებდა შემორჩა გამზირის, თითქოს  
გაცრეცილი სამოსი — მწუხარე დასტურის-მოგონება  
ადრინდელი ბრწყინვალეობისა. ნაქსოვ, მავ თალფაქებში  
თავდამაღლებმა და ასევე შუქ სათბურებ-  
„ტელეგრაფიკებში“ შემოსილმა, წვერგაუპარსება ფსევ-  
დო-პროლეტარებმა აავსეს გამზირის ტროტუარები;  
ქალაქის მთავარი ქუჩა — სოციალური პოდიუმი ქანცრ-  
ისფრდა და ჩამავდა, ომის დროს ევაკუირებული ქაზინის  
გრძელ, ეგება, გადაუხურავ საამქროს დაემკავსა.

გამზირი, ქალაქის გული უცვლად იქნა ოკუპირებული  
შევ თალფაქებსა და შავსავე „ტელეგრაფიკებში“  
შემოსილი მამრების მიერ, თითქოს დესანტი, გადმოსრო-  
ლილი დროის ცდომილებით მეოცე საუკუნის პირველი  
ოცნლეულიდან ამავე საუკუნის ბოლო ათწლეულში...

მაღლიარი შკითხული

ეროვნული მოძრაობის მიტინგზე მიმავალ ციხობლ  
მწერალს, პროზაიკოსს, ამ ფენში არსებული თხოველი  
ყველა პრემიის ლაურეატს, რევაზ ბურჯანაძეს ავტომან-  
ქანა გაუფუჭდა; მიიღოდა, მიიღოდა და უეცრად ძრავა  
გამორთო, რის შემდეგაც ვერცხლისფერმა „გაზ-24“-მა  
ინერციით კიდევ ოცდაათიოდე მეტრი გაიარა და  
საბოლოოდ გაჩერდა. გასალების გადაწვე-გადამონევამ  
ვერ უშველა. სტატუსური კი ხრიალებდა, მაგრამ ძრავას  
ვერ იყოლიებდა.

ციხობლი რომანსტი მანქანიდან გადმოვიდა, კაპოტი  
ანია და მის იდუმალი, მუცნობი სამყარო გადაიშალა,  
რომელიც მიღების, ზუფების, სადინარების, კონდე-  
სატორების, რელევების, ცილინდრებისა და სხვა მრავალი  
წარმომადგენელი თუ მსხველმანის, მისთვის აბსოლუტურიად  
გაუგებარი მონყობილობებისგან შედგებოდა. რევაზ  
ბურჯანაძისთვის ავტომანქანის, ანუ სატრანსპორტო  
საშუალების ექსპლუატაცია საქმის ტრიალში, მუხრუჭისა  
და აქსელერატორის სატერფულზე ფეხის დაჭერასა და  
სიქარეების კოლოფის გადართვამი გამოიხატებოდა  
მხოლოდ.

მწერალი იდუმალ, მუცნობ, გაუგებარ სამყაროს  
გაერიდა და მანქანის გვერდზე, გზის სავალ ნაწილზე  
დგდა. მიმოიხედა. ცენტრალური ქუჩის ერთ-ერთ



განმტობაზე იმყოფებოდა. ქუჩა ცარიელი იყო. სახლების დასადგომიდან უსიცოცხლო ფანჯრები იშორებოდნენ — თითქოს მაკეტო ტონსტუდიის პავილიონში. მოსდა ოცობა ნაიჯოში კონფერონის ჯიბური იდგა ჩასხვრეული შუშებითა და ყურმილაგლეჯილი აპარატით. რვეაზ ბურჯანაძემ ყურმილის უშვოდ გადმოაიფიქურა. მულ სადგენს მზერა მონიჭებდა და სათრედ დაიხედა. მიტინგი ნახევარ საათში დაიწყო. ერთ-ერთი პირველი გამოსულა მისი იყო. სამიტინგო სიტყვის ტექსტი ჯიბეში ედო, რომელიც პრესისთვის იყო განკუთვნილი, თორემ სიტყვას, რა თქმა უნდა, უნებრად იტყუა.

რვეაზ ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ მოავლო მზერა უკანდელი ქუჩის და სახლების უსიცოცხლო ფასადებს. ამ სიცარიელისა და უკაცრიელობის მიზეზი მიტინგომანაა იყო, რომელსაც ნისლივით დაებურა ქალაქი და ეგზალტირებული მოსახლეობა არ ნაწილად ექცია: ერთი ნაწილი — აქტიური, მიტინგებში მონაწილეობდა; მეორე — პასიური, საკუთარ სახლებში, ბინებში ტელევიზორებთან ისხდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალყურს მოვლენათა მსვლელობას.

ქუჩის ბოლოში რამდენიმე სატვირთო ავტომანქანისგან შემდგარი ავტოკოლონა გამოჩნდა. სატვირთო მანქანების ძარბებზე მოქალაქეები იდგნენ ტრანსპარენტებით ხელში, რომლებსაც მოძრაობისგან წარმოშობილი ქარის გამო ძლივს კავებდნენ. თითქოს თეთრ ტილოზე შავი ასოებისგან შემდგარი ტექსტები: „სასრულ — ხალხთა საპრობლემა!“, „ოკუპანტებო, გადით!“ „ძირს კომუნისტები!“ — საბარგოებიდან ჩამოხრბომისა და გაქცევის ლამობდნენ. კოლონას წინ თეთრი ფერის „გაზ-24“ მიუძღვარდა, რომლის უკანა ნატიყვიარები; ასეთი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა ამ ნახევრეტებს). მანქანის სალონიშ კაცი იჯდა, მუსხლზე ბლოკნოტი ედო და რაღაცას წერდა.

ცნობილ მწერალ რვეაზ ბურჯანაძეს ხასიათი კიდევ უფრო ნაუბდა, ვინაიდან ბლოკნოტზე თავდახრილი პროზოება მისი კოლეგა და მრავალწლიანი კონკურენტი სამწერლო ასპარეზო როგამ ვათაძე გახლდა.

„ერთი ამას უფრო!“ — გაფიქრა რვეაზ ბურჯანაძემ. — „კომედიანტი თეზისებს წერს მუსხლზე“.

ავტოკოლონა რომანისტს გაუსწორდა. წინა საბარგო მანქანაზე რამდენიმე კაცმა ცნობილი მწერალი იცინო და ერთ-ერთმა მათგანმა კარგად დაყენებული სამიტინგო ხმით უნემოდან დასძახა:

— რეხო ბურჯანაძეს გაუმარჯოს!  
— ვოსი ვოსი ვოსი! — ხმაშიწყობილად აიტაცეს ძარბზე მყოფებმა და ზეალმართული მუშტებით შეძახილის ტაქტში დაიქნეს.

კმაყოფილებისა და სიამოვნებისგან რვეაზ ბურჯანაძე ნელში გაიმართა, მხრებში გაიშალა, მარჯვენა ხელი მისალმების, სოლიდარობის ნიშნად მალა აწია და ასე ხელნაწილი იდგა, სანამ ბოლო სატვირთო მანქანამ არ ჩაიარა.

— ბოდიში, ბატონო, თქვენ რეხო ბურჯანაძე არ ხართ? — მოსმა უტყვარად მწერალს.

მომრწმნა. მის გვერდით ცისფერი „ფიგლო“ იდგა. მანქანის ორნი ისხდნენ: საქსთან ახალგაზრდა, ხოლო ქალბა, ალბათ, მისი ნინის კაცი — გვერდზე, და გალიმებულ სახებზე ეტყობოდა, რომ სათრედ მის იყო შეკითხვის ატვირთი.

— დიას, მე გახლავართ!

— ოპ, ბატონო რეხო! — მანქანიდან გადმოვიდა ქალბა კაცი. — ვერანაირად წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე გავიცნობდი ბაგრატ ჯანდიერი! — მორიდებით გაუნოდა ხელი. — რა მოხდა, რა მოუვიდა? — მივიდა მანქანის ახლილ კაპოტთან.

— არ ვიცი, გაჩერდა. — მხრები აიჩჩა რვეაზ ბურჯანაძემ.

— ჯუმბერ, აბა, გადმოდი! — გასძახა საქსთან მჯდომს ბაგრატ ჯანდიერმა. — ბატონო რეხო, ჩვენ მანქანის ხელოსნები ვართ, მიტინგზე მივდივით. ახლავე გაეარკვეთ, რა ჭირს თქვენს მანქანას.

ჯუმბერმა, ახალგაზრდა კაცმა, კაპოტის ქვეშ შერგო ათვი.

— ონისმოვიჩი, ერთი „ზაფიგანია“ გადანიე! — მოსმა მანქანიდან.

— კი, ბატონო. — რვეაზ ბურჯანაძემ მანქანის გასაღები გაუნოდა. ქალბა საქსს მიუჯდა, გასაღები ბუდეს მოარგო და გადანიე. სტარტერი ახრიალდა.

— მაიჯა, მაიჯა! — დაიძახა ახალგაზრდამ. — აბა, კიდევ კიდევ ონისმოვიჩი, მაგინი კონტაქტია!

ონისმოვიჩი, იგივე ბაგრატ ჯანდიერი, მწერლის მანქანიდან გადმოვიდა:

— ბოდიში! — უთბრა ქვეშეხალს, როცა გვერდით ჩაურა და მანაც კაპოტის ქვეშ შერგო თავი. — აბა ერთი ტრამლიორი მოხსენი. — უბრძანა ახალგაზრდას.

ორიოდ ნუთში ბაგრატ ჯანდიერს რომანისტისთვის ახსალმურად უცხო რაღაც დეტალი ხელში ეჭირა და ათვლიერებდა.

— რა დაემართა? — კისერი წაიგრძელა და დეტალს დააკვირდა რვეაზ ბურჯანაძემ. — რამე სერიოზულია?

— არაფერი ისეთი, კონდესატია ტრამლიორში, კონტაქტებიც გასანმენდია, შეიძლება „ბეგუნოკიც“ გამოსაცვლელი გახდეს.

— გამოეცვალეთ, თუ გამოსაცვლელია! — გულიჯიბზეუ ირა ხელი რომანისტმა. „კონდესატია“, „ტრამლიორი“, „ბეგუნოკი“ ჩინური იყო მისთვის.

— როგორ გვეადრებთ, ბატონო რეხო? — ლამის შეიცვბა ბაგრატ ჯანდიერმა. — ღმერთმა ასეთი ბედნიერი დღე გამოთრდა, თქვენი თავი შემახვედრა და მე ფული ავიღე? მართალია, უბრალო რემონტორი ვარ, მაგრამ მეც მაქ ნაითხული რაღაც-რაღაცეები. ბოდიში რა, ბატონო რეხო, მე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი და მადლიერი მკითხველი ვარ და ფული არ მეადრით, ჯუმბერ! — მიუძღვინდა ახალგაზრდას.

— ნადი პროფილაქტიკაში, ჩემს ბოქსში, პრეფლეუ „შეადამ“, ზედა უჯრამი ახალი „ბეგუნოკი“ დვეც და ნაბილდე „ნულვევი მკურნალები“ გამოაყლდე.

ჯუმბერი უხმოდ ჩაჯდა თავის ფიგულში და ნადიდა.

— შეილითა თქვენი? — იკითხა მწერალმა.



— ემ, ბატონო რეზო, — ამოიხზრა ჯანდიერმა. — მონაფეა, ჩემი შვილი კი მავხელა იქნებოდა ახლა — და დადუნდა.

რევაზ ბურჯანაძემ უხერხულად იგრძნო თავი.

— თქვენ რომ ჩემი ამბავი მოისმინათ, ბატონო რეზო, მთელი წიგნი დაწერებოდა. ერთი, წისქვილის დღობი არ დატრიალებულა ჩემს თავს, თორემ დანარჩენი ყველაფერი შემამთხვია ცხოვრებამ. — ჩუმად ჩაილაპარაკა ბაგრატ ჯანდიერმა. — თქვენ რომ გაძობებნით ერთორი საათი და მარჯკოთ, ყველაფერს მოგიყვებოდით და თქვენ ხართ ერთადერთი, ვინც მაგის დაწერას შეძლებს და ყველას გაავებინებს.

— სიამოვნებით, ჩემო ბაგრატ, რაზეა ლაპარაკი? აბა მწერლობის სხვა რა საქმე გვაქვს? ა, ბატონო, ჩემი სავინიტო ხართო, ტელეფონიც მანდ ზერია. გნებავთ სახლში დამირეკეთ, გნებავთ მწერალთა კავშირში. — საეინიტიო ბარათი გადაეცა რომანისცმა. — ოღონდ დილის საათებში.

— არა, სახლში როგორ შევანუხობ?

— არ შეეწუხებდები. აბა, რისთვის ვართ ჩვენ — მწერლები?

— ადამიანის სულის ინჟინრები

— კი, ასე შეგვარქვა მაქსიმ გორკიმ, მაგრამ ყველა როდი ახერხებს მაგას.

— თქვენ რომ ახერხებთ და ნამდვილად ხართ, ამიტომაც უყვარხართ ხალხს, საზოგადოებას.

— რა ვქნა, ჩემო ბაგრატ, რა ვქნა? — თავი მოისანყლა რევაზ ბურჯანაძემ. — ცვდილობ, თუკი რამე გამომიდის, ისიც თუქვინ — ხალხის მორაგატყობს და ნდობის წყალობით. ხვალეე დამირეკეთ, დილას, ათიდან თერთმეტამდე.

— მერიდება, ბატონო რეზო

— კარგი, კაცო, კარგი მერიდება რას მიქვია?

— სადაა ეს ბიჭი ამდენ ხანს? — თქვა უეცრად ბაგრატ ჯანდიერმა.

— ბატონო რეზო, მოდი მე ამ „ბეჯუნოკს“ დაეაყენებ, მგონი ცოტა „ნაგარი“ მოვაშორე და ცვადით ერთი, რა გამოვა. ჩავეკით და როცა გეტყვით, „ზაქვანია“ ჩართეთ, გასალეხი გადავინთ.

მწერალი რევაზ ბურჯანაძე საქვს მიუჯდა. „უდავოდ საინტერესო ტიპია“. — გაიფიქრა. — „ხვალეე უნდა შევხვდეთ და მოვაჯილნოთ თავისი თავგადასავალი. არადა, დღევანდელი დღიდანაც ვაშროვ რაღაც, თუნდაც პატარა ნოველა სათაურით „მადლიერი მკითხველი“.

— აბა ვასალეხი გადავინთ! — მოესმა ფიქრებში გართულ მწერალს.

გადანია. სტარტერი ახრიალდა, მაგრამ უშედეგოდ.

— ცოტა მონილა უნდა, ბატონო რეზო. — გამოსახა კაპოტის ქვეშიდან ავტომშემკეთებელმა, მერე კი თვითონაც გამოჩნდა. — ბოდიში რა, ბატონო რეზო, საქვსთან შე დამსვით, სტარტერთი სიჭკარეში ჩაგდებულხარ დავძრავ და რეგორც კი დაგვიანებთ, უკნიდან მოანეკით. ბოდიშს ვხვდით, რა?

— რას მეზობლები, მე კაცო, აბა, მე მაგის დამიქოვაი ვარ? — რევაზ ბურჯანაძე მანქანიდან გამდმოვიდა და საბარგულისკენ გადაინაცვლა.

ბაგრატ ჯანდიერი საქვს მიუჯდა. გასალეხი გადატრიალა.

— აბა მონაქვით! — გასძახა მწერალს.

რევაზ ბურჯანაძე მთელი ძალით მიანვა და მანქანა დაიძრა. ორიოდ მეტრში ძრავა ჩაირთო და გამაყოლა რომანისტი წელში გაიშარა.

— ევარტლის ბოლომდე მივალ, წრეს დავარტყამ, შევამონმე! — გადმოძახა მანქანიდან ავტომშემკეთებელმა. — ორიოდ წუთში მოგბრუნდება! — და ადგილიდან მოწედა.

„რა არის მანაც ცხოვრება?!“ — გაიფიქრა დაძრულ მანქანის შემხედვარე რომანისცმა. „მკითხველის მადლიერებაზე მეტი ვიღყო, პრემია, მწერლისთვის არის რამე? ხელოსანი და რემონტიორი ეძახე შენ!“

\*\*\*

მადლიერი მკითხველი და უდავოდ საინტერესო პურსონაჟი ბაგრატ ჯანდიერი არც ორ წუთში მობრუნდა, არც ხუთში და არც ნახევარ საათში. ბაგრატ ჯანდიერი სინამდვილეში პროფესიონალი თალღითი და მანქანების ქურდი ვოვა ინსარჩიე ვახლდით, შეტსახელად „პაბედი-კა“, ეინაიდან თავისი ქურდული კარიერის დასანყისში პირველი მანქანა, რომელიც მან გაიტაცა, ავტომობილი „პობედა მ-20“ ვახლდით. ხოლო, რაც შეეხება ცნობილ მწერლის, რომანისტ რევაზ ბურჯანაძის ცნობას, იგი მას თითქმის ყოველდღე ხედავდა ტელეეკრანზე და, რა თქმა უნდა, როცა კაპოტახილ მანქანასთან დაინახა, მყის იღწო. მანქანის გატაცების გეგმა იმავე ნაშ შეადგინა და მისთვის ჩვეული ოსტატობით განახორციელა კოდეც.

რევაზ ბურჯანაძის ან უკვე ყოფილი ავტომანქანა, ვერცხლისფერი „ვოლგა ვაზ-24“ კი სულ რამდენიმე საათში მეზობელ რესპუბლიკაში აღმოჩნდებოდა, სადაც იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რაც ჩვენში და ვის ეცალა გატაცებული მანქანის ძებნისთვის? ეგებერთელა ქვეყანა, ბოროტების იმპერია — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ირღეუდა და ინგროდა.

რძი

მხოლოდ მამაკაცები იყვნენ: ახალგაზრდები, ხანძიმშესულები და მოხუცები. რიგი ქუჩიდან, ტროტუარის კილიდან იწყებოდა, საშარათულიანი შემობის ფასადს მიპყვებოდა, კიბეზე ადიოდა და დახლულ კარს ეხვინებოდა. დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ კარის გაღებისას ჩანდა, თუ როგორ გაქმლდებოდა იგი ვესტიბიულის გავლით დერეფნის ხილრემში. რიგი ნელა მოძრაობდა. კარისკაცი სამ კაცს უშვებდა მხოლოდ მერობაში: სამი გამოვიდოდა, სამი შევიდოდა.

შენობიდან გამოსულები თავდახრილნი, ჩაერთა ნაბიჯით მიდიოდნენ როგვ გასწვრივ. თითქმის ჩქარობდნენ ტროტუარზე მიმდინარე გამქვლელთა ნაკადს შერწყმოდნენ, რათა იქ გათქვფილენიყვნენ და გაქვრალიყვნენ. გამოსულულებს არავინ არაფერს ეკითხებოდა, ყველანი თვალს არიდებდნენ.



უცნაური რიგი იყო და უჩვეულო სიწუმე იდგა; საბჭოთა რიგებისათვის დამახასიათებელი არანაირი ღრიანიცელი, ყრიაშული და განვე-გამონივრა. ახალმო-სულნი არც კითხულობდნენ, ბოლო ვინ იყო, ჩუხად, თვინიერად დგებოდნენ რიგის ბოლოში.

ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობა იყო, რიგში მდგომნი კი გვიან იძულებულნი შაძიებულნი მდუმარე რიგი შეუმჩნეველად მოკლდებოდა, საღამოდებოდა და აღარავინ ემატებოდა ადამიანების დაკლანძობა ჯაჭვს.

კიბის თავზე, კარის სიახლოვეს, თავის რიგს ელოდა მხოცი სომეხი კაცი. სადღაც შორს, დიდი ქალაქის მიღმა იცქირებოდა. ჩამავალი ქლავი-ნითელი მზე ვეება თურქული ფეხივით ჩამოდებულყო სახლების სახურავე-ბზე და მისი სხივები ასკერთა მოქნეული ირიბი ხმლებივით ირეკლებოდნენ ბებერი სომხის ნაღვლიან თვალბეში.

მსტყვარი

გენერალური პროკურორის ბრძანებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგზე მზვერავად, ცოცხალი ამბის მოსატანად მსტყვარად დილით გაგზავნილი საერთო ზედამხედველობის საენსილო ასაკს მიღწეული რიგითი პროკურორი ბადურ შაშვიაშვილი საღამოს უჭუდოდ, უყვლსახვევოდ, ეგზალტირებული მხურით და კოჭლობით დაბრუნდა პროკურატურაში. არაკორდინირებული სიარული მიზეზი — საქმიან მოზრდელი რიგის ქვა, პალტის მარჯვენა ჯიბეში ედო, ნაშობლებული თავისი კოჭლობის დასტურად და ნივთმტკიცებად.

მთელი პროკურატურა ფეხზე იდგა, ვინაიდან გენერალურმა პროკურორმა უკვე ორჯერ იკითხა, დაბრუნდა თუ არა მსტყვარი მიტინგიდან; ხოლო როცა მზვერავის ვინაობა მოახსენეს, აღმფითდა კიდევ — ამ ხნის კაცი როგორ ვაგზავნეთო? თუმცა, მისი აღმფითების მიზეზი მართლა ბადურ შაშვიაშვილის ასაკი იყო თუ ეჭვი, რომ ასაკის გამო მსტყვარი დაეცალებს ეჭროვნად ვერ შეასრულებდა, ეს გაურკვეველი დარჩა.

ამ საპასუხისმგებლო მისიის ბადურ შაშვიაშვილისთვის დაიკისრება ჯ უბრალო, მაგრამ ამ ვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. ეჭროდ კი, იმ გარემოებამ, რომ იგი იმ დღეს ერთადერთი მუშაკი აღმოჩნდა გენერალურ პროკურატურაში, რომელსაც ცივილური ანუ სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. უცნაურია, მაგრამ გენერალური პროკურატურის უკლებლო ცეცლა თანამშრომელი, რომლებსაც ადრე კედელზე გამოკრული ბრძანებით თუ აიძულებდნენ მუნდირის ჩაცმას, ახლა, ამ ვაგანია სიტუაციამანისას, სამსახურში ფორმით ცხადდებოდა.

ერთი მიტყვით, მიუახლოვდა თუ არა მსტყვარი გენერალური პროკურატურის შენობის კიბეებს, მაშინვე შეშინდა, რომ არამდენიმე კოლგა უკვე ელოდებოდა. სიტყვის თქმაც არ აცაღეს, ბადურ შაშვიაშვილი სულ რაღაც ნაშეში გენერალური პროკურორის მისაღებში შეიყვანეს; პალტოც კი არ გაახდევინეს, ისე აღმოჩნდა

გენერალური პროკურორის პირისპირ, რომელიც ფეხზე ნაშობდგარი ელოდებოდა თავის მაგიდასთან.

— სად ხარ, კაცი, ამდენ ხანს? — შეაკრდა შკითხა გენერალურმა.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგზე, ბატონო გენერალური პროკურორი!

— ეგ კი ვინი. ფეხზე რა მოვიტოვა? — კოჭლობა შეამჩნია გენერალურმა.

— არაფერი, ბატონო გენერალური პროკურორი. — დაიმორცხვა შაშვიაშვილმა.

— კონკრეტულად! — გენერალურმა გამჭოლი მხურით შეათვალა იყო უყვლსახვევო, მეჩხვრთმახანელი მსტყვარი.

— ა, ბატონო! — პალტის ჯიბიდან ნივთმტკიცება ამოიღო ბადურ შაშვიაშვილმა და განვილო ხელში აწონდა-წონდა.

— რა არის ეს?

— ქვა.

— ვხედავ, მერე?

— ბარძაყი მომარტყეს! — ტრამირებული ფეხი წინ ნადგა ბადურ შაშვიაშვილმა და ანთებული თვალბეში შეხედა გენერალურს. — ორი სანტიმეტრით ზემოთ რომ მომხედვროდა, მოგატამა ჩირი, მყუდრო ვარდებით!

— რაა? — გენერალურმა აშკარად ირონიული მხურით შეათვალა საენსილო ასაკს მიღწეული ხელმეციით.

— ბუნებუ ვარ გადარჩენილი, ბატონო გენერალური პროკურორი!

— მომილოცაბა!.. აბა, რა ხდება, რა სიტუაციაა იქ? მოკლედ მოყვი, დაპარაკი ხომ შეგიძლია? დაეციქი.

— ლაპარაკი კი შემიძლია. — ბადურ შაშვიაშვილი დაელოდა, სანამ გენერალური პროკურორი საყარქმული ჩაუდებოდა და მერე და ჩამოუგდა სკამზე. ჯიბიდან უფრუ-და ცხვირსახოცი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და თავისი კოჭლობის მიზეზი, დასტური და ნივთმტკიცება — რიყის ქვა, ცხვირსახოცზე დაელო.

— რამდენი კაცი იყო? ემატებოდა თუ აკლდებოდა ხალხი?

— დილიდან ათი ათასამდე იყო, მაგრამ მთელი დღე ემატებოდა და ემატებოდა და ახლა ოცდაათი ათასი მინც იქნება.

— მაგდენი იქ როგორ დაეციევა? რა მონოდებები იყო?

— „ძირს ძირგამომპალი იმპერიალიზმი!“ „ძირს ცეცა — იმპერიის ყურმოჭრელი მონები!“ „სსსრ — ხალხთა საპყრობილე!“ „ნატო! ნატო! ნატო!“ „ჩვენი თავი ჩვენადვე ვეყვანდოდეს!“ „ოკუპანტებო, გათირეთ!“ — სხაპასუხით მიაყარა ექსტაზში შესულმა ბადურ შაშვიაშვილმა.

— ხელისუფლების ძალადობით დამბობის მონოდებები იყო?

— კი, როგორ არა; შუადღიდან მოუნოდებდა ერთი პიროვნება.

— ვინ მოუნოდებდა? სახელი და გვარი დადგინელი გაქვს?

— დიას, ბატონო გენერალური პროკურორი, დაიხანებ თუ არა, ეგრევე დაეადგინე.

გენერალურმა პროკურორმა კიბითი შეხედა





— ხალხს ანტიკონსტიტუციური ქმედებისკენ ბიკენტი ქარქაშაძე მოუწოდებდა. — განაცხადა მსტორვარმა.

— ვინ არის? პირველად მესმის. არაფორმალა?  
— არა, ბატონო, ფორმალა, ფორმალნი სახელმწიფო უშიშროების თანაშრომელი!

— რა იცი? ანგარიშს უწევ, რასაც ამბობ? — მკაცრად ჩაეთია გენერალური პროკურორი.

— როგორ არ ვიცი? ერთად ვსწავლობდით ორიგინალურ ლექს ორმოცდაცამეტში. მერე მაგი კავებდით" ნავიდა, მე — ადვოკატურაში. მერე, როგორც ვიცი, საზღვარგარეთ ამუშავეს კაი ხანს. ეტყობა ახლა ჩამოიყვანეს და ეროვნულ მოძრაობაში დახრტვს.

გენერალური პროკურორი მაგდისკენ დიხარა და გადაშლილ უბის წინააქში სახელი და გვარი ჩაინიშნა. ამკარად ემყოფოლი ჩანდა.

— მე თუ მკითხავთ, სიტუაცია მაგან დაძაბა. — განაგრძობს ბაადურ შაშვიანი. — ქვეც მაგან მესწრადა ნიღადა, ვინაიდან, დამინიხაბა თუ არა, იმავე ნაშ მცნო.

— თვითონ ურვევენ ქვ შობლდაღლები, სან-ციციბი ქი ჩვენ გვითხოვენ. — ჩაილაპარაკა გენერალურმა პროკურორმა. — ხომ არ გაგიშლიყვნა? ვინმესთვის ხომ არ გათქვამს, ვინც არის?

— ბავშვი ხომ არა ვარ, ბატონო გენერალური პროკურორო, დახვრდი ორგანოებში. — ოდნავი საყვედური შეაბარა ხელქვეითმა.  
— კარგი, კარგი. — პიროვნულად ასახელებდნენ, გმობდნენ პარტიულ და სახელმწიფო მუშაებზე?

— ყველა დასახელებს, ყველა დამგეს, თქვენს გარდა, ბატონო გენერალური პროკურორო!

გენერალური პროკურორი ამკარად ემყოფოლი იყო. საფარძლის სახურავს მიყვდნო და ჩაფიქრდა. საფიქრალი კი ბევრი შექონდა; უშიშრეულსადა კი, როგორ გამოიყვანა თავისი უწევება და საკუთარი თავი მინიმალური დანაკარგებით ამ ქაოსიდან, რომელსაც ბოლო არ უჩანდა და კარგად იცოდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ცენტრიდან თავის გასამართლებლად ეროვნულში ექმდნენ ყველაფრის გადასაბარლებელ ობიექტს

— მაგრად გვირტყეს, ბატონო გენერალური პროკურორო, მაგრად დატყვებეს!

— ვინ? — გამოერკვა მძიმე ფიქრებიდან გენერალური.

— „ომონლებმა“; გვირტყეს, მაგრამ, რა გვირტყეს?! ისე ჩვენი მამკარად იბრძოდეს!

— ვინ „ჩვენებმა“?  
— მომიტინგეებმა! — თვალები აენთო ბაადურ შაშვიანი.

— მაგარი ბიჭები არიან. ამ ხნის კაცს თუ ხელჩართული ჩხუბი მომიხდება, არ შეგონა, მაგრამ მცემ ამიყოლებს, მზე ქე მოვიქნე ერთი-ორი. ქუდი და კანზე დავკარგე იმ ორომტრიალში, მაგრამ ჯანდაბას! სამშობლოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისთვის არაფერი მენება!

— ამხანაგო შაშვიანი! — ფხზხე ნამოდა გენერალური პროკურორი. — მართლა ბარძაყში მოგხვდა ქვე თუ თვეში?

— ბარძაყში, ბატონო გენერალური პროკურორო! — შეძლებისდაგვარად ფხზხე ნამოდა ბაადურ შაშვიანი.

— აბა, რა ანტიპარტიულ, ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწვეით აქ?! — მკაცრად წარმოთქვა გენერალურმა პროკურორმა. — რას გავს ეს? პროკურატურის პასუხისმგებელ მუშაკად მოგაყვლინებ მიტინგზე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წევრად დამბრუნდით აქ? დავალების შესრულებისთვის მადლობა მოიბსწენება, რომელსაც ბრძანებით გავფორმებთ, ბოლო აგეიტაციისთვის საყვედური სიტყვიდან იმედით მაქვს, აგიტაციას აღარ გაიმეორებთ. მიზანძივით, მოსხენებით ბარათი დამინერეთ, წერელებით დანერეობ მგვიკენსა და თვე ბიკენტის იდენტიფიკაციის შესახებ!

— არის, ბატონო გენერალური პროკურორო! — ბაადურ შაშვიანი კარისკენ გაბრუნდა.

— ქვა ნაილით! — მაგადაზე დარჩენილ ცვირისახოცზე მინიშნა გენერალურმა პროკურორმა.

— პატაკს დაურთო ნივთმტკიცებად?

— არა, გადააგვე სადმე. არაა საჭირო ამ ფაქტზე საქმის აღძერა — ბაადურ! — გასძაბა კარისკენ კოჭლობით მიშავალ ხელქვეითს გენერალურმა პროკურორმა. — ორი თვე გაქვს შესწამამდე დაჩენილი და ისე გაუფრთხილდი, ბიჭო. მენს უფროსსაც გააძევი, რომ დღეიდან მიტინგზე თვითონ იაროს! თუმცა, ამას მე თვითონ ვეცყვი.

გენერალურმა პროკურორმა თვალის გაყვალა, თუ როგორ მიიხურა კარი ბაადურ შაშვიანი. თვალებში ნაძირი სედა გაუკრია. ის და ბაადურ შაშვიანი ტოლები ყვენენ, ოდესღაც ერთად სწავლობდნენ ვაჟთა სკოლაში. თვითონაც სიამოვნებით გავდოდა პენსიაზე ახლა, ამ ორომტრიალისას, მაგრამ კარგად იცოდა, რომ არ გაუშვებდნენ.

**„მე ბიბლიოთეკაში აღმზარდეს“**  
88 წლის რეი ბრედბერმა კალიფორნიის ქალაქ ვენტურას სახელმწიფო პატარა ბიბლიოთეკის დასაცავად წლიური კამპანია წამოიწყო.  
საბიუჯეტო შემცირებების გამო ბიბლიოთეკას 2010 წლის საბიუჯეტო დახურვა ემუქრება. მის გადარსაქნად 280,000 დოლარი საჭირო — იტყობინებდა ვაშეთი „გარდინა“. დანტისტიკის კლასიკოსი მკითხველებთან რეგულარულ შეხვედრებს აპირებს. ამ შეხვედრებზე ბოლოთა 25 დოლარი ეღირება და ალბუმი თანხა მთლიანად ბიბლიოთეკის დასახმარებლად გადაიგზავნება.  
„მე ბიბლიოთეკაში აღმზარდეს. ამ მკერა კოლეჯებისა და უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკისა კი მწამს... განათლება ბიბლიოთეკაში მივიღე და არა კოლეჯში“. — განაცხადა ბრედბერმა.





ელგუჯა ბერძენიშვილი

# ქორნილი

აგვისტოს ნათელი შიშანი დღე იდგა, უღრუბლო ზეცა დაპყურებდა პატარა სოფელს, სოფელში დიდი სამზადისი იყო. იზობლი გოგო თებრონე და ოსიანთ გიორგი ჯვარს იწერდნენ. სამრეკლოს ზარი განუწყვეტლივ რქდა. სოფელი ისეთი პატარა იყო, რომ ეს ხმა ყოველ კუთხეს სწედებოდა. ანდა რად უნდოდა ზარით მოხმობა, როცა მთელი სოფელი საყდრის გალავანში შეკრებილიყო?

სოფელი კლდოვან მთაზე იყო გაშენებული, სულ რამოდენიმე, ოთხი თუ ხუთი, კლდის ნაშალით აგებული სახლი იდგა, კლდისავე ფილებით გადახურული. გარშემო ბაღ-ვენახები ერტყა. ვეება კაკლის ხეები შრიალებდნენ. სოფლის თეთრდაქაფებული მთის მდინარე ჩამოედინოდა. ნყალგალმა კი პურის ყანები გაშლილიყო. ტყით შემოსილ მთებს საშანი დაეუბნო სოფლისათვის, ყანებს გარს შემოვლებოდნენ, ტყის იქით იალაღები აზიდულობდნენ, მათ უკან კი აქა-იქ თავი ამოყვით თოვლიან მწვერვალებს და თითქოს უღრუბლო ცაში გაქვავებულაყვნენ.

ამ სოფლის არსებობა აღარავის ახსოვდა ისე იყო მომწიდარი ქვეყნიერებას, ზღაპრის ენით თუ ტყუილად, ცხრამთას იქით იყო გადაკარგული და ღვთის ანაზარად მოტოვებული. მაგრამ სიკოცხელ ყველგანაა, სადაც მზის სხივი მისწვდება. აქაც დადებდა ხოლმე თოვლს, აქაც მიიწურებოდა ხოლმე ზამთარი, მოიჭრებოდა გახატული და ზაფხული, მწვანით იმოსებოდა მთა-ველი, ტყეებში, შერეუ შემოდგომა დადგებოდა, ნისლის შერბინებს მოიხვედნენ ხეები, აწითლებდნენ ყვითლად ნექურხლები, წითელ-ყვითელი ქოშონით შეიკაზმებოდა ტყის პირები, აქაც ზღვასავით ეღვლედა ოქროსფერი ყანები და მოლივლივე პურში ერთმანეთს დასაყვდნენ გოგო და ბიჭი. ბიჭი ცდილობდა წინაფეხში მისწვდნოდა გოგოს, გოგო ნიოდა, ნუკრებით შემხტარი თავითუბნებს ზედ ევლებოდა, ასე დარბოდნენ ყანაში, ვიდრე არ ჩაძირებოდნენ ამრიალებულ ოქროს ტალღებში.

\*\*\*

შუაგულ სოფელში ძველისძველი საყდარი იდგა თავისი პატარა სამრეკლოთი, რომელზედაც ერთადერთი გაბზარული ზარი ეკიდა. საყდარი მცირე იყო, უგუმბათო, მაგრამ მოხდენილად ცადაქნილი. სილაშხის ისიც მატებდა, რომ ფერადი ქვით იყო ნაგები. ერთმანეთს ენაცვლებოდა ვარდისფერი და მქრალი მწვანე, კვლავ მუქი ვარდისფერი და ფერმკრთალი ნახლისფერი. საყდრის პერანგს არ ამკობდა არც ერთი ჩუქურთმა, მხოლოდ კარიბჭის თავზე, საყდრის შუბლზე, წმინდა გიორგი იყო ამოკვეთილი, შუბს რომ სცემდა ხახადაპნულ ურჩულს. აქა იქ, ფითრმოღებულ ქვებზე ასობითაურული წარწერებიც შეიწმინოდა, მაგრამ იმის

ამომკითხავი აქ აღარავინ იყო, აღარავის ახსოვდა ეს ძველი და მშვენიერი ანბანი, მაგრამ მთელ სოფელს ახსოვდა, რომ ძველ დროში აქ ჩამოეველ თამარ დედოფალს თავისი ამალით, ახსოვდათ სად წაიქრა ფეხი დედოფლის თეთრ-მა ცხენმა და იმ ადგილსაც კი გაიწვევდნენ სადაც დაქმნილია ნატერფალი კლდოვან ბილიკზე. დედოფალს ისე მოსწონებოდა მანდაურობა, რომ უბრძანებია ამ ადგილას საყდრის აგება. საყდრის შიგნით კედელზე ფაშთასელის მოუხედავად, მაინც შემორჩენილიყო დედოფლის ხატება, მკრთალად, მაგრამ მოხანდა დედოფლის სათნო სახე, მისი ჯერებით დამშვენებული გვირგვინი და ამ სახეს მოსდგომოდა ოქროს შარავანდედი. ის ევდრებით ასცქეროდა ზეცას. სოფლელებს ძლიერ უყვარდათ დედოფალი. სანთლებს უთებდნენ, მის წინაშე მუხლს იყრდნენ, პირჯვარს ისახავდნენ და ამბობდნენ: „ჩვენი წმინდა დედოფალი, ამომავალი მზის-დარი მეფე თამარი“...



თი აქ, ამ წმინდა საყდარში უნდა დაენერათ ჯვარი თებრონესა და გიორგის.

\*\*\*

უღრუბლო ცაში უწყვეტად ისმოდა ტოროვების ბურიალი. ცაში ღრუბლის ერთ ფრთილას ვერ დაინახავდით და რა გასაკვირია თუ ამ ცის ქვეშ, ნორჩი გული შეპროდა თებრონეს, როცა მოულოდნელად შეეფუტა გიორგის. ეს ამბავი წინათ მოხდა, ერთ მზიან დღეს...

თებრონე წყაროზე მიდიოდა, კოკა ეფედა მხარზე. გაბლილი გიმრისფერი თმა ზურგზე დახვებოდა, აქ, წყაროზე პირველად დაინახა გიორგი ახლოდან. გიორგი-მაც პირველად შეავლო თვალი ახლოდან გოგოს, ფეხშიშველსა და მხარზე კოკაშემოდგმულს რომ ხედავდა შორიდან ყოველდღე. ისინი წყაროსთან მიანყდნენ ერთმანეთს. თებრონეს გული შეუქანდა, ტკიბლმა მიწისძვრამ შესწრა მისი ნორჩი მკერდი. ისინი ერთმანეთის პრისპირ აღმოჩნდნენ, მუხის კონჩივით მკერდით, პერანგჩაღდელი გოგია, მზით გარუფევი, ნახშირით შავთვალეზიანი ბიჭი და რბული გოგო, შავთვალნარბა, თამარავალი თებრონე.

მათ ერთმანეთს თვალეზში ჩახედეს ახლოდან და თავიანთ თავს მოკრეს თვალთ. ისე ახლის იდგნენ ერთმანეთთან, რომ გიორგის ესმოდა გოგოს სუნქევა და გულსიცემა.

თებრონე მწიფე მაცვალვით შავი თვალეზი შეიანთა გიორგის. გიორგიმ შეხედა და გულში გაიფიქრა: „მაშინ მოკვდეს გიორგი ეს გოგო რომ ვინმეს დაუთმო“. თებრონე იგრინო, რაც გაიფიქრა გიორგამ. გულში

დაეთანხმა, აგრე იყოს გიორგი, როგორც შენა გსურსო". ისინი მღუმარეულ იდგნენ, გიორგიმ კოკა გამოართვა, კოკა გაუვსო და თებრონეს მიაწოდა, თებრონემ კოკა სწრაფად შეიღვა მხარზე და მათი მზერა კვლავ შეხვდა ერთმანეთს. თებრონეს გული აუძგერდა, სველი თითები აუსხლტა კოკის სახელურზე და კოკა ხმაურით დაიმსხვრა, თებრონემ შეკივლა, ხალიხის ლოყები აუწითლდა „რა იყო, რა რა მოხდაო დაიძახეს ორღობის გადაღმობად და გიორგიმ დაუძახა მათ: „თებრონემ კოკა გატეხაო“.

თებრონე ადგილიდან მოსყდა და გაიქცა.  
 „კოკა ხომ ყოველთვის წყალს არ მოიტანსო“ სიცილით მიაძახა გიორგიმ. ამის შემდეგ წყაროსთან არც თებრონე და არც გიორგი აღარ უნახავთ.

ერთი კვირის მერე დაიწახნეს, თებრონემ მიღის წყალზედა, კოკა უფგია მხარზედა. სოფლებების თვალს რა გამოეპარება, ის არ გამოპარვიათ მათ თვალებს როგორი სინითელ ნაქივდა თებრონეს ხალეზიან ლოყებს, გიორგის სიახლოვით წყაროსთან და ის გამოეპარებოდათ მხარზე რომ ახალი კოკა შემოედგა და ფეშმისველი კი აღარ იყო, არამედ ნითელი ბრონეულისყვაილისფერი წუსტები ეცვა. აი სულ ეს იყო, ისინი წყაროსთან აღარ დაუნახავთ, ერთად აღარ გამოიწინადა, მაგრამ ახლა ერთად იდგნენ საყდარში, მღვდლის ნინამუ გარინდებულნი, ანთიუულ პანია საწათლებით ხელში, თავზე სოფლური საქორწინო გვირგვინებდადგმულნი. ეს იყო ძაფებზე ასხმული, ოქროსწყალში ამოვლებული კაკილები, მბზუნივარე, ოქროსფერი, თხემიდან მზის სხივებით გამოლილი, ჩრიალით რომ ფენებოდა მხრებსა და ზურგზე, თხემზე პატარა ხის ვერცხვით დაბოლოებული.

მღვდელმა ჩაღისფერი ნიგნი გადაშალა, ჩამიწმულ აფგულზე და დაიწყო ხმადაბლად დუდუნი. კითხვისას თავს ასევედა ხოლმე, რაღაცას შეეკითხებოდა ნეფე-პატარჩაღს, თვითონვე პასუხობდა თავის თავს, თვითონვე იქნედა თანხმობის ნიშნად გაბურძგულთ თავს. გაიგებოდა თებრონე და გიორგი ერთმანეთს თვალს ვეღარ ამორგებდნენ. მღვდელმა დახურა ჩაღისფერი ნიგნი ძირფასის ქვევით მოჭედილი და რკინის ჯვარი გაუწოდა თებრონეს და გიორგის. ორივე ერთად დაიხარა და სასოებით ემთხვია ჯვარს. მათი ლოყები ერთმანეთს შეეხა და ორივეს კვლავ შეუქანდათ ნორჩი გულეები, როგორც წყაროსთან შეხვედრისას. მღვდელმა ჯვარი დასწერა გვირგვინისნებს და ლოცვა კურთხევით გარეთ გამოისტუმრა.

გულეები ორმკროვად დაივგნენ, ხანულები გააჰიშვლეს, გადააჯვარდინეს, აანკრიალეს და მახვილების ხეივანში გაატარეს ნეფე-პატარჩაღი. მერე ტიღიდანა, პატარა, აღნავლებული ბოჭები შეაჩვენეს თებრონეს და გოგავს ხელეში, ვაჭები დაეზედებათო. მოზუცი ქალები

შესტკეპროდნენ და მათი სიღამაზით აღტაცებულნი თავღლის კიდეთი ინმენდნენ თვალეზე მომდგარ ცრემლებს.

\*\*\*

საქორწინო სუფრა მდელიზე გაეშალათ, მწვანე ბალახსა და ყვავილებში. კაკლისა და მუხის ფურცლებზე ელაგა გიორგის ახლადაქურდი თეორი, ნიღლად დანინკლული კალმახები, ყველას თავისი თიხის კოკა ედგა და თიხის ჯაბი, თვითონაც ღამაზად ისხდნენ, არიგებ-ჩარიგებულნი, ვეება ბებერ მუხებტქეშ.

ნეფე-დედოფალი იღამაზ ნოებზე დაეცათ სუფრის თავს, გვირგვინებზე ჯვრებ-აღმართულნი.

ღვინოს, ერთი ბალღივით მსუქანი კაცი ასახმა, ის ავსებდა კოცებს ტიკინად. მწყემსებს ჩამოეჭანათ ატენიდან ჩინებული ღვინო, ქორწინლის შესაფერი, აღონზე რომ გადაპარავს ცას ისეთი გამჭვირვლე, ვარდისფერი, შუშუნა, ნაწერკილებს რომ აფრქვევდა. ამ მსუქან ლოყანითელა კაცს შუბლზე შავ კულასს რომ

უნიავებდა სიო თვალეები თითქმის დაბჭოდა. ტიკიწრასავით ვეება სრიალა ღობი და ქიპი მოწინადა მსუქან ხელებით თიხის ჯამს იგსებდა და თან თავისთვის ბუტბუტებდა: „ნეტა ქვეყნად სადმე თუ არიებობს ასეთი ღვინო? ჩამოდი თინაზე ცაში რომ ბზუით, ერთი გემო გაუსინჯეთ და მაშინა ენახათ ვინ უფრო მაღლა იფრეს. ნეფე-პატარჩაღს „მრავალმანიერი“ უმღერეს. ღმერთმა ინებოს თქვენი საკეთო, ნათქვამი იყო ამ ლოცვა სიმღერაში.

გუთინდედა პაპა გიორგიმ მინაში მოსერილი და მზეზე გარუჯული მარჯვენა ასნია. პაპა გიორგიმ მამა-პაპანი ადღერძელა, ნეფე-პატარჩილის მშობლები, ვინც ცოცხალია ამბერთა კარგად ამყოფოს და ვისაც არა პაესს ანთლდ ამყოფოსო. ვინ იცის მერამდენეჯერ ასნია გუთინდედა თიხის ჯამი და ადღერძელა ნეფე-დედოფალი.

„ის რა ქორწილია ნეფე-პატარჩაღი თუ არ ვაქცვეთო“ შესძახა პაპა გიორგიმ, გაისმა ტაში. ნეფე-პატარჩაღი წამოდგენენ, პატარა ბიჭუნამ პატარა თითებით, პანია ღერემის საღამური ასტკინა ჩიტივით, ხოლო მათე, ნითურმა, ქორფლიანმა ბიჭმა, კოტბათ თითები ათამაშმა დოლზე. ნეფე დედოფალი საცეკვაო მოედანზე გავიდნენ. ერთამენეთს პირისპირ დადგნენ. ერთამენეთს შესტკეპროდნენ: სწორფერნი და მშვენიერნი.

\*\*\*

სალაურის ტკბილი შესავალი მიწყდა და დაქორდოლს საცეკვაო ნითურმა ბიჭმა. თებრონე ადგილზე

**ჯილდო მერილინ როზინსონს**

ამერიკელი მწერალი ქალი მერილინ როზინსონი პრესტიჯული საერთაშორისო პრემიის — „ორანჯი“ — ღაურებატო გახდა. პრემია გაიცემა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელ ქალის მიერ ინგლისურ ენაზე შექმნილი საუკეთესო რომანისათვის.

ჯილდო — 30 000 ფუნტი სტერლინგი და პრინჯაოს ტრადიციული ქანდაკება „პეტი“ მერილინ როზინსონს გადაეცა რომანისათვის „საგნოფრისი“. იგი 1943 წელს დაიბადა აიდაოს შტატში. მისი პირველი რომანი — „სამინაო მურეზაბა“, გამოქვეყნებული 1980 წელს, პოლიტიკის პრემიაზე იყო წარდგენილი. ეს პრესტიჯული პრემია მწერალმა 2005 წელს მიიღო რომანისათვის „გლადია“.



აცხვედა, მიძიმე მუჯის სიმსხო გიშრისფერი ნანანავები კოჭებამდე სწვდებოდა. თებრონეს თეთრი ნისლოვანი კაბა ემოსა, თეთრი გვიროლებით ამოქარგული. თითის ნეგრებზე ანუელი ადგილზე ტოკავდა ცეკვის მოლოდინში. შავგრემან გიორგის ზადრანისფერი ატლანის ახალუბი ცეცა. შატარიანი ხანჯალი თეძოსთან ეკიდა გვერდულად, ნევიებზე ტოლადები ცეცა გარე თმა ხარის ტყავისა, გრძელბუნეიანი, ფართოდ გაშლილი ქვეშეთი, ისე რომ ქალამანს მხოლოდ ჭეინტები მოუჩანდა.

დოლის ხმაზე შეიმართა გიორგი, გაშალა მძლავრი მკლავები და არნივიეთი ირაო შემოუარა მოედანს, ჩამოუქროლა თავის ნანდაურს და თან გაიტაცა. მიჰქორდნენ, თითქოს მიფრინავდნენ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდნენ ხან ერთმანეთს გაუბოძდნენ, ხან მიეჭრებოდნენ ერთმანეთს ახლოს. აბოგრი განსუ გადგა, ახლა მარტო თებრონე ცეცავდა, განაზადა სალამური, დოლმაც დაუნია ხმას. დავოგმანობდა რბილად, მოხდენილად, ნახად, მიქროდა მსუქად თითქოს გაზაფხულის ნიაგმა აყვავებული ვაშლის ქორფა ყვავილი გაიტაცა და მიაფრენსო, თებრონე მშვიდად შექრდა, მშვიდად დაუმვა მკლავები და ნითურმა ბიჭმა დასცხო დოლს, სალა-მურმაც ხმა აღიმაღლა, ტამბაც უმატა და გიორგი შეფრინდა ყვილით მოედანზე.

თითქოს გახელდაო, ცეცავდა გამშავებით, ეს აღარ იყო ცეცვა. ეს იყო ფიცცელი ომში შეჭრილი მეომარი, გიორგი ცეკვით უჩვენებდა თავის ძალას, მოქნილობას, სიჩაუქებს, მერე უეცრად ახლოს მიეჭრა თავის ნანდაურს, შთაბრიალდა პაერში აჭრილი სწრაფად და თებრონეს ნინამე მუხლებზე დავარდა. იქუხა ტამბა. აღტაცების შეტახილებმა. გიორგი აღიშართა, მისწვდა თებრონეს ნანნავს, მოზინდა და მორეკავდა აკოცა შეინდისფერ ზაგებში.

\*\*\*

სოფელს თეთმფრინავის ჩრდილმა გადაუქოროლა. მერე ცაში აჭრილ თეთმფრინავს მოკრეს თვალთ, მისმა დანახვამ დიდი ჭრიაბული გამოიწვია. ნამოიშაღნენ მიქცილენი, შეფიროდნენ, ხელს უქნევდნენ. ქალები და ბავშვები უყრდნობს აფრიალებდნენ, ქორნილიში ეპატიებებდნენ, ჩამოდი ჩვენთანო.

ღიმიანი, მუცელგამობრილი მსუქანი კაცი, ტოქს ჩახუტებული თავისთვის ბუტბუტებდა: „რო იცოდნენ რა ლინოა, ხევენა რად უნდათ...“

გუთნისდენამ თიხის ჯაში ასწია „მოდით ეხლა იცით ვის გაუმარჯოს, ვინც ცაშია და ვინც მიწაზეა“.

გაუმარჯოსო! — შესახებს და ლინო გადაკრეს, ისინი დასაღწენ თუ არა, ახლა გოგოები აიშაღნენ, გოგონებმა ერთმანეთს გადახვიეს გრძელი მკლავები და ფეხებზე დაუარეს. ცაში აჭრილმა თეთმფრინავმა უეცრად გული

იკვალა. ქორივით მოსწყდა ცას და დაბლა დაქანდა, დიდი სისწრაფით დაეძვია, ლურჯ ცაზე თეთრ ზოლს ხაზავდა და კვალს ტოვებდა.

— ბოქო თელო! მაგ ტოქს რომ ჩაკერისარ და ვერა შორებები, აიხედე ცაში, ვერა ხეადე ბოთლებს გიყრინ. ბოთლები ქანვე-ქანაობით მოჭრიდნენ გალაკენისკენ. ნამძინარევი თვალები ააიხლა თელომ და პირველი გადაისახა.

იქუხა ზეცამ, შეზანზარდა მინა, ჩამოიქცა გალაკენი, ავარდა ცეცხლი და ყველაფერი შავ კვამლიმ გაქვია. კვამლმა შთანთქა მექორნივთა ხმები. ამრიგად აღის დედა. ტურცილით ინგოდა ბებერი მუხები. ცეცხლში გახვეულიყო ლამაზი საყვარი და სამრეკლო. ქვეშით, ყველზე, ერთმანეთს აწყებოდა აბლაღებული, ცეცხლით გზამოჭრილი საქონელი, კამეჩებმა გაანგრის სადგომი და ხანირი ბლავილით დაიძრა მდინარისაკენ. ცეცხლი ეკრება ბაღაა ბაღებს, კაკლის ხეებს, სახლებს, ტყეებს...

უეცრად თაველიდან გამოიჭრა აწყვეტილი, ცეცხლმოდებული ულავა, ფაფარი ალივით უფრიალებდა ნითლად, ჭიხვინებდა განწარული ხმით, ყალყზე დაგებოდა. მერე უეცრად მოწყდა და გაჭენდა მურის ყანაში, მიჰქრდა ხეხვიდნით და ყანაში ცეცხლოვან ხნულებს ავლებდა, ცეცხლოვან კვალს ტოვებდა.

შავ კვამლს გამოეყო მღვდლის ლანდი, დაქცეულ სამრეკლოს კიბებზე მიზობლად აღმოდებული, მღვდელი ნაეპოტინა ზონარს, რომ მძლავრად შემოეკრა, დავრისხებიინა ზარი, რომ იქნებ მთელ ქვეყნიერებას შეეტყო თავისი ვაჭარა სოფლის უქედურების ანბავი, მაგრამ ზონარი გაწყდა და მომწყდარმა ზარმა ცეცხლსა და კვამლში ჩაიძრა მღვდელი. კვამლის სიღრმეში ამოიგმინა ზარმა და მერე სირუმემ დაიკანა. აიგრაგნა ცეცხლს შერთული შავი კვამლი და შავი ურჩხულივით ნამოკვდა თავს გადაბუფულ სოფელს.



მზატყარი თამარი მინამული



**დარეჯან სუმბაძე**

**ნანი  
სიმონიასვი**

**დაბადება**

მერე არა. და მანამდე კი რაც ზუსტად ვიცი მუდამ მახსოვბარ ჩემს გვერდით და თუ სხვა რამ გერქვა. არ დავაზუსტებ. შენც არ მომთხოვ. არ დამაფიცებ. მოკლედ: სულ მუდამ იყავი და ვიყავით ერთად. იმ ქალის ხმაში ხავერდის თუ ატმის ხაოებს ეკრეფდით. შექმლო ჟრუანტელი სიტკბოს მოდენა. და როგორც ვრცელი და კაშკაშა სანახაობა მანძილით ცხრა ცის. სიხარულით: ნამისოდენა უკიდა დილა. ატმინა და რძიან ბალებში. უნიავესი მებეუოდ ბედად და ბაედ. რა ბედნიერად დაერჩობოდი რომ არ გაგვევი. ბევრი ვიარეთ ანდა ცოტა და დავიბადა.

**მერე**

თუმცა დილის თვის შევაცურეთ განთიადს ნავი. ნათელი იყო: იმ მშვენიერ დილისთვის. ერთობ გავიზარდეთ და ლამის უკვე ქარი იყავი და მაჩქარებდი ვარსკვლავისკენ. ვარსკვლავი ერთი ქალაქებს ზემოთ. ბალებს ზემოთ. ოკვანეებს ზემოთ და მინც: თვალისგვერდით თუ შორიანხლოს ჩენი ზაფხულის ეკვატორის უგრძეს განედზე ადგა ბავშვობა ატმის ბალებს. რაც ზუსტად მახსოვს. ჰქონდა სურნელი რძის და ქალის ხმა და გადამოიღო ნაქვიტკირალთან

სამყურები სადაც მყვოდნენ შეურეველი ჩენი ყოფნა: წყალთა კავშირი პგავდა შეტებას ბალახის თუ ატმის ხაოზე. მერე და მერე: კვადრატული მკაცრი ნებსებით ქალაქი ფიქსის. დაყოფილი თოთხმეტმარცვლიან ტრიოლეტებად. ტრეცინებად. თეთრი ლექსების ამოსუნთქებად ზანდაბანაც. როცა გაცლიდნენ სულს. მოუშვებდი სონეტების ლია კართან თუ სონატინების გამჭვირვალ სადა კართამდი. რომ დაგანდნისაც გგონებოდა: კი არ გმართავდა დრო მუნს ნაკვალევს მოჰყოლოდა ანუ: მართავდი.

**და მერე**

მერე რა იყო? მერე. ცხრა მოის და ცხრა ცის იქით მისი ბაგის ცივი ამბორი ბაგეების კარს მიმაგრებდა. გამორჩეული ჩემს შიგნით, ჩემკენ, ერთბაშად სამყაროს აქეთ ქუთუთოების ნაპრალიდან ჟონავდა დილა (მე ვუჩევიდი სიტყვებს თვალსუკან. თვალნიღ. და ასე. ზუსტად ვიცოდი: უსათუოდ მომთხოვდნენ პასუსს ანდა თითქმის არარსებულ მოთმინებას და: როცა ნეკნებში ხერხემალი გადამიმსხვრია. რალა მეზადა. მე უგვანომ და უგუნურმა გავაჩინე ბაგაში ქარი. სიზმარ-ბლანდებში აგური და ვიქორნიე. ვიცი, არაფრით გეზარბება (ოკვინის უმფოთველობა) ასეთ ცოდეგაში მყავდე მონილე. და მაშინაც ზუსტად ვიცოდი: უსათუოდ მომთხოვდნენ პასუსს მაგრამ თუკი არაფერს ვაგებ: კომკებს ოცნების ნისქვილებს ქარის. ოღონდ ეგ არის: ისევე ვიცი ყოველთვის: რაც მსურს. ანუ, ზუსტად: მეტისმეტად დამაგვიანდა. რომ ფერს იცვლიდა ქარი და ქარი.

ანდა, ვიტყვოდი: (თითქოს ხსოვნა თუ საჩუქარი) შარშანდელ ბალებს ავაბლანდე, ანუ მივანდე). ქუთუთოების ნაპრალიდან ჟონავდა დილა თიბათიხინდი ცელისპირზე. თვისფერად თუ ხაკისფერად მოჰქონდა სუროს: სუროს სიო სუროს წყალი სუროს სიმღერა: ამბობდი ნათელს.



და სიცივე ტირფებს გინვადა.  
 იქნებ ამადაც, გადაბმული ჩრდილთა სქოლიო  
 ამოხივ დაინყები ნესტის მიწას და  
 უმსუბუქესი ფრანი  
 მზისკენ გაიყოლე.  
 და იწიბ  
 კიდეც დაგაბრალეს. სიმღერა შენთვის  
 ვერ ისწავლე და ბგერა ბგერას ერთსულ მიება  
 დამრეცაღ-  
 როცა გულის სისხლი ნაკადულს ერთვის.  
 გაზაფხულდაო. დაგაბრალეს. უპატივბი.

როცა თავიდან მოუყვები ამ ლექსს.  
 და ჩრდილებს  
 გაუმზურებ ქვეშაბებს და მოგონილ ნიღაბს.  
 ნათის და ნეთის ნამცეცხვად გაუნანილებ  
 რაც უკვე ნათქვამს ვერ დაბტყვე. სიტყვების მიღმა  
 ფსკერზე სქოლიოდ დაილიქა,  
 როცა მოწვიმდი  
 და მერე, გული ნაკადულად სანამ დიოდა  
 გადაიხადა ბუერმა წყალმა ბევრი ქორნილი  
 სადაფის ფერადგარიყული სანაპიროდან.

სურო მასმედა უთქმელ ბაგეს.  
 იმისი სიტკბო  
 უკვე ჩემკენ და უკვე აქეთ  
 მხამის მდინარედ მასმედა სუროს.  
 ასე იცვლის სურნელი სურნელს.  
 თუკი მიდიან. არ ყოფილან უკვე და ჯერაც  
 როცა მიდიან.  
 და ნამყოფი მათი შაერი  
 იცვლის სურნელს და იცვლის ფერს და იცვლის  
 სიმღერას.  
 იცვლის ამ დილას ლამის მერე, და ასეც ველი.  
 შესაბამისად. იფერადებს დღეებს და საგნებს.  
 ასე მასმედა. სურო ბაგეს. და ბაგე ცულის  
 კალისფერ და მოდარაჯე ბალახზე ინება.  
 და შორიანლოს ჩემი ხელი: მომავლისთვის წარსული მიწის.

**და მერე სად იყო და სად არ. აუღვინებელი ქარი ქარს. სხვა  
 არ დასურვის: თვალსა და სიტყვებულ ხელს შუა გამიქარა**

შენ შეიცვალე ჩემო ნიაო.  
 აი, ასეთი მახსოვდი მუდამ: შენ შეიცვალე.  
 სხვა დროს არას დროს. მხოლოდ ასეთს გეძახი. მაშინ  
 როცა სინამდის ყური ეზრდება. ჩასაფრებულს უნდა  
 გაიმბო  
 ნიემბერზე. მწვანე ფითრზე. დარჩენილზე.  
 რაც კვამლამდე მიმოქცევის გზას მოუყვება.  
 და სწორად აქ და სწორად ასეთ დროს  
 შე შეგპურდება ჩემი ყოფნა. ჯერაც და აქაც.  
 თუ ასეთი გახსოვდი მუდამ: შე შეიცვალე.  
 აი, კარი. გილებ და მინდა დარჩე ჩემგან.  
 ამადაც გილებ.  
 სიჩუმის ყური. ჩასაფრებული ხარბიყური  
 მთხოვს და ვუამბობ. ამოუსუნტაჭე  
 ვაყრი სიტყვებს. ამოვეუსო იქნებ სტომაქი.  
 სმენის სტომაქი. ის კი ხარბი. ჩასაფრებული

სწორად ან არა. სწორად ასეთად  
 კვამლად და ჩვენად მოფარფატეთად. შემომერევი.  
 და გაიმბობ. სოდა გაიმბობ:  
 ნიემბერზე. დარჩენილზე. გამქარალ სევედაზე:

ის კაცი. მათ რომ მოეტყო. შეშლილი თუა.  
 წინ ვერ წასულა. ერიდება დამსხვრეულ ფოთლებს.  
 ფეხქვეშ ბუფეთი წინმსწრაფები. წიაღმსწრაფები  
 შენზე უწინ ამოიხლებენ. ნიაო, გესმის?  
 შეშლილი. ვამბობ. ის კაცი მეთქი.

მე ნავალ. მოდი. რაც დარჩება  
 ცხრა ცის და მერე. სადმე ყურსუქან  
 დამიბარე ძველი მინა. ძველი ამავეი.  
 იქნებ რწმენამ დამაბრუნოს ქვითკირის სითბოს  
 და აზრი შენი: ჩემივე ხმა  
 დღეებთან. დიდხანს პირველივით დახვდეს და დახვდეს.  
 და თუკი ბოლო ნაკადულმაც ჩამო იარა  
 მიაბო თუკი. რაკაკა და ნრფელი არაკი  
 და ჩემ პასუხზე: შეიცვლება რამე: კი? არა?  
 უგვირილესი ვიცი ისეც მკითხავ: არა. კი.

მე ნავალ. მოდი. შენ გეკუთენი  
 ყველაფერს ყველას.  
 რაც შემთხვევით თუ გამიზნულად.  
 მე ნავალ. მოდი.

ნიაო. ხედავ უკეთესად:  
 ეს ნიადაგი,  
 რომელსაც ჩვენ დაბადებდას.  
 ანდა სხვა დროს ეუსადგებთ  
 ყვავილებმა თითქოს ერთ ბაღში.  
 და ვინ სად და კიდეც უფრო სად აღმოცნება:  
 ბალის კარში. შუაბაღში თუ ცელისპირთან  
 პირობითად.  
 თორემ ვინ იცის  
 ვისით როდის. სად გაიხარებს.  
 ანუ: როცა გაიხარებს  
 რას ერქმება ბალისკარი. შუაბაღი. ან ცელისპირი.  
 თორემ ვინ იცის:  
 შენ გეკუთენი  
 ყველაფერს ყველას.  
 რაც შემთხვევით თუ გამიზნულად  
 გზაზე შემომხვდი.

ამიხილეთ ციმციმ თვალები. ვარსკვლავებო.  
 მომეცით შრიალს გულის ყური ნიგარებო.  
 მდინარებო გააპეთ ბაგე.  
 მერე ცის გახსნას დააბრალონ  
 ცეცხლიანი სიტყვების წეიმა.  
 მთვარის დედასთან დაბრუნება გაიფიქრონ.  
 ანდა უწინაც. თუ უწინამც  
 ძარღვებსუკან ჩაბრუნებული წინაპარივით  
 უმთაობის სისხლის აბჯარს როცა ავისხამ  
 ნიავებო! წამომასხით უსაზღვრობა. უწინადაობა.





ლელა სამანიშვილი

**ბალი**

აი, ეს ბალი — ჯადოსნური ნრეა და შიგნით არ შეიძლება მოხდეს რაზე ცუდით და რადგან ჯადოსნური არ გუქირდებია მე და შენ — ჩირგვად — ამ სივრცეებსაც — ბალიანად ნაივლებით — გაეფაგაბით — ქუჩებზე, სადაც დამომბილი კორპუსებიდან ვიღაც შემზარავს — თვალები აქვს მოშტერებული — სიცოცხლისაქენ, ხოლო შიგნით — მოზულები — მიმომბნული სხეულები, მონტეფიორეს რომანტიკული ურჩიული და კოჭლი პოეტი, (და უფრო უკან ედგენი ნარსულს) — სპარსული ჩაღმით მეფე — იმედი ქალამანზე რომ გამოედო — მიზარბაცებენ ამბოსაკენ, ყველაფრის ჯამად — ჩვემში — თუ ეს დღე — ჯადოსნური ნრეა და გარეთ გაეიტანათ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, იქნებ ხელამდე იმ თვალეზამდეც მივალნით და მათი გავლით — თუნდაც ფაჯოხეთის — ჯადოსნური შუქი ფარავდეს.

**ძალაის ხაღი. აპრილი. 2008**

გამარჯვებულს, გამოდი! — მსურდა დამეძახა — თუ სახე გაქვს, თუ სხეული გაქვს, გამოდი და დამენახე — რომ დავერწმუნდე, ადამიანს არაფრით შეგახარ, შენ, რომელიც ძალაუფლების ვნებით ტუმბავ გეამებს, რომ გემავე მინაზე, დროზე, რომ გახდნენ უფრო მოკვდავებიც, ეიდრე არიან.

მძულდა ყველა, ვინც სახე და სახელს ასე იკანონებდა — დისტანციური მართვის პულტით — ღილაკზე ცვირით — გემავეა ჩვენზე ჯარისკაცებს, გეგემავეა ჩვენ — მოედნებისკენ — ფონოგრაფას ურჩევდა კადრებს, მზად იყო — ყველას მომავალი შეეკუმშა — ერთ ნერტილობში, გაერტყა შუბლიში.

მან შემეამინია, დამანახვა — ცალ თვალში ქვის ჩირაღდანში, მეორეში — ვარსკვლავის ნეტი. არა ხეიროდა, რომ თუნდაც ახლა — მე ეს შემეძლო. სახეირო განმაზე მეტად შემამინა ამ სიძულვილმა. სახეები ნაემალთი ჩემს ჯარისკაცებს. სიყვარულსაც კამოფლაგი ეცევა. ვარგავედი. ვპოულობდი. მინაც იყო. ადამიანიც.

ორი კვირა — ზურგზე მეკოდე — ძეგლიანად — დედაქალაქის კორპუსებში ავითრედი — ჩამოვითრედი, და ქუჩა-ქუჩა შემსხვრედი — სახელდახლო თავშესაფრებში შეკუთულ ხალხად. იოდი, ბამბით, ცულოვანში ჩაყრილი ქრელი კანფეტებით — ბავშვებისათვის — მერყენებოდა — ზოგჯერ — ლულების ღრმულებს ვკეპავადით.

არ მახსოვს, როგორ დავიბრუნდი. ნიქნიკებდა შუბლში საათი — ავტობუსი დაინახა ჩემი მსგავსებით — თან მიყავადით, თან — გაგვირობდა. გზებზე — დამწვარი ფიჭვების სუნი — მინა — საკუთარ თავზე შავი — რელგოზური რიტუალს ვგავდა და ხრჩოლავდა ადგილის სული.

ჩამოგვსენით — ორი კვირა რომ გდარაჯობდნენ, მის ძეგლზე ვაკრულს — საუკუნე ვინც სდარაჯობდათ, ყველაფრის — გამქრალს, გადარჩენილს — გორიჯვარი გადავავარეთ, საკუთარ თავებს დავუბრუნდით გამანალმელებად.

გასანაღმა ეს სიტყვებიც. ახლა ლექსიც ისეთივე უხამსობა, როგორც ბავშვის სათამაშო — შენს ნანგრევებში მსხვილი კადრით გადაღებული.

*ორი ლექსი, რომელშიც ბრავიტაცია უნდას*

**გაშვება**

წყლის ზედაპირზე, ზედ ნაპირზე — ექნის ასხლეტას გავდა გამეფა შენი, თუმცა, — თვითონ დავეძვი ფსკერზე და მთელი ნელინადი ვრჩები ასეთად — სიტყვებისა და ფერების და გზების გარეშე. პულსს ვერ დაიჭერ, გულს კი არა — ექნის არემი.

საღამედც გავლმებ. გარეთ ისევ — აფთქებები — მე კი — სიღრმეში მჭონდა ომი. არც კი მანუხებს ახლაც სინდისი, — არასოდეს რომ არ ვაქებდი შენს გამარჯვებებს, შენს ნაგებებს, და არც პალსტუბებს არ ვუსწორებდი გულმოდგინედ დაეარცხნილ დღეებს.

ხელუბლებული ტყის სიღრმეში — მალალი ხეა. ის — ენწეროთი — ყველა ქარს და ღრუბელს ახსწორებს.

მე — ის სიმაღლე, შენ კი — სივრცე — დაედეთ სასწორზე. შენ — დაიწონე. მე — სიმაღლეს გავუშვი ხელი, დავეშვი, აქ ვარ, მაგრამ თურმე — აღარც ეს გვეშველის.

ის, რასაც ერთად განვიცდიდით, ახლა ცალ-ცალკე ნაემალთი.

იყოს საკუთარი თავის მემკვიდრე ქვა — ჩაკეტილი.



გამოთვალონ გრძნობის ასაკი სხვებმა.  
 ოდესღაც, მახსოვს, თითქოს გამოგვიკედ  
 და უკან ქარი იზრდებოდა. ფეხდაფეხ. როცა  
 შეჩერდი, უკვე დასახვევი არ შექონდა უკან.  
 ზურგთან ბორბალი ტრიალებდა, ტუჩებთან — ლოცვის  
 უცხო სიტყვები.  
 ალბათ ცამდე ავიდნენ უკვე —  
 გვისმინეს.  
 აი, ვუბრუნდებით საკუთარ თავებს —  
 შენ — შენს თავს, მე კი — მკვდარ და შემოიღ აკუტგაგავს.

**ელაპარაკე**

ეგვიც კონია — მარტოობა —  
 ხმას, მოძრაობას — შენგან და შენკენ —  
 არსაით უშვებ.  
 ფესვამოუცვლელ ხსოვნას თავის განტოლებებით  
 შიგ გენომებში აბრუნებს, კუმშავ.  
 თევზის ფართხალი აორტამი —  
 სისხლს გაყოლილი — უსისხლოდ —  
 წყლის და სიბიბის სურვილი —  
 საფულდაგულოდ ჩათრეული ფსკერზე —  
 ღლიწვირად — დაიჯერონ, რომ დასახარულია.  
 ხომ სულ ერთია — ზოპს შეესკვა გზაჯვარედინზე  
 რკინა, რკინაზე — საფეთქელი,  
 პულსის მუხრუჭი,  
 თუ თვითნებური აფეთქება  
 მკერდის არემი  
 მოხდა და თვალი — თვალს დაუხუჭე.

ანდაც მესაჭე ვინ იყო და როგორი დარტყმა  
 აიღო თავზე — ხომ სულ ერთია.  
 თუ სურს იგლოვოს ეგ სიჩუმე,  
 თუ სურს, მხოლოდ გალიზიანდეს  
 რომ გერ ჩამოგყვა სადაცაც, სულეთში.  
 თოვლის კაცებიც პლაკატებით („ძირს გლობალური  
 დათობა“) — დარჩნენ გარეთ და აიოთ.

და ღირსეული გულ-მკერდებიც — ინდაურების —  
 ამბოურცული ნერტილი — ათვლის —  
 დანა-ჩანგალმა — შობის გარეთ —  
 გაჩერ. და ლახაც —  
 ფოიერვერკში გარეული ქურავები —  
 მთელი მსოფლიოს თავზე —  
 გარეთ. პლანეტა — კიდობანი —  
 უცნაურ ტვირთით  
 პირანიების — ვარსკვლავების  
 კბილების გავლით —

სიციცხლის სწრაფი გადაზიდვა  
 ცეცხლის ეტლებით.

და ისევე ავტო-კატასტროფის დაკონკრეტება —  
 ვაფა-ფამველას გამზირი და  
 დღე და საათი.

ელაპარაკე-  
 თვალში ფარანს ნუ ჩაანათებ.

**პაპი ყუთი**

უფრო გულდასმით უმიზნებენ მტრის თვითმფრინავებს.  
 ბაბი — და პაერნი საზვიმო კვალი ტრიალებს.  
 სიყვარულზე კი, რა ხანია, ქურავებს კი არა,  
 ემოციასაც აღარ ცლიან.

ზუსტი ფინალით —  
 იცი, როგორ ვარ? — თითქმის არ ვარ —  
 მარტივად ითქმის.  
 უფრო მარტივად იწერება ეს — („არ ვარ თითქმის“).

აბა, შეეცე ამ არყოფნას, თუნდაც მსუბუქად.  
 აბა, შუქ-ქრდილი გაუბაცე ამ გაუმუქე.  
 აბა, ჩახედე ჯიბის ფარნით, აბა, ხსოვნიდან  
 ამოიწერე სურვილები, მხილებასავით —  
 ყოფნის, რომ მათი უარყოფა მაინც მომიხდეს  
 და ბრტყელი გული ავხაიო თვალის მონიტორს.

აბა, დღე-დღეზე გადააბი, —  
 ცბილ-ცბილე ყრია  
 სულ შემთხვევითი განწყობებით თუ კამათლებით.  
 აბა, დამბენ, — ყველა კარი დატოვე ღია —  
 ძველი ეჭვები ამაფარე, გამასამართლე.  
 აბა, ეს ყუთი — ხმების ტუმბო,  
 სუნთქვის გამტარი —  
 გატეხე. თუნდაც — ზედ ბორბალი გადააბარე.  
 აბა, გახსენი.

ოღონდ, ჯერ — არ,  
 ჯერ — ვერ, ჯერ — ლექსის  
 სტროფიდან ისევე — ავარიულ კარის ფრიალი.  
 და გახსენება — სხვა აფიკატასტროფების  
 და ტრაგედია — გაუკანარე თითის ფინალით.

**ღუმფარა**

ნათია ნაცვლიშვილს

ისეთ გნისაში ვავახილე თვალი, უფალო,  
 თავიდან — მხოლოდ გამაოცა ჩემმა სასჯელმა  
 და მერე ისიც დაივინახე — თეთრი ღუმფარა —  
 ჭაობის გულში ქათქათებდა, და დანარჩენი  
 ჭაობი — სავსე — საშიში და სველი ზღაპრიდან  
 გადმოსხლებულ არსებებით — ისე უბრალოდ  
 და უდარდელად ბუყბუყებდა, ნემსიყლაპივებს  
 და გომბეშოებს თითქოს სივრცე შემოუბარეს,  
 ჩაუფშუნეს მინა მყარალ ნენიანში და შეუსიეს.



შენი ცა, მგონი, შენს ჭაობზე უსივრია.  
და ეს დუმფარაც ალბათ ციანდ დაბავალზე  
და სიღრმისაკენ ჩააყვალე ფესვები ბასრი.  
არ ვიცი, როგორ გამოეტყ. ან იქნებ ასე —  
აუთუე ჭაობს ერთადერთი ბღღერიალა ქალა.

ის — არც კი იმჩნევს ამ სიბნელეს. და ალბათ არ ღირს  
არც ჩემგან — ასეთ საყვედურებს — ფოთლებს  
სიბრტყეს  
ვანერდე — შენთვის, რომ დახედო. არც ერთი სიტყვა —  
ჰაერის ბუშტი — ბაყაყების სლიპინა ენებს  
არ ასცდენია.

ნეტავ თავებს დამანებებდნენ.  
მიტრიალებენ. ალბათ თვითონ — მათი მსგავსი ვარ.  
შენ გასურს მივიღო ცივი სისხლი მათი ვენების —  
და მათი სტვენა და მარტოვი ბედნიერება.

მე კი შენს თვალში დავინახე — თეთრი დუმფარა —  
როგორ თანდათან იზრდებოდა ჩემში, უფალო.

### ნაწილმანაგისთვის

ლექსი ვერასდროს ვერ იქნება სეირზე მტი —  
სიკვდილისჯილი არენაზე — ლომის ღრიალის ფონოგრაფით,  
ან ნაწარალი ჩარჩენილი სეისმომეტრი —  
უბილავი მკვლევარისთვის რომ აფიქსირებს  
რყევებს ჩვენს მივნი —  
ნადირობა ველურ იხებზე —  
თოფი — ცისკენ, რომ ნაწილ-ნაწილ ჩამოგვემოს —  
საითათო ფრთით და მკერდით —

დახეტქება წყლის ზედაპირზე ან მიწის გავლით —  
შიგ სახეში — ვერასოდეს ვერ იქნება სეირზე მტი.

შენ დგახარ გარეთ — თითოეული წივითს,  
შენთვის, ვალატეკის, და ვერ ენები.  
უსწორმასწორო ზედაპირი — მინა ფეხქვეშ,  
სახის კანი ზეღისგულუმბზე —  
ხეტიალი გარეთ, სულ გარეთ.  
ეს არ ნიშნავს რომ ვერ შეძლებ ასე გავრთო —  
შეხვიდე ლექსში, გამხოვიდე,  
გართიმო, სიტყვით მოაქედო ნალი მის კარზე.

წერილმანები წრიალებენ. ლაგდებია  
ათასწირად. ზოგჯერ მათი შეხამება — სისასტიკეა,  
ხოლო ზოგჯერ — განსანმნედელს ემსგავსება პეიზაჟები.

დღეს ნამძლევს სული —  
შემოვიდნენ ტყის ნაძები შუაგულ ლექსში  
და ლურსმნები წინვებით დარბილდეს ტანზე.  
მათ შორეთაც ყველა კენჭით, ვარსკვლავით,  
უქეთესია — ყველა ტყვიით — რომელიც გარეთ  
რჩებოდა მთელი წელიწადი — გასროლილიც  
ჯერ გასასროლიც — შემოძლია გადაცვივლო  
კანფეტებში, მინის ბურთებში,  
რბილ ხარებში — ბედნიერების სიმბოლოში —  
ყველა სახლის ნაძვისხისათვის.

არ ვიცი, როგორ შეგიძლია გესმოდეს ჩემი  
და არ თვლიდე მკრეხლობად  
ჩემს სურვილებს. და გჯეროდეს, რომ ლექსი არის —  
სეირზე მტი. არ ვიცი და ამიტომ, არც გთხოვ.  
წერილმანები ფოქებივით წრიალებენ.  
სამბოაო მოზაიკად ლაგდება სახლი.

### პირველი შთაბეჭდილება

მაკა ჯობაძე

## მრისხანე ყვავილები

ისე წერს, სულ არ აინტერესებს, გაიგებს თუ არა ვინმე  
მისი გულის ვარაშს, უფრო მეტიც, ისეა განრისხებული,  
საკუთარი გულიც აღარ აინტერესებს. სიღვია პლათისა არ  
იყოს (რომლის რამდენიმე ლექსი განსაკუთრებული  
ოსტატობით თარგმნა), ლეღა სამნიაშეიღმაც საკმაოდ  
აღრული ასაკიდან იცოდა, რას ნიშნავს დაბავ, აუშვიცი,  
პიროსობა, ტექსელი, ავღანეთი, ერაყი, ბესლანია... მაგრამ ეს  
ინტელექტუალური გამოცდილება იყო, დაფიქრება ომზე,  
ფაშინზე, ბოროტებაზე... და არა იმრე კერტესის გულწრფე-  
ლი ხარო, რომელიც ნობელის მიღების წუთებში ასე გამოხა-  
ტა: „მეც უნდა გვესმოდეს, რომ ოსტენციმმა, გარკვეული  
აზრით, მართლაც შეუძლებელი გახდა ლიტერატურა“...

დაბა, ადამიანების ერთ ნაწილს მართლაც ებერებება  
შეუტრებელი გახადოს ცხოვრება, მაგრამ მეორე ნაწილმა  
უნტა მოახერხოს, რომ თვით გაუსაძლისი ცხოვრების  
პირობებშიც სიცოცხლეს მიზანი მუენარწუნოს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რომანტიკული სულის-  
გან დაცლილ სამყაროში ახალგაზრდა პოეტები ტოტალურ  
კონტროლს ანესებენ, მათ ვირტუალურ სივრცეში ვინმე  
გულწვილი არ შეიპაროს. ცრემლი, მონატრება, ყოცია ის  
გაფრენილი რიტება, ოდესღაც რომ ყველა აივანს ჭურჭვე  
ბუდეს იკეთებდნენ. ამიტომ თვით ნოსტალგიის გაგებაშიც  
კი მკაცრ შედაფასებას იწყებს ლეღა სამნიაშეიღის თიბა:  
არადგან შენ თვითონ მინახებდე მხარზე მერცხალი, ნუ  
გიკვირს ნასვლა, ნურც დაბრუნება“.

ალარაფერიც აღარ უკვირს მარადიულ მასპინძელს -  
სამშობლოს. და, ჩვენგან განსხვავებით, სიმშვიდეს სულ ინა-  
რწუნებს, რადგან იცის, რომ ყველაზე სუფთა და უსაგარო  
ყვავილები სწორედ ჭაობის სიღრმიდან ამოსცდებიან. ასე გა-  
მონდა დუმფარას ქათქათა ფურცლები ლელას სტრიქო-  
ნებში. ასე დაფარავა გულწრფელი ნონასწრობა მისმა ანალი-  
ტიკურმა სიფინოზემ და 2008 წლის ავტისტომი დანახულმა  
მშობლორმა, კონკრეტულ ქალაქის ხედმა ლეღა სამნიაშეი-  
ღის სიბრძნე სტრიქონებზე ალესა და მტერს დაუმზანა:

გამირცეკვებს, გამოდი! — მსურდა დამეხაზა, —  
თურ სახე გაქვს თუ სხეული გაქვს,  
გამოდი და დამეხაზე —  
რომ დაერწმუნდე, ადამიანს არაფრით შეგახარ...  
რომ დაერწმუნდე, ადამიანს არაფრით შეგახარ...



ზურაბ ხასიაი

# პასივიზმის მგალობელი

## არტურ შოპენაუერი

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენაუერი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაიბადა – 1788 წელს.

ეს საოცარი ხანა გერმანულ და, საერთოდ, მთელ დასავლურ კულტურაში. გერმანიაში ერთმანეთის გვერდით სუნთქავენ და აზროვნებენ კანტი, გოეთე, შილერი. ასაფრენად ფრთებს ისწორებენ პოლდერლინი და პეგელი. პაირო გველენთლია დიდი ბერძნული მითოსით, რისი თავიანთი ცემაც ვინკელმანმა დაწერა და ანდერძივით დაუტოვა შთამომავლობას.

ელნიორ კულტურაში მათ ხბლავთ თავისუფალი აზროვნება, უწყოლოდ ლაღი და თვითკმარი წარმოსახვა; და ერთიც – გმირული კვეთება სულის. მათ სწამთ: ადამიანი უნდა დაიფრეფლოს თავისუფლებისათვის.

გერმანელთა ამ იდეალისტურ ნაპერწკალს საფრანგეთი დენისის ქასრივით დახვდა. როცა პატარა არტური გერმანიის ქალაქ დანციგში გამჭოლი მზერიტ ეცნობოდა ცანა და მინას, საფრანგეთში უკვე ქვეყნები გრიალებდნენ.

ადამიანებს ქველთავანცემ მოსდევამთ ცთუნება: თავისუფლებას ეწიონ ყველაზე ადვილი გზით – თოვით. ამას ცდილობენ, რაღაც თავისუფლებისკენ მიმავალი ნაძვილი გზა შეტისმეტად ეწელებამთ. ეტყობა, თოვის სროლა ადამიანური საქმეა, ხოლო აზროვნება და შემეცნება – ზეადამიანური. ადამიანის ტვინი არა კმარა აზროვნებისათვის. ამ საქმისათვის პლატონის, გოეთეს, შოპენაუერის ტვინია საჭირო.

ორნაირი თქმულა აზროვნება: მზიანი და ღამეული. მზიან აზროვნებაში სიცოცხლის საიდუმლოებაა დაუნჯებულის. ის სიცოცხლის ნაპერწკლისგანაა აგზნებული. ამიტომაც სულსა და გულს უნათებს ადამიანს; ნუგეშს მოჰყვინს და აიშვებებს მას. ეს იგივეა ადამიანისათვის, რაიც ღამეურული შემოძახილის გაგონება დათრგუნვილობის ემს. ასეთი მოაზროვნებები მხარობლები არიან. ასე ახარებდა იოანე უსასობით დათრგუნულ ადამიანს მაცხოვარის მოახლოებას; ხოლო მისი უღდაბნობით განაზებულ უშქარ ბრბოს აუნჯებდა აღთქმულ მინასთან მიახლოებას.



ნამდვილად არსებობდა კი ეს მინა? ეს თვით დიდი რჯულისმდებლის პირადი საიდუმლოებაა.

სხვა ღამეული აზროვნება, რაიც გაუთუნებელ წყვილადიდან იფეთქებს. პირქვე მოაზროვნეს არა სწამს სინათლე; სიბნელის ნაწილად და ფრანგმენტად ექვნება იგი. ამიტომაც წყვილადიკენ მიპყრობს ადამიანთა მზერას. მათი თვალი უნდა მიეჩვიოს ბნელში ხედვას, რათა სწორად გაიარონ გაუთუნებელ წუთისოფელში. სინათლე სიცურეა. მხოლოდ წყვილადია სინამდვილე. ადამიანებმა თვალი უნდა უსწოროს მას – ერთადერთ სიმართლეს; და თუ გაუძღეს, იცხოვრებენ მარად.

შოპენაუერი წყვილადის მოაზროვნეა. მისი მოძღვრების და თვით მისი პიროვნების ბედი სწორედ ამან განსაზღვრა. ბედნიერი მომადის სულელურ მოლოდინში ჩაფლულ დასავლეთს მან სილასავით გაანწა თათვის უკვდავი ნაწილი „სამყარო ითარცა ნება და წარმოდგენა“.

ამ წიგნში ეწერა ის, რაც არის ცხოვრება, სინამდვილე. თითქოს ღამეს მიეპარნენ და ზედმინეწვით ზუსტი სურათი გადაუღღეს. ამიტომ ეს ღამის წიგნია, წყვილადის ბიბლია.

ადამიანი ღამის წყვილადიდან მოდის. მაგრამ ადამიანთა საზოგადოება დღისით იყრის ხოლმე თავს; დღის სინათლეზე. ადამიანს ღამე ქმნის, საზოგადოებას – დღე. ამიტომ ადამიანები შეთქმულნი არიან, ერთად გაღამაქრონ ღამის წინააღმდეგ. ასე გაღამაქრეს მათ ზემოხსენებულ წიგნის წინააღმდეგაც, არა, იქნუტური აუტოდაფე აქ არ ყოფილა. ოღონდ იყო უარესი – ორგანიზებული უფლებელყოფა, რასაც თვით ბატონი ჰეგელი ხელმძღვანელობდა.

დაბეჯითებით ვაცხადებ: იეზუტური აუტოდაფე, წიგნთა ცეცხლოვანი მკვლელობა, ბევრად უფრო ჯანსაღი მოკლენაა, ვიდრე – დასავლურ-ღმერთალური გაუდასურება წიგნისა. წიგნთა დანვა მათი აღარებაა და იქნებ ყველაზე შთამბეჭდავიც. დამწვარი წიგნები უკვდავებს პპოვებენ. მაგრამ წიგნთა ღირებულური სულერთობა მათი მკვლელობაა დაბადებამდე.

შეგვსს, მაშინდელი გერმანიის აზრთა მყრობელს, ცანე და მინაზე არაფერი დარჩენია უყრადღებოდ. მხოლოდ შოპენაუერი გაიტანა ფრმბოლეს ვარით, თითქოს არც არსებულოყო. არსად, არასდროს სიტყვაც კი არ დასცდენია მასზე. ორგანიზებული და თანმიმდევრული უფლებელყოფა – აი რა ჯნა იორისა მან შოპენაუერის წინააღმდეგ.

ადამიანები სიცრუეს ითხოვენ. ამიტომ ქუმშარიტების ქურუში ურწმუნოვით ღრწნის მათ თავმყოფარობას. სიმართლე სკანდალს ქმწნის ნესიერ საზოგადოებაში და ძლიეს მიწნულ ნესრეს თავდაყირა აყენებს. ის, რაც საზოგადოებას აერთიანებს და ნებოთი შერკას, ეს არის შეთქმულება სიმართლის წინააღმდეგ.

შოპენაუერის გრიგალისებურ სიმართლეს კიდევ უფრო აუტანელს ზიდა ამ ფრანკფურტული განხეგლის აპოლონური დიდოსტატობა. თითქოს ღამეს მზე ახლავსო



თან თავისი თავის საჩვენებლად. ნიცუმ ელინურ აპოლონს განმარტავდა მუცდ, სინათლის წყარო. ხელგონება იბადებოდა მისი, თუ დონოსური ნება და აპოლონური სინათლე ერთმანეთს შეხვდებოდა. მართლაც: ამ სინათლით გამოაჩენს სინებელს ანუ საჭერეთლით გამოკვეთავ ნიაღვრულ გრავალს.

შოქენაური, მართლაც, აპოლონის რჩეულია – დიდოსტატია სიტყვის. ამ მხრივ, ის გოეთეს და შოლერის ბადალია; მათი სამოსს წვერი. მან ისე შეუდარებლად გამოკვეთა ლამის სურათი, რომ ყველას შეეძლო მისი დანახვა, გაგება და მისით ტკბობა სრულიად დაუძაბავად.

შოქენაური კანტისა და გოეთეს ნამდვილი და ღირსეული თანამემამულეა. მასში შეტანიანაა გოეთეს მეტაფიზიკური ენება და კანტის საბუნებისა, განსჯა; ანუ: კანტის უძველესი აზროვნება და გოეთეს უშეშეხიერესი ჭრება.

ყმაწვილი შოქენაური გოეთეს ნარუდგინა დედამ – მწერალმა იოჰანამ. გულმა გული იცნო. დინჯი ოლიმპიელი ყმაწვილს ისე ესაუბრებოდა, ვითარცა ტოლსა და სწორს. იგრძნო: ყმაწვილს უბრალო ხმებისთვის არ ეცალა და მხოლოდ ყველაზე სიღრმისეულ ხმებს, ობერტონებს უგდებდა ყურს.

საველისხმია მათი ერთ-ერთი დიალოგი. ცნობილია, რომ გოეთე თავის „ფაუსტზე“ არანაკლებ აუხებდა თავის მოძღვრებას ფერებისათვის. მისი ეს ენება ახალგაზრდა ფილოსოფოსსაც გადაეფო. შოქენაურმა დანერგა საფუძვლიანი თხზულება „მხედველობისა და ფერისა გამო“, სადაც ის გოეთეს ენაგებობდა უმნიშვნელოვანეს საკითხებში. თავი-ი განსხვავებული აზრი მოკლედ ასე განუშარტა დიდ მასწავლებელს: სინათლე არ იარსებებდა, რა რომ არ ფუფუნებოდა მას. გოეთეს თავისი დიდორნი თვადენი მონათობის ახალგაზრდა ფილოსოფოსისთვის და უთქვამს: უმაღ შენ არ იარსებებდა, სინათლე რომ არ გაყურებოდა.

ორმა დედმა მოაზროვნემ საორივედ მარტვიად გამოთქვეს უდიდესი პრობლემის თავ-თავისი ხედვა. ფრანკფურტული განხედვილი ბუნებაში ადამიანის კვალს ხედავდა და ამიტომაც ამცირებდა მას. ვაიმარელი ბრძენი კი, პირობით, ადამიანს ბუნების ნაწილად აღიქვამდა და ამიტომაც სწავდა მისი.

უცნაურია, რომ აქ უღმერთო შოქენაურის თვალს-თავისი უფრო ჭრისტიანულია, ვიდრე – ლეთაბერო გოეთესი. გერმანელი ოლიმპიელი გერმანულია, ნარმართულად უფრო იყურებოდა, ვიდრე – ქრისტიანულად.

მართლაც, ბუნების დამცირება ბიბლიურ შესაქმედან მიმდინარეობს. ხოლო პავლე მოციქული ბეჯითად გამოცხადებდა „სამყაროს სტიქებს“ და ქრისტეს მადლს. აქედან ერთი ნაბიჯიად იყო სამყაროს მნიშვნელობის უარყოფამდე, რაცაც გადავად ვიდრე შოქენაურის.

ნარმართულად ვნებულ გოეთეს არ მოსწონდა ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა და შოქენაურის ურქვედა: „თუ განიდა დატკბე მენი მნიშვნელობით, ნუ წაარსებულს სამყაროს ყოველგვარ მნიშვნელობას“.

დიდ მოაზროვნეებს ასაკი არ აქვთ. მისი ადრეულ ასაკშიც ღრმად აზროვნებენ. დიდადარ მისი ბეჯითი მოთხოვნით და საკუთარი სურვილის ნინაღმდეგ, ყმაწვილი არტური ჰამბურგის საგაჭარი სკოლაში სწავლობდა. მაშის მოლოდინება და დამუშავის მერე დედაც ის გამოიხ-

სნა ამ კატორიდიდან და სწავლის გავრცელების საშუალება მისცა; თან მაშინდელი გერმანული ლიტერატურის მექსე – ვაიმარს აზიარა. აქ მცხოვრება პოეტება ვილანდამ არ ურჩია ყმაწვილს ფილოსოფიით დაინტერესება; ეს უწყაიფო და უშეადური შრომააო.

ოცდასამი წლის ახალგაზრდამ ცხოვრებაგამოყოლ ბრძენითი უპასუხა: „ცხოვრება ფრიად სავეჭო რამ განსახებ. ამიტომ გადავწყვიტე: მიუძღვნა იგი თვით მის შესახებ ჟიურს“.

მოხუცი პოეტი აღტაცებაში მოუყვანია ამ პასუხს. თურმე, ყველას უყვებოდა ამის შესახებ და დიდ მომავალს უნინანარატიტყვლებდა ყველასათვის უცნობ ახალგაზრდას.

შოქენაური, მართლაც, დასრულებულ, ჩამოყალიბებულ მოაზროვნედ გამოეცხადა ფილოსოფიით ესოდენ გადატვირთულ ბებერ კონტინენტს. შედარებისათვის: მისიმა უფროსმა თანამედროვემ შელინგმა ფილოსოფიურ მისი-ცია ბარე ხუთჯერ შეიცვალა. ჰეგელი, მისგან განსხვავებით, საფუძვლიანი და მყარი იყო. ოღონდ ის დიდხანს ამუშავებდა თავის პოზიციას და მხოლოდ ცხოვრების მეხუთე ათწლეულში ჩამოყალიბდა თავისი მრწამსი საბოლოოდ.

სხვაა შოქენაური. ის, ჯოტი და თავისინათქვამა მამის მიხეზით, მოვიანებით შეუდგა მეცნიერებათა დაუფლებას. მაგრამ საოცრად ადვილად და სწრაფად შეთვისა მამინდელი მეცნიერების ყველა მნიშვნელოვანი დარგი; ადვილად ისწავლა მრავალი ენა და ადრევე, თან ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდა ამისავალი დებულებები; ძალიან ღრმად და განსაკვირებლად ნათლად გაისიგრებდა ისინი. ოცდაათი წლის არც კი იყო, როცა დაასრულა თავისი მედეგრი „სამყარო ვითარება ნება და ნარმოდებან“.

ოქსადა მურქულ სათაურშიც წახან: შოქენაური არ იყო დიდი ნარმოდგენისა სამყაროსა და ადამიანზე. სამყარო მას არ მაჩანდა ღვთის შემოქმედებად ანუ ბრძნულ ქმნილებად. ის დაუყოლებელი წყურვილი და ამბიციის ნაცყოფა. ამიტომ ეს წყურვილი და შიმშილი აღძვქვილი ყოველგვარი არსებობის გონივრულში. არაფერი ისე არ გამოხატავს არსებობის მინარასს, როგორც – ნაკული დაღვლებულადა. არსებობა ნაკულულობაა. ამას ნინავეს ნების პირეულობა.

ადამიანიც ამ ნაკულულობას ატარებს ნიადგე. აქ ბუნების ზუსტი ინსტინქტები დამრქვილა და ისინი ჩაუნაცვლებოა გონებას. ამიტომ სიზუსტე ადვილს უთმობს შეცდომებს და ზემოხსენებული ნაკულულობა ღრმადებდა. ბუნება უაზრის, მაგრამ ზუსტი. ადამიანი ბუნების უაზრობას ემატება ცთომილებანა. ის ცთომილებათა ტრტზე ზის. გონებას შეეძლო ცთომილებათა აცილება, მაგრამ ის უაზრო ნების მსახური, მისი მონაა. აირატომ არაა შოქენაური დიდ ნარმოდგენისა ადამიანზე, მის გონებაზე.

გონების სიზანტე და ადამიანურ შემქმნებათა შეზღუდვლობა შოქენაურის ნორმად მაჩანია, ხოლო გონების თავისუფლება – გადახარდა. ადამიანის ინტელექტუალური და მორალური შეზღუდვლობა სრულ თანხმობაშია ბუნებისათთან, სიცოცხლის სტიქიასთან. ხოლო სობრძნედ და სინმინდ მტერია ბუნებისა, სიცოცხლისა. სიცოცხლე და გონება ერთმანეთის გადაკიდებულ ბიორტი ანგულებიანა.

ამიტომ შოქენაური ნაკლები ნარმოდგენისა იყო რუსოზე, ვინც პირველყოფელ ბუნების სიქეთე თქვა და ადა-



მინათა ბორბლებანი სულ კულტურას გადააბრალა. ბუნე-  
ბაში განუკვეთელი სიკეთის დაგულება შოპენმაუერს ზე-  
რულე აზროვნებად მიაჩნდა და პლაგიატიზმობად ესახე-  
ბოდა. ადრევერე შუა საუკუნეების ეს მოძღვარი, პრიტანე-  
ლი ბერი პელაგია ბიბლიურ ცოდვას არ ანიჭებდა დიდ  
მნიშვნელობას, რაღაც არსებობს „ქე ადამიანის“.

შოპენმაუერი კი უპირობოდ ემხრობა პელაგიას შუე-  
რიგებულ მტერს, ნეტარ აგუსტინეს, ვინც ცოდვითადაცე-  
მას ფიქრობდა როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ამო-  
სავალ საიდუმლოებად. ეს მითი თითქმის ერთადერთია,  
რაც შოპენმაუერის მოსწონს ებრაულ წიგნებში.

არ მოსწონდა მეტიუი შოპენმაუერს რუსოს ზემოხსენე-  
ბული ოპტიმიზტური დოგმა. სამაგიეროდ დიდად პატივსა  
სცემდა ვოლტერს, ვინც „კანდიდი“ გააბამპულავა ჩვენი  
სამყაროს საუკეთესოების ლაბინციკული დოგმა. ამ  
დოგმას მიუღწენა ლაბინციკა სექულტარიანი წიგნი „თოე-  
დიცა“. შოპენმაუერი კი მოსწონებულად შენიშნავდა: ლა-  
ბინციკის ამ უშველვებელი ნაშრომის ერთადერთი ისტორი-  
ული ღირებულება ისაა, რომ მან „კანდიდის“ დაწერა გა-  
მინიერა.

მოსწონდა ვოლტერის ფრაზა: „სამყარო ისეთია, რომ  
ყოველი ცოცხალი არსება იარაღით ხელში იღებება“. ხო-  
ლო თუ ამ დაუმცხრალი მსოფლიო ომის საბოლოო შედეგს  
ვიკითხავთ, აქაც ვოლტერის შემზარავი პასუხი ისმის:  
„ჩვენ ყველანი ცხოვეთი სამყაროს ისეთსავე სუფილურს,  
როგორცოც დაგვხვდა“.

ასეთ პირობებში ოპტიმიზმი ან მწერის შედარდელი  
ბუილია, ან შეგნებულად თავის მოტყუება. მწერობა არ  
გვეკადრება, ხოლო თავის მოტყუება არაა საჭირო. შოპენ-  
მაუერს სწამდა, რომ სიბიარული ყოველთვის სუბიანა სიც-  
რუეს. მითაღია, ადამიანთა თანაცხოვრება ორგანიზე-  
ბული სიცრუეა, მაგრამ ეს როდი ამაბრლებს უკანას-  
კნელს. სიცრუე მაინც სიცრუედ რჩება. ხეცტყვ, ორგანიზე-  
ბულობა კიდევ უფრო საზიზღარაა მისი სიცრუის.

თუ ადამიანი თავს არ მოიტყუებს და გაისიგრძეგანებს  
ქვეყნიერების უაზრობას, ის დაგვმობს ბზულის სურ-  
ვილს და იქცევა ხშიად მღაღღებლისა უდაბნოსა შინა“. მის  
ძველბურად ვეღარ დაღრღინებს უაზრო და განუწ-  
ველებლად შზარდი სურვილები. მაშასადამე, ნაკლები იქნე-  
და იმედგაცრუება და ტანჯვა.

სწორედ ეს მეფფერება მოაზროვნე ურდევს ანუ ადამი-  
ანთა უძიერების ნაწილს. ადამიანთა არსებობა ნაწილი კი  
„ბუნების სერიოული გამომგება“. ის უფუნერი არსებობა,  
ერთობა სურვილებით, მათი ნაწილობრივი ასრულებით და  
აქედან გამომდინარე ტანჯვა-წვალებით. ამიტომ მის  
ხსნაზე ლაპარაკი კი ზემდგმტა. მისი ხსნა მისივე ტანჯუ-  
ლი ცხოვრება. ის ვერ ძებნა ამ ტანჯვით, მისი შეფერა-  
დებით და ახალ-ახალი მორთვით. სულ ესაა მისი ყმადალე-  
ბული ოპტიმიზმი.

სხვაგვარად იქცევა გონიერი ადამიანი, ბრძენი. ის დი-  
ადი პესიმიზმით ინათებს ზვას და იმსუბუქებს ცხოვრე-  
ბას. მან იცის, რომ ბუნების მიერ ატყუებული ცხოვრების  
ფრაბიშული ყალბი სახანაობაა. ეს მწერების მისატყუებელი  
ზიზღ-პილიტობა, რომელთა იქითაც არაფერია. მწერები  
ღიბიაც ხარბდებიან ამ ქრულა-ჭრულა სურათებს და ბზუ-  
ლილი შეერევიან ამ მასკარადს. სულ ესაა ბუნების ნაწი-  
ლად ყოფნა, რითაც ასე მოსწონთ თავი პანთისტებს.

გონიერმა არებამ იცის, რომ „ყველა კაცალი ფშუტუ-  
როა“. ამიტომაც აღარ ისურვებს ამ საეჭოო ფუსფუსში და  
ციფრობლი გარეგას. მას თავისი შოპენმაუერის მაღლა აყე-  
ვნებს ყოველზე ამასზე; დეათებრებად მაღლა.

ამ წერტილიდან კარგად ისმის უფინიშნადების უკუდავი  
შეგონება: დიდებულთა საგანთა ჭვრეტა, მაგრამ სამიწი-  
ან ამ საგნებად ყოფნა. ეს ნიშნავს, რომ საგნები მსოფ-  
ლიო ომში არიან გადაჯაგრადნილი. ისინი პირიდან აგულჯენ  
ერთმანეთს ლუკმას და ბოლის ერთმანეთით ილუკებიანი.  
ეს დაუნდობელი წესი ბატონობს საგანთა შორის და ამი-  
ტომაც სამიწილი საგნებად ყოფნა.

მაგრამ გარედან ყოველივე ეს ლამაზია. დიდებულია  
ბობოქარი ზღვა, თუ შიგ არ იბრძობი. გარედან არაფერი  
სუბიანა მის ჭვრეტას. ბუნების ხაზები და ხმები თანაწყო-  
ბისა და შეხმეკვილობის წესს ემორჩილება. სურვილებია  
ის რგოლი, რაიც შიგ საგნებს შორის გვიკრავს თავს და ამ  
დიდებულ ხაზებს აგვარიდებს, აღარ დაგვანახებს. ხოლო  
თუ სურვილების ყულვები თავი არ გაყვავით, ჩვენ ვიკე-  
მით მჭვრეტელის უმაღლეს სიამოვნებას.

ამას ეწყარება სიღამაზით ტკობის, ხელოვნების მითე-  
ლი საიდუმლოება. შოპენმაუერი, თვითონაც დიდებული  
ხელოვანი, სწორმოკარიანი მცოდნე და დამფასებელი იყო  
ხელოვნებისა. მისთვის გერმანია სხვა არა იყო არ, თუ არა  
- გერმანული ლიტერატურა და ხელოვნება. მან ყური არ  
ასთხოვა თანამედროვეთა მამულმიწილურ ყვირებს და ახ-  
ლისაც არ გაეკარა შრუსის ნაპოლეონო ომებს. ფაკულ-  
ტეტის კურიკულუმ-ვიტაში კი ამაყად ჩანენია: „შე მამამიწე-  
მა კოსმოპოლიტად გამზარდა. ჩემი სამშობლო გერმანია-  
ზე გასძლიებული დიდა. მსურს ვემსახურო კაცობრიობას  
არა შემშით, არამედ - თავით“.

ფარის ვაცობა, განსხვავებით ფიხტბეგანს, არ ისურვა.  
ფიხტბე ფიხტა. შოპენმაუერის კი ქონდა ამის უფლება.

ხელოვნების დიად ზემოქმედებასა და საიდუმლოებაში  
შოპენმაუერი ღრმა მეტაფიზიკურ მხარეს ხედავდა; ხე-  
ლოვნების მთელი სიღაღდე და საიდუმლოება ისაა, რომ მა-  
ყურებლად გვაქცევს და საკმაო საფუძელს კანონისგან  
ანუ საგანთა უწყვეთ ფაჭვისგან გვათავისუფლებს - ჩვენ  
ამ ფაჭვის რგოლი აღარა ვართ. ამიტომაც უსუნები ჩვენს  
წინაშე გადაიხლება, ვითარცა „ალტგონური იდეები“ ანუ  
ახალიბადს სარკში არაკლივი არამიწიერი ქმნილებანი.

ნეტარ არს, ვინც ვზიარა ამ დიად საიდუმლოს; ვინც  
ისნავლა საგნებისად და ცხოვრებით ტკობას. ის სულ უფ-  
რად და უფრო გადაეჭვევა თვითონ ცხოვრებას და დაადგე-  
და კაცობრიობის მარადიული მღაღღარას, ბუდას ზვას.

განრიგების ეს პიწილია ზვა შოპენმაუერის მიწინადა  
კაცობრიობის უმაღლეს მონაწილედ. ამიტომ აღმოსავ-  
ლურ აზროვნებას დასავლურზე მაღლა აყენებდა. მის სა-  
წერ მაგიდას ამშვენებდა ბუდას ქანდაკება. ფილოსოფიო  
ტრაბახობდა: თვით ტიბეტურ ბრინჯაოსგან გამოვყვე-  
თინეო.

ვეროპული ფილოსოფიის მწვერვალად მას კანტი მიაჩ-  
ნდა. კენისგებულე გენიოს მან სწორედ პიწილბიწი  
გადასახედინდა; ღრმა უფინიშნადური განწყობიდან დაინა-  
ხა და აღიქვა. რასაც სინამდვილეს ვუნდობთ ხოლმე, კან-  
ტის სწავლებით, ჩვენზე ნაწილისახება. მართლა ნამდვილი  
კი ამ ლანდის მიღება. შოპენმაუერმა მამიწივე იგრძნო, რომ  
აქედან შეიძლებოდა ფილოსოფიურად გაჭირა პიწილითა





სწავლებისკენ. მაგრამ მას წერვები მოუშალა პეგელმა და მისმა გუნდმა, ვინც ეს კარი ამოკლავდა.

აი აქედან უნდა შევხედოთ მის დაუფრავ სიძულელს პეგელისადმი და არა წერლობაში ამბებიდან. კულტურულ პროფესორებს უფართო სკანდალის შექმნა შოპენაუერის ქვეყნებისაკენ. მათ არ ესმით, რომ დიდი მოაზროვნის ქორეველუბაზე კი დიდ მოტივებს ფარავს. მაიტი ქვეყნა შეიძლება უფროდ სამაბს უკავშირდებოდეს, მაგრამ წყარო უთვრად დიდი მოტივები.

1820 წელს შოპენაუერი შეეცადა ფილოსოფიის კათედრის დაკავებას ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც იმხანად გერმანიის პირველ ფილოსოფოსად აღიარებული პეგელი კითხულობდა ლექციებს. საბჭოზე, სადაც პეგელიც მონაწილეობდა, შოპენაუერმა საცდელი ლექცია წაიკითხა. მერე ცხრილში თავისი ლექციები პეგელისას დაამთხვია, რათა გაჯიბრებოდა მას მსმენელთა რაოდენობით. მაგრამ გრანადის ავტორიტეტმა თავისი გაიტანა და შოპენაუერის სემესტრი წარუმატებელი აღმოჩნდა. განაწყენებულია ის დატოვა უნივერსიტეტი, რომ სემესტრზე კი არ ჩაუთავებია. არადა, ხელშეკრულება ოცდაოთხსესტრანია იყო.

პატიმრობეყარ ფილოსოფოსს, ცხადია, ეს ამბავი უსიამოვნოდ ჩარჩა გულში. მაგრამ მის მიერ პეგელის ფილოსოფიის და თვით პროფესორის ლანდვას მინც სხვა, უფრო ღრმა მიზეზი აქვს. ის დარწმუნებული იყო, რომ კანტის მონაფებმა მასწავლებელი ვერ გაიგეს და მის მიერ განთქმული სწორი გზა გააშორეს.

ამიტომ შოპენაუერი დასცილდა არა მხოლოდ პეგელს, არამედ – მიულ ამ გუნდს: იაკობს და მლეგელს, ბაადერს და შლიერმახერს, ფონტს და შელინს; ხოლო პეგელს – ყველაზე მწვავედ, რადგანაც მან კანტის ეს მახინჯი გავრცელება ყველაზე სრულყოფილად წარმოადგინა და თან დიდი სახელიც მოხვეჭა. სწორედ ეს იყო საშიში. ამ დიდ სახელს შეეძლო საბედისწერო შეცდომის, უგემოვნების საყოველთაო დამკვიდრება და დაკანონება. ამიტომ გერმანმახელი ფილოსოფოსის მათარაბები, ზემოსხნებულ ფილოსოფოსებს შორის, ყველაზე მეტად პეგელს მოხვდა.

პეგელი იმდენად საშაულო კონების კაცად მიაჩნდა, რომ არც ეს ეკამათებოდა. ამ დროს უთუოდ ხელმძღვანელობდა ვოლფერის შვედონები: დედამინა ბედმძღვანელია ადამიანებით, რომლებიც დალაპარაკების ღირსნი არ არიან. მისთვის მხოლოდ მწვავე საარკაზმებს იმეტებდა. მითხველს აერთხილებდა: ზედაც ეს შეხედავთ იმ ადამიანის ნაწერებს, ვინც სახით მიკატანს პეგელს.

თურმე ვე იტყვით, თავისი მწარე გამოსცდილება ალაპარაკება. ახალგაზრდობაში პეგელის „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია“ შეუძენია ბუკინისტთან და მეორე დღესაც უკან მოუბრუნებია. თანხა აღარ მოუთხოვია – ქუჩის სწავლის საფასურად იყოსო.

შოპენაუერის იმდენად ის კარ აღიზიანებდა, რომ პეგელმა კანტს სწორედ ყველაზე დიდი დამსახურებები ჩაუთვალა შეცდომად და „მსგავსად უგუნური ინდივილისა, შორს გადასატყორცნა მარჯალღი უფიქრებასესი“; არც ის, რომ ამისთვისა ზაროვნებისა და წერის ფრანად საძაქველ სქემა გამოიგონა: „თეხა – ანტითეხა – სინთეხა“. მას მეტადრე აღიზიანებდა ის, რომ ყოველივე ეს სწორედ კანტის განვითარებად ითვლებოდა; ხოლო ამ პროფანაციის

მეთაურებად: ფონტე, შელინგი და პეგელი კანტის დიდ მეცნიერებად ცხადდებოდენ. შოპენაუერს ეს ეჩვენებოდა კანტის საფლავზე გამართულ უხამს ფარსად.

ხოლო ამ ფარის საბედისწერო შედეგები უნდა მოჰყოლოდა მთელი ევროპული კულტურისათვის. ადამიანი თავიდან იცილებდა ცოდვილის ბიბლიურ დამალს და თავისი ფრად სახტეო ავლა-დიდობი იკავებდა ღვთის ადგლს. იმედა, რაივე ვერ კიდევ აღორძინების ხანის უღრეს სილადში ფეთქავდა და ჰუმანიტი მირანდოლა ახმოვანებდა დიდი ზარ-ზეგით!

ადამიანი შემოქმედის ტახტს ეპოტინებოდა. ადამიანური, ერთობ ადამიანური“ ცხადდებოდა ღვთაებრივად და საიდუმლოსგან გამძარცვული, პროფანირებული ქვეყნიერება ბიზნესის საფანი ხდებოდა.

ამიტომ მარქსი არ შემცდარა, როცა პეგელის ცნებათა მოძიებაში“ ფულის, საქონლის და ისევ ფულის უხამსა საშიშა ამოკლავდა. შურისატანის ბიბლიურ ღმობი შეგების მოძრაობა წარჩინებულ კლასთა მალაფარდოვან ნათხზავად ეჩვენებოდა, რომლის მიღმაც სრულიად მდაბალი, ნიუთონი ინტერესები მეფობს. ხოლო მეფეებისა და ხუტების კვერთხები უზადრეკი პრობითობებია, რომლის სიღრმეც მყარად დაგანა მიშველი უჯუგები და ყოინით მოაკორებენ მსკრონის ტალღებს.

მარქსი არ შემცდარა მეტიკი ამაში და ის შვედულ უფრო წინასწარმეტყველურად იყურებოდა ამ პეგელ. მარქსი სხვა მხრივაც პირადად ჩემთვის მიუღებელი. დასაქლური კულტურის ამ საველად შედეგს ის რელიგიური აღტყვებით ეტყებოდა და უჯუგების ცივილიზაციისათვის ახალ ბიბლიას წერდა. დღეს მარქსი „სოციალური ნაწიტიქონილიგორს“ პირველ მინადა და იმდენად მესიტყვედ მოჩანს.

შოპენაუერი კი „ჯუგების შემოსება“ დაუფრავი ზიზლით და გრინასებით ხვდებოდა. მან სხვა გზა არჩია – არ იკადრა ცივილიზაციამ გარეჯა და განხვედლობა ისურვა. ადამიანს ცნობიერება იმად ეტლევყო, – ფიქრობდა, რომ თვითონვე მოაშთოსო თავის თავში მსოფლოს დაუსრულებელი მოძრაობას და ტანჯვის წყარო – სიცოცხლის ნება; ისევე, როგორც აკვანში მოვლულენ ინდრამ მოაშთო უშველებელი გველი რძიან ხელბით.

აქედან უნდა შევფასოთ შოპენაუერის. ყური არ უნდა ვათხოვოთ კარგი მანერების მოქალაქეთა მიერ მის ქორეველობათა განსჯას. ის უნდა შევფასოთ არა მისი ქორეველობების, არამედ ნაწერების მიხედვით. ის დიახვ დაბალი წარმოდგენის იყო აღიზიანებუ; მაგრამ მხოლოდ იმტომ, რომ ადამიანად ყოფნა ბედისწერად მიაჩნდა; სწორედ ისე, როგორც ჩვენს ილიას, ვაჟას, დიდოსტავ კონსტანტინეს. დიახ, ბედისწერად და არა სტატისტიკად და შემთხვევად, როგორც – ჰომო ფაბერს, ვინმე დასაველდ ლიბერალს.

„ნისლი ფიქრია მიებისაო“, გულწრფელიად და დიდებულად თქვა ვაჟამ. შოპენაუერსაც ხიზავედა მსგავსი სახე: ნისლებიდან ზეახეტელი და მოკრიალეებულ ცაში ატყორცნილი მონბლანი გენიალურ მოაზროვნეს ავირებდა. თვითონვე მონბლანით ცხოვრობდა – ქვეყნიერების ყაყანს განრდებული, საკუთარ ფიქრებში მცურავი და მუდამ მათხვ გამარჯვებული.

მონბლანის სახით აღტყვებულ შოპენაუერს სრულიად უწინააღმდეგება ახალგაზრდა თავადი ჭეჭავაძე, ვინც თერგი ამფობინა მყინვარს. მას, დაჩაგრული ქვეყნის



შვილს, სულ სხვა საზრუნავები უღრღნიდა გულს. ამიტომ ქუჩაში თერგისგან განრიდება და მყინვარისებური სპექტაკლი სინამტრეე ფუფუნებად ეჩვენებოდა.

ქარგი მანერების საზოგადოებანი იმპუშნებთან ხოლმე და ცდილობენ წინააღმდეგობანი აღმოუჩინონ შოპენშაუერის ამოსავალ აზრებში: სხევისთვის პესიმიზმს ქადაგებენ, თვითონ კი გვარიანად ტუბერკულოზს ცხოვრებენ. მისთვის სიამენი რომ არ ემეტებათ, ეს ცხადია; მაგრამ, რაც მთავარია, მათ არ ესმით დიადი პესიმიზმი. ეს ტუბოზის უარყოფა პგონიათ. მაგრამ გაანია, რითი ტუბები. დიადი პესიმიზმი მდებალ სიამეთა უარყოფაა, თორემ სწორედაც ტუბობაა შემეტყნებითა და მისგან მოგვრული სიმშვიდით. ამიტომ ხუმრობდა შოპენშაუერი: ჩემმა აზრებმა ეყრანაირო შეშოსავალი ვერ მომიტანდა, მაგრამ ზედმეტი ხარვეზისგან კი გამოსავალს უფლავა.

სწორედ ასეთი თავისუფლებით ტუბება პესიმიზმი. ის უჭირვტეს ქვეყნის არარობას; კი არ მონაწილეობს მასში. ის პესიმიზმის გმირი კი არაა ვაკომო ლეობარდებით და ტერენტო გრანელივით, არამედ – პესიმიზმის პოეტა. ამიტომ არ შევცდებით, თუ ვიტყვი: შოპენშაუერმა იგალობა პესიმიზმი.

ხოლო რაც შეეხება წინააღმდეგობას ამოსავალ აზრებს შორის. ამგვარ წინააღმდეგობათა გამოხატეკა შოპენშაუერის უახმოსადად მოაჩნდა. მართლაც: ვისაც გეშევენება არ უყოფნის დიდი აზრებით ტუბობისათვის, ის წინა-

აღმდეგობებს აღმოაჩენს შიგ და ამით ანგარიშს უსწორებს ავტორს.

წინააღმდეგობისა მხოლოდ ლოგიკოსებს ეშინიათ, რადგანაც არის ტოტალეს საჭურისები არიან. სინამდელოე კი წინააღმდეგობებისგანაა შეკერილი და სინამდელის გამომთქმელი გენოსიც წინააღმდეგობებისგან ქსოსს თავის უხადო ქმნილებას, ნარუვალ სვეტიცხოველს.

შოპენშაუერმააც შექმნა თავისი ნარუხოცელი სვეტიცხოველი – „სამყარო ვითარცა ნება და ნარუოდგენა“.

წორგვეცამი ყოფილა ერთი საოცარი ტბა, რომელსაც მელანქოლიურ ტბას ეტყვიან თურმე; ტბა, ციცაბო კლდეებით შემორავებული და უსამველოდ ღრმა. მზე ვერ ატანს თურმე შიგ. მხოლოდ ფსკერზე აირეკლება ხოლმე ვარსკვლავიანი ცა. მასზე არც ფრინველი გადაფრენს როდისმე და არც ტალღა ვადიშობილებს.

ამ იღუმალ ტბას შეადარა ერთმა ლიტერატორმა შოპენშაუერის მთავარი ნიჭი. შეტყვორამ უზომოდ გააბარა თურმე პირქუში ფლოსოფოსი.

მხოუცებულ შოპენშაუერს, უკვე აღიარებულს და სახელობებუქლს, კეთიხეს, თუ როგორ დანერა თავისი შედევრი. მე ჩემი ნესი მატქსო, უპასუხია ზოგადად; ენერ, როცა სათქმელი მატქსო. თუ ეს ჩემი ნესი საყუველთაო ნესად იქცა, მამში დედამინაზე თითო-ორულა ნივნილა დაინერება და გვეშეველებაო.

ახალი ნიგნავი

მარინე ტურავა

გარღვეული ლაზირინთი



სოსო ნადირაპის „საკისუზარი ჩადრი“

სოსო ნადირაპის მკითხველი იცნობს როგორც ჩინებულ პოეტს, არაერთი პოეტური კრებულის ავტორს. „ზაკისუფარი ჩადრი“ მისი დეპუტატა რომანის ეანრში. დებიუტი ყოველთვის საფრთხილია, ბეჯის ხიდზე გაეგაა, არადელიდა. მით უფრო, რომ პოეზიიდან პროზაში მოსული დიდი მწერლებიც გვეყავს, ამინდა რომ ქმნიან თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. დებიუტის შეფასებაც არ არის ადვილი, თუმცა შევეცდებით რამდენიმე მოსაზრება, შთაბეჭდილება გავიზიაროთ.

ნიგნი ადვილად იკითხება, თავის თავს გაკითხებს. გეულისმბობ, რა თქმა უნდა, მატერულ ქსოვილს, ფაქტურას, რადგან შინაარსობრივად რომანი საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს თემებს ეხება — საბჭოური „დედოქმინიდან“ დაწყებული ი აპირილის ტრაგედიათა და აფხაზეთის ომით დასრულებული. მერამ მამარდაშვილს ეკუთვნის სიტყვები: „ლიტერატურის

რალაც გარკვეული ნაწილი ჩვენთვის დახურული რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, არ ხდება მისი დამთხვევა ჩვენს ცხოვრებისულ გზასთან და, რაც მთავარია, საკუთარ თავს ვერ ეპოულობთ იმაში, რასაც კითხვით მიღებული შთაბეჭდილება გვეუხმება.“

რომანში აღწერილი მოვლენები თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, ამიტომაც კითხვით მიღებული შთაბეჭდილებები ძალიან ემოციურია. ამ თვალსაზრისით ეს ნაწარმოები ღია და მისაწვდომია მკითხველისათვის.

მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, პროზას სჭირდება დრო, მასში აღწერილ მოვლენებს გამანძილება, დისტანციოდან აღქმა, რაც ამ ნიგნს აკლია. ამიტომაც იგი იმპულსურია, ემოციურიც. ტექსტს ეტყობა, რომ მისი ავტორი პროზაში პოუზიოდან მოვიდა. რომანში, ერთი შეხედვით, პროზისათვის შეუფერებელი მეტაფორებიც

გვხვდება: „პებერი მატარებელი ჩემი მხოველი პაპა გვეგონა და წარსულის ძლიერმფეთქებ ფესვებს ვებღაუჭებოდი მის პრესტიჟიულ მუღღებზე ჩამომხსნდარი“, „პაქნიდან ჩვენს გოგონებთან ერთად ჩვენს თავანჯარულ დროზასაც მივაცილებდით“, „დღესაც ვერ გამოვიკა... ყოველგვარ ზღვარს გადასული ახალწვეულები უფრო აუტანლები ვიყავით სიცოცხლის იმ თორმეტი დღისათვის... თუ ის ჩვენითვის“, „ამ წელიდან ის ძველისძველი ვიოლინო ჩემი სული იყო...“ თუმცა ავტორი ახერხებს ეს მხატვრული სახეები მარჯვედ მორაგოს პროზას.



რომანის მთავარი პერსონაჟი ზეზვა, რომელიც გამოკვეთილი იდეურია, მის გარშემო მუდამ ეპოქის სული ტრიალებს. მისი მთავარი ფორმულა — მაღალი ინტელექტი და ზნეობა ერთმანეთს თავგანწირვას. ზეზვას სახე იდეალიზებულია, მხოლოდ დადებითი თვისებების გამო იგი ხატს უფრო ჰგავს. მეორე პერსონაჟი ზურა, თვითონ მთხრობელი, უფრო სანტიმენტრესია თავისი არასრულფასოვნების კომპლექსით, ადამიანური სისუსტეებით, თვითირონიით. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ორივე — ზეზვაც და ზურაც — ერთი ხასიათის ორ მხარეს განასახიერებს: ერთი ძლიერს, ზნეობრივს, თანმიმდევრულს, მეორე მერყევს, ცვალებადს, სუსტს, მაგამ ადამიანურს.

მწერლის ოსტატობა უფრო მოქმედების აღწერილისა იგრძნობა, რომანში სტარობს ავტორისეული რუმბოკები, რასაც პუბლიცისტური იერი დაჰკრავს. იმას, რასაც პერსონაჟები თვითნატი ვეციეთ, ცხოვრების წესით, საუბრით უნდა გვეუბნებოდნენ, ავტორი ამ რუმბოკებით ავსებს. რომანს ეტყობა თანამედროვე ქართული პროზისათვის დამახასიათებელი ნატურალიზაციის კვლიც („დღეს ავანგარდშიმად საღვებია ნეონატურალიზმი, თუმცა ყველაფერს წყვეტს არა სტილი და კონცეფცია, არამედ ტალანტის ძალა, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს“ — სოსო სიგაჟა). განსაკუთრებით ძალადობის სცენებში, გავრის სტადიონზე განთითარებული ტრაგიკული მოვლენები ნატურალისტურად არის აღწერილი, რაც მკითხველზე მძიმედ, მტკივნეულად მოქმედებს.

ავტორი არ რუსეთს გვიხატავს. ერთი მხრივ, არაყზე, სასმელზე მოდარაჟე, უზნეო ოფიცრებისას, მეორე მხრივ კი კაპიტან პალიონის რუსეთს, რომელმაც დიდი ნიჭის მიუხედავად, სამხედრო კარიერა იმიტომ ვერ გაიკეთა, რომ პროტესტის ნიშნად ხაკისფერი ლაბირინთი გაარღვია (ხაკისფერი რომანში არა მხოლოდ საბჭოთა ჯარის, არამედ პროტესტის იმპერატორის სიმბოლოცა) და სამჯერ გადაიფრინა სსრკ-იარანის საზღვარი. ამ რუსეთის სახეა ულანაზისი და უნრფეული კატინკა.

მთელ რომანს გასდევს კავკასიური ერთიანობის იდეა. სამხედრო სამსახურის პირველი დღიდანვე აზერბაიჯანელი ბაზირა, ჩეჩენი ვაზა, სომეხი ვართანა ქართველებთან გახიზნაბდებენ თავს. მხოლოდ ერთიანობით ამარცხებენ კავკასიელები „დედოქმინას“ და იცავენ პი-

როვნულ იდეებს. თბრობის ეს ჯაჭვი, ერთიანობის იდეა, ბოლომდე შენარჩუნებული.

ეპოქის სურათი დაუსრულებელი იქნება და ქურდული სამყაროსა და ძველბიჭოვის ინსტიტუტის გარშემო. ავტორის კანონიერი ქურდი, ქართველი თავადების შთამომავალი თორნიკე ჩიქოვანი შემოკავას, რომელიც, სიკვდილის წინ, ძმების წინაშე აღსარებას წარმოთქვამს. იგი საკუთარი ცხოვრების ანალიზს აკეთებს და ასკვნის: „ნათელი იდეოლოგიის უზიღავმა ხელმა წაწორედ მტკიცე ნებისყოფის, იდეისთვის თავგანწირულ ადამიანებს ჩავგინაცვლა მამულიშვილური იდეის მაგიერ ქურდული იდეა.“

თორნიკე ჩიქოვანი საკუთარ თავს იმპერიის მიერ შეთხზულ სუბლიმიაციის თეორიის მსხვერპლად მიიჩნევს და ერთგვარ ანდერძად ტოვებს — ახალგაზრდებს ჭმუშარტებისაკენ შემობრუნებას სთხოვს. თორნიკე ჩიქოვანთან არის დაპირისპირებული პოლიტპატიმარი მერაბი, რომლის გვირგვინი ნაწარმოებში არ ჩანს, მაგრამ მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, ვისაც გულისხმობს ავტორი. ეს ანტითეზა თვით პერსონაჟის — კანონიერი ქურდის მიერ გაელერდება.

მთელი რომანის მანძილზე რუსული იმპერიის პიარ-მანქანა ოსტატურად, ნიჰანიზმითულად მუშაობს. ამ ფონზე ირონიულად იხატება პოლიტკაბინეტები, იდეი ბელადის პორტრეტის ქვეშ, ჯარისკაცთა საუბრები იმპერიის დამლაშე, ქართველი და კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობაზე. ზეზვა და მისი თანამებრძოლები ეწინააღმდეგებიან იმპერიის სურვილს — კავკასიელები ყველავც კომფორტულ, უსაქმურ პატილონებში აშასურონ და ორი ნელი უქმად გაატარებინონ. რომანში ქართველთა ცხოვრების ის მონაკვეთია დაბატული, რათა ერმა ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყოს იმპერიის ბოროტი ზრახვების გაცნობიერება და ეროვნულ ინტერესებზე ფიქრი.

„ხაკისფერი ჩაიჩის“ ავტორი იდეალისტია, მის მიერ დახატული მოვლენები, განსაკუთრებით ახალწვეულ მეცხრე ვაკონი, ჯარის მეგობრობა, უფრო სასურველი, იდეალურია, ვიდრე რეალური. მწერლის მხატვრული სტილიც ჩამოყალიბების პროცესშია. ეს წიგნი ავტორის პიროვნებაში დაგროვილი განცდების, ემოციების, ტიპილის გადმოცემაა.

ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში ალბერ კამოშ თქვა: „შემოქმედმა ნაწარმოების შექმნისას ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს გარემომცველ რეალობას. იგი მიზნად არ უნდა ისახავდეს რეალობის სავანებოვად ასახვას, რადგანაც რეალობა ავტორის ნების გარეშე მოახერხებს ნაწარმოებზე შედრევას.“

ჩვენ ველოდებით სოსო ნადირაძის ახალ წიგნებს, სადაც რეალობა თავისთავად, ბუნებრივად შემოაღწევს, მით უფრო, რომ ავტორს აქვს ნიჭი, მისი წიგნი ცოცხლად, მიმზიდველად იკითხებოდეს. თანამედროვე უცხოური ბესტსელერის მთავარი მოთხოვნაც ეს არის, იყოს საკითხავი და ადვილად აღსაქმელი.

გოგი ჩაგელიშვილი

## ნიკო ფიროსმანის და ვან გომის უხვედრა

გამოუქვეყნებელი ნაერილი ქმან — თეოდორს



წერილის მონერა ცოტა შემავიწყდა, თუმცა ამის მიზეზი ჩემი ახლადგაცნობილი სტუმარი იყო. წინა რამდენიმე შუთიანი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, სასიამოვნო დღეები მოვიდა, ნიკომ ლამაზი დღეები მაჩუქა. ერთ თვის ჩემთან ცხოვრობდა, ვინმე სარჯაშვილს, მეცენატს (უცნაური

გვარია), გამოჰყოლია კავკასიიდან. ჩემს ქვეყანას „ფორთია“ უჭეოაო. რკინიგზაზე უმუშავია. სარაჯიშვილის მოახლემ, საწარმოებშია ქალბატონმა, მოიყვანა. ახალგაზრდა კაცი დანტრერესებული ყოფილა მხატვრობით. მის ჩემთან ყოფნა სრულებითაც არ შეუწუხებია, პირქით, რაოდენ გვერდებდა, მცირე ხნით მაინც, მხატვრებს ერთად ყოფნა. ეს კაცი ჩემთვის გამოცანად დარჩა. რამდენიმე მისი ნახატი დავიკოცე, შემდეგ გამოვიგზავნი. ჩემ მიერ ფანქრით შესრულებულ მის პორტრეტს გიგზავნი. პირველად იტალიელი მეგონა. ძალზე მორიდებულია. დილაუთენია დგებოდა, ფეხის წვერებზე დადიოდა. მისი მორიდება ავადმყოფური მომეჩვენა. მოგარბო სახე, შუაზე გაყოფილი თმა. მაღალი კისერი, ლამაზი ფორმის თავი. შევლივით ნაღვლიანი თვალები. კენიანი ცხვირი დიდი ნესტოებით. საშუალოზე მაღალი ტანისა, ხავერდოვანი ხმა. მის სახეს ტანჯული კაცის კვალი ტყავობდა, ჩანს, მძიმე ახალგაზრდობა ჰქონდა. დიდი, მოძრავი ხელები აქვს, საუბრის დროს უყვარს ხელში დაჭჭჭუნული ქალაღის წვალევა. უფრო ჭკნტიოა და მიმოიქცევა მავნებებს სათქმელს. ჩემმა ფერწერამ ალაფრთოვანა. მის გულწრფელობაში ეჭვი არ შემპარვია. ახეთი აღტაცება ჩემი სურათების მიმართ გოვენსაც არ გამოუმჯობავებია. დავინტერესდი მისი მხატვრობით. ტილო და რამდენიმე ხუთის საღებავი მივეცი, უფრო სწორად, თვითონ ამოარჩია. შევთავაზე, პლენერზე ჩემთან ერთად ეხატა. მომადებულად უარი მითხრა: აქ დაეხატავ, თუ ხელს არ შეგინდოაო, ასე მიჩვენებია, ასე ვარ მიჩვენებული. ტანტურეტი კედელთან მიდგა, ზედ ტილო მიყვარდა. პალიტრის მაგივრად დამტრეული კრამიტის ნაჭერი გამოიყენა.

შემეკითხა, რა დავიხატო... პირველად ვერც ვავიგე, რას მეთუნებოდა, რაც გინდა-მეთქი. მერე ხუმრობით ვუთხარი, გარეთ მანანაა ძალი რამ შეგვხვდა, ის დახატე-მეთქი. ტილოზე ძალის კონტური პირდაპირ ფუნჯით შემოხაზა, მის უკან — იმ მთის კონტური, რამდენიმე თვის განმავლობაში მე რომ ვხატავ. ზემოთ, ისეთი მისგავსებით შემოხაზა, თითქოს ნატურიდან ხატავდა. ჩემ მიერ მიცემულმა შავმა საღებავმა არ დააკმაყოფილა, ლუმელიდან ნახშირი გამოიღო, დაფხვნილი შავ საღებავსა და ლაქში დიდხანს ურია... სიბრტყეზე დახატულს გაფერადება დაუნყო, ისე, როგორც ბავშვები აფერადებენ ნახატს. იმ დღეს სამი ტილო მაინც დაფერა, ისე, რომ ნახატები დასრულებული იყო. მეც ზოგჯერ ძალიან სწრაფად ვამთავრებდი სურათს, მეგონა, ეს ნაკლი იყო. ხშირად მიგზრუნებულვარ ხოლმე ნამუშევარს და გამოფუჭებია.

ნიკოს ცხოველები ადამიანებზე იყურებოდა, სათნო, სიკეთით სავსე თვალებით შემოგვიყურებდა. როგორც ბავშვების ნახატებია ცოცხალი, ისე ნიკოს ნახატებია სიცოცხლით სავსე. ნეტავ გოგენს ენახა მისი ნახატები, ის ხომ შეყვარებულია ბავშვების ნახატებზე. ბავშვები სამყაროს სხეანაირად ხედავენ. ამ კაცში ბავშვური ხედავა კლასიკოსების გამა, კოლორიტი, ფერი ერთად არის შერწყმული. ესპანურ სკოლას მომაგონებს. მისი ფუნჯის თავისუფალი მონახში მყარია. ის ფერს არ აწვალებს, როგორც ჩვენ. ნიკოს არავითარი სკოლა არ გაუვლია. მის პალიტრაში მავი ფერი სჭარბობს, თუმც სურათი ძალზე ფერადია. ერთი-ორჯერ გამომყვა პლენერზე. ივდა ხის ჩრდილში, არაფერს აკეთებდა, პატარა ბავშვებით ათვლიერებდა გარემოს. „რატომ არ ხატავ-მეთქი?“ — ეკითხებ. „ზემირად ხატვა უფრო მეადვილებია“. ცოტა არ იყოს, დამაყვავა ჩემმა ნახატებმა. ეგ ეტოუდი, რომელსაც გიგზავნი, ზემოთ დევადე მომწონა. ვოგენიც ზემოთად შემწილ სურათს მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

ნიკოს სმა უყვარს. ღვინოს ისე არ შესვამს, თუ რაღაც სადღერდელი არ წარმოთქვა, უსულოსა და სულიერის — ყველაფერის სადღერდელის სვამს. ეტყობა, მავადხანთან დიდხანს ვჯობა საამოვნებს.

მინდა, მაინც იფიქრებოდა მოცულ მის ნახატებს დაფერებდე. ცხოველებიც, ადამიანებზე ჩვეულებულნი, კი არ გიყურებენ, სადაღაც სივრცეში იცქირობან. მისი თვალი ფოტობიექტივითაა — წამი და მის მიერ დანახ-



ული ტილოზე იხატება. არც ერთი ნივთი, ლაქა მის სურათში ზედმეტი არ არის, ყველა ერთად საოცარ პარმონის ჰქმნის. უფვარს შავი, ლურჯი, ჩალისფერი. გადაადგებული თუნუქის ნაჭერი ნახა, ოდესღაც სასაუზმის ფირნის ნარმოადგენდა. რკინის ზედაპირზე ისე ოსტატურად დახატა ცხენიანი კაცი, შეგშურდებოდა. მის გვერდით ჩემი სურათები ცოტა ტყვილი მომჩვენა. პოლო სურათს რომ გიგზავნი, ჩანს მისი გავლენა, საგნებს შავი კონტური უფრო გავემძაფრა.

გოგენი მეუბნებოდა, ბავშვებისგან უნდა ვისწავლოთ ხატვაო. ნიკო ბავშვიც არის და დელაკრუაც.

ვითომ გაუნათლებელს როგორი ფერწერა აქვს — მისი ფერები მღერიან აი, აქ შემოიღია თავისუფლად ვიქცა, რომ ფერწერა ღმერთისაგან ბოძებული ნიჭია, ისე, როგორც მომღერალად დაბადდა. ნიკოს ფერწერა ზომიერია, ის ფერს არ ახვალებს, იშვიათად თუ გადასწერს სურათს, სამყაროს ბავშვის თვალში უფერებს. ის მინაგანად ისეთივე სუფთაა, როგორც მისი ნახატები. მის მორიდებულობაში იგრძნობა დიდი სიამაყე. ის პიროვნებაა. ხედავს, რომ მიქლარს და ცდილობს, არ შემანახოს; ჩემ მიერ მიცემულ საღებავებს აგინაზღაურებს. რკინიგზაზე ცოტა ფულს რომ ვიშოვნი, ჩემს ქალაქში პატარა დუქანს გაეხსნი, გაჭირვებულებს დაევიწროებ, თან ვხატავ და ვხატავო, ძალზე ლამაზი ქვეყანა მაქვსო.

ნიკოს ნახატებში სინყნარება, ჩემსაში — სიცივე. მე ვმუშაობ სურათს, მინდა, ავამღერო. ნიკო — ბავშვითი აფერადებს ტილის სიბრტყეს, ყოველგვარი ჩანახატის, ეს კიზის ვარემე. მისი მოხანსში უტყუარია, არავითარი ზედმეტი ნახატები. ეტყობა უსწავლელობა, რაც შესაძლოა, ფასს დაეგდებს მის სურათს. მე თუ მკითხავ, სწორად ასეთი ნახატი არის მხატვრული და არა — ანატომიური სიზუსტის დაკვით შესრულებული. მისი ყოველი ხაზი ცოცხალია. ჯერ ათ წელიწადს ისწავლე ფიგურის ხატვა, ამის შემდეგ მონივრულ მხატვრობაო. ეს ნიკოს არ სჭირდება.

ძალიან ჰყვარებია აღდგომა, ბერი სურათი მაქვს დახატული ამ თემაზეო. იმ დღეს მშესუმიზირების ნატურ-მორტზე ვემუშაობდი მიელი დღე. არაფერი გაუკეთებია, ჩემს შრომას ადევნებდა თვალს. დიდი მხატვარი ხარო, შენი ფერწერა მღერისო, — აღფრთოვანების ვერ მალავდა. ასე არავინ მამფერებია, ნამო, დავლითო, ეს სურათი შედევრია, აღნიშნის ღირსიო, მე კი ვუბნებოდა: „შენ ერთ სევანსში ისე უშუალოდ ხატავ, გავგონება, ბუღბუღი გალობს, დროისკავით ერთ სევანსში ამთავრებ სურათს-მიქი“. დომივს სახელი ალბათ პირველად ვაიგინა.

როცა მუშაობით გადადილობს, გამოწონებს, ჩემს ნამუშაოში არ მომწონს, ნებისმიერი მხატვრის სურათს უფრო უკეთესად მოვიწინე. გამოცდილებით ვიცი, რომ ეს მცდელობა არაა, ვერც კვლავ დროის ვასვლის შემდეგ ობიექტურად აფასებ გენს ნამუშაოს. ნიკოს ნამუშაოებს რაც მეტად ვაყიარებდი, მით უფრო მომწონს. ცოტა ხნით უბანტლოვს უნდა შევეშვა და მონასში ვაირიგებთ უნდა დავემყოფილდე. ერთი ამოსუთქით შესრულებულ სურათში ფერები არ ჰყარგავს ძალას, ნამუშევარი უფრო ხასხასა, ცოცხალი გამოიღის.

გოგენისთვის ნაყიდი ჩალის ლეები ნიკოს დაუთმე. უარზე იყო. არ ვიცი, სად იშოვნა ერთი შეკერა თივა. თიხას კუთხეში გაძალა: „ასე მირჩენია ძილო“.



მხატვარი არაკო ფაჩულა

გულუბრყვილო [იქნებ, არცთუ მთლად] კითხვა — იქნებ, ამაღაც გაჭრა წველაში...

მღვდლად შიოს მშა, გიორგი ეკურთხება...

„რევოლუციის საქავაე“ დაიტანს...





ლევანდით, მღვდლად ხომ შიო უნდა ეკურთხებინათ (და არა გიორგი)...

„სირცხვილია, რომ მაგ სამონღლებებში პოეზიამ არ გაღვიძროს“, ტრაგიკული სარკაზმით (სულ სხვა კონტექსტში) იტყოდა ტატო, ბიძის მისწრდა — სხვის ეპოპეაში გადავარდნილს.

ყოფის „სამონღლებებში“ დიდებული ნოველები გაიღვიძრებოდნენ, მერე — რომანიც.

ტრაგიკული, უსაზღვრო ტკივილის დამამარხველია ისტორია შიო არაგვისპირელისა როსტომ ჩხეიძის დიდებულ რომანში.

მაგრამ, ამბის მთელი ტრაგიზმის, ტრაგიკული მშვენიერების მიუხედავად, ეს მაინც ერთი კაცის ისტორიაა, სადა კი ვერ იქმარებს ერთი კაცის (თუნდა გაუწილებელი) სატკივარს. ზუსტედა რომ მიგააზღოვოს, სადა ზღაპრული ფანქარვითი გულის სისხლს და ხორცს ითხოვს დეიოურ, საკრძოლურ ზვიარკად, არადა, იქნებ, შუასაწელში, უარესი, ქვესაწილში ჩატკოვოს.

და იყოფება საგა — გულის სისხლით.

[„გული სისხლითააო ნაქოყი“ — გამოიზანებს უცნაური ფრაზა ინტონი მინგელას „ინგლისელ პაციენტში“, „შეორვეს ისტორიაში“ ამოკითხავს პერსონაჟი].

თუმცე საგა სულაც შიოს ეძღვნება, მის პიროვნებას შემოქმედება, შიო მაინც მხოლოდ ერთი სილექტთაგანია საგისა.

საგა სასტიკია: „გაბზარულ გულს არად დაგიდევდა მფისტოკლეური ფაში“ — „მიოხის მოკლელი დრო“.

ყველაფერ — ქართლად და ძალიან, ძალიან შორსაც.

დუღლინისა და თბილისის — პროვინციულურ ქალაქებზე და მცირეობილი დედაქალაქების სილექტებით თითქმის ერთდროულად მოიხსება კალმით.

დუღლინს გათავად აღიქვამს ირლანდიის მარადი ძირით თავგაბებზერებული ფოთის.

არაგვისპირელთან „ავი სუნი და მტვერია“ თბილისური ანტურაჟის მძაფრი დეტალი, „მტვერი და ტფილისის ისეა დაკავშირებული ჩემს გონებაში, ერთის ხსენებაზედ უეჭველად მეორე უნდა მომეგონდესო“.

როსტომ ჩხეიძე განმარტავს უკეთ: „ყოფითი სურათია, თუმცე მწერლის ნარმოსახვა სცოდნება რეალისტურ ფონს და ყოფილევს მიღმა სიმბოლოებს დაძვინებს. პულიოცენ-ტრონიკალი დავსილა ეს სამეფარ, მზის ვარჯიშებით გათანგულა, და ოთარ ჩხეიძე, პულიოცენტრიზმს რომ მიგდებდა შიო არაგვისპირელისა სამყაროს უმთავრეს რომანსადა, ფილოსოფიურ საყრდენად („თბილისის მზე ძვლავს არავის გამოუხატავს ასე თავისებურადა, ასე ძველრება, სრულყოფილადა“) ქალაქის გულში დაგუბებულ შიორსაც თავისებურ გააზრებას მიანიჭებდა და საზოგადოებრივი და ეროვნული დაჯერდომილობის სიმბოლოად დაისახავდა“.

„დავრდომილა“ თბილისი, „დავრდომილა“ დუღლინი... „შინა“ და „მინა“ — ნოველების სათაურებიც რომ ერთნაირი, ერთნაირად საკრალურ-პარადიგმული შეერჩიათ ირლანდიელ და ქართველ ავტორებს!

სხოვნის ტალანტიდან ტატოს წერილის სტრიქონიც ამოსლექტობდა გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან: „თუ ქალაქის ამბავი ვინდა, მსწორე ვითხრა, ბევრი ქორიანობა და ქორიანობა, ორივე ერთია... დიდი

დაძვერებაგია ქალბისა, დიდი აყალმაყალი, დიდი ღამის თევაები, დიდი ნვეულებები ერთმანეთის ჯაერთი“...

„ქალთა დაძვერებაები“ სულაც ცალკე თემაა არაგვის-პირელთან [კლავ ბარათიშელი ნამოგარდნება, სოფიო-სადმი ნაღვლიანი მიმართვი, „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედთა სულაც თქვენი გამოყოფილადიო“].

პოლონელ ქალებს შეჰნატრის შიო, მამული რომ საფიცრად გაუზღიათ. როსტომ ჩხეიძის ძალისხმევით, ფოთის მის აიგორსის — მამულზე უზომოდ შეყვარებული ირლანდიელი ქალის ხატებაც გაკრთება საგამო... ქართველ ქალებს დედაენაზე მეტყველებაც ეთაკილებათ, საუცხოეთოდ გაფაცვიცებულან — მათი სამშობლო მათი გულია...

„ამეფეტა, ზღაპარშიც“ „ქაობია“ ყოფის უზუსტესი პარადიგმა.

„გამჭვირვალეა ქვეტექსტი, მკაფიოა აღევგორია...“

სულ მცირე ხნით გაუჭივრებს სოფელი აღმოსავლეთიდან მოსულ მოგვს, ამოშრება ქაობი, მაგრამ „ახისინდება ქაობიდან გამოირყული გველ-ბაყაყი, ქვეყანა ილუპება, ქვეყანა“.

„გამჭვირვალეა ქვეტექსტი. მკაფიოა აღევგორია“.

სულ ტკივილია, ერთი გამმული გოდებაა შიო არაგვისპირელის ცხოვრების საგა — ფაშია ასეთი [ან, იქნებ, მაღალთა ბედისწერა...].

ლევანდის ფაში ნანისსულყოფი... შავი წიგნის ყდაში მოქცეული, მითოსისგან განძარცული ფაში ახალ მითოსს თხზავდა.

ზნელი მწივლის ზნელ მითოსს კაფკასული ხილვის სიმძაფრეც ვერ გასწვდებოდა. ვერც არაგვისპირელის მოზაიკური „ნატხები“ — ნოველების სათაურებად ჩამოღვრილი საგოდებელი.

„ქვეცე გაბზარული გულის მითოსური მოქროლვა“ [გრ. რომაელი] — შევსებაშმეტებელი ერთს ტრაგიკული ყოფის ანარკელი.

მეფის კვალს გააყვებიან. მათი ადგილი აღარ დარჩება ზნეობამორღვეულ საზოგადოებაში“.

ძველ ფრესკასავით ივლიდა ვასილ ბარნოვი, „გაბზარული გულის“ შედეგებად სახელმწიფელ ტციანის ზვიარკად აქცევენენ, „მითურის მოქროლვის“ გამმჭირებელი რომაქქეს — ყარიბდა... „ახალ დვრეტად“ თავად ლეთაბრივი აკაკის მიერ ხმობლი არაგვისპირელი ნოველების მღვიმეში დაეყუდებოდა...

სხვა დვრიტას შევიარგისებდა უღმერთო ფაში... საგა შიო არაგვისპირელზეა, მაგრამ იქსოვება ეპოქის მრუზე მოკლენი... ვინ გაიკერვებს, ვინ იკითხავს, რადა ეპოსის გმირი ასეთი „უნდო, განდგომას დაშურებული“, ტატოს უზუსტესი ეპითეტით — „გულდახურული“?!

რომელი ტრაგიკული ეპიზოდი გამოფარჩით ყოფის უსაზღვრო ტკივილის, „ეგზისტენციის დრამის“ უკეთ ნარმოსაჩენად?!

შავი წიგნის ყდაში სისხლის ასოებით ნანერ გვერდთადა [ვალაკტიონის მეტაფორაა] ვერც ერთს შეუღევი.

ვერც ელვება როსტომ ჩხეიძე და შავი წიგნიდან გადმოხაზვებს მწუხარე არძლილი არაგვისპირელისა.

ნოველების და რომანის ანამცერეებით მოიქსოვება ყოფიერების საზარი ბადა, ეგზისტენციის მარადი დრამა. „აიალუსკუმებულ სივრცეში ანგელოზის გაფრთხილებას“ ემსგავსება სულიწმინდის სტუმრობა ნოველითა შექმნისას, მერე რა, თუ თავად შოი დაბნეულა, გზა აბნევიდა [უცხო ენაზე აღელვნილ ლოცვას გული ან როგორ იგზნებდა და იყაბოვებდა?] მიტომაც თუ გაუუცხოვდა ჯერ სემინარიას, მერე — ტაძარსაც...

ერთი პატერიკისა არ იყოს, უფალი სწორედ მაშინ ავტიტატებს ხოლმე ხელში, ჩვენი ჯვრის სიმძიმეს თავად იტვირთავს, როდესაც განსაკუთრებით გაუუცხოვებდით ზეციურ მშობელს...

სულში, დიდი ხანი, განმქერულეო „სოციალისტური აბსტრაქციების — ქრისტიანული მოძღვრების გამინიერებულ ვერსიების, თავისებური სექტანტური მოძრაობის“ ბანგი. „ჩაიცი, არ გაცივდე!“ — შეილისთვის თქმული უკანასკნელი სიტყვები აღვგორიულ საფანელში გახეივდა, სამოსლი პირველის მონატრების ტკივილს დაიმარხავს ადამიანთა სულების საზარი გამომსვლების, სატანური ენებების ალაღების ჟამს...

„დამხოზილიყო ევერებდა მწირი. ცრემლით იბურებო... და ლუთის მოპოვების წიგნი, გაბზარულ-გაუზზარაეი, სფერულ სუბშთავსობაზე ამოქარგული.

ეჭო მოისმოვა, მორეულ ნაბიჯთა ეჭო, უჭველად მეტყველი, უცნაურად მონაცვლე, სიზმარ-ცხადის საზღვარგამოვლილი...

უფლის... შავი კაცის... შავი კაცის... უფლის...“

„ქანრის ესქატოლოგიური ფინალი“ სხვაგვარ წერტილს ვერც იკუმბდა...

\*\*\*

შემთხვევით როდი დააჩნდა სულს ერთხელ ცხოვად ბურუსოვანი. ქარიშხლოვანი ზღვის პასაჟი — ქარიშხლით ალტაცებული კაცის ლეგენდა.

„ლეგენდას ბურუსიანობა უფრო შეეწისო“, ნაფიქრს დაგანამდივლებინებდა როსტომ ჩხეიძე...

...ზღვითვე განავასრულე.

„შეინანა დაბადებაი კაცისაი დამბადებულმან და რისხვით აღბეცნა ნყლითა ნოვეს-ზე ნათესაენი.

მარალი სელოვება

სათუთი,  
უსილავი კაფები

საუბარი ნინო ნიკლაურთა

შეშქმედება ხელოვანის სულიდან გადმოხეთქილი წარღუნა, ანარკლია ხელოვანის სულიერი სამყაროსი, რამეთუ რაც სულშია დაკანებული, ყოველთვის გადმოვიდინება მუსიკად, ლექსად თუ ფერწერულ ტილოდ. მიქელანჯელო წინდა ხელოვნება ღვთის ყალბის ჩრდილია, ანარკლია მისი ბეჭდების და სრულქმნილებისა.

არსებობს სამყარო, სადაც ადამიანი ბუნებრივი სულიერი თავისუფლების გაზაფხულს ეზიარება. სწორედ ამ სამყაროსკენ მივდივართ ახალგაზრდა მუსიკოსი ნინო ნიკლაური თავისი ხალხის ნიჭით, უმდიდრესი მინაგანი მოშიზივლელობით, მუსიკის ურთულეს სამყაროში წვდომით. სწავლობდა გორის მე-2 სამუსიკო სკოლაში, შემდეგ მუსიკალურ სასწავლებელში. 2003 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე. ამჟამად ამავე კონსერვატორიის მაკისტრატურის II კურსის სტუდენტია, მღერის გორის ქალთა კამერულ გუნდში და ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას — მისი ხელმძღვანელობით პატარა კორიანტი საგუნდო ხელოვნებას უფლებიან.

შეშქმედებითი მოღვაწეობა ადრეული ასაკიდან დაიწყო. ბავშვობიდანვე იტაცებდა კლასიკური საგუნდო მუსიკა. მის პროფესიონალ მუსიკოსად ჩამოყალიბებამი დიდი წვლილი



მიუძღვის საქართველოს სახალხო არტისტის, კონსერვატორის პროფესორს, გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელს შალვა მოსიძეს. ქემპარიტი ხელოვნების მოყვარული განხივებულნი არიან დიდი მეტსტროს წარმატებული გამოსვლით მსოფლიოს სხვადასხვა კონკურსსა თუ ფესტივალზე. შესანიშნავი ფლერდობის, ორიგინალური რეპერტუარისა და შესრულების დახვეწილი, გული ჩამწვდომი მანერით არაერთხელ გაუოცებია მსმენელი გორის ქალთა კამერულ გუნდს. მათ მიიღეს მინევა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სააღდგომო ფესტივალზე (2004), საგუნდო მუსიკის ფესტივალზე ლონდონში (2005) და კიევი (2007), ფოკლორის ფესტივალზე პოლანდიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში.

— ახლა თვითონ ხართ მასწავლებელი, თქვენ უნდა გადასცეთ მოსწავლეებს თქვენი დამოკიდებულება მუსიკის, სიმღერის და საერთოდ ხელოვნებისადმი, როგორ წარმოიშვა ბავშვთა კამერული გუნდის შექმნის იდეა?

— შალვა მოსიძე საკუთარი თავდადებისა და წარმოდგენული შრომის ფასად წლებია გეაზიარებს ქემპარიტ



ხელოვნებას. ბავშვთა კამერული გუნდის ჩამოყალიბებით, დიდი ტრადიციების მქონე გორის მუსიკალურ სასწავლებელს საიმედო ცვლა ეწოდება. ბატონმა შალვამ მე მომანდო ეს საპასუხისმგებლო საქმე და ვცდილობ, ის უნარ-ჩვევა, ცოდნა, გამოცდილება, რაც გადმომიცეს ჩემმა შესანიშნავმა პედაგოგებმა ვასანდლო სხვის, რაღაც ახალი მოქვია.

**როგორია ბავშვებთან მუშაობის პროცესი?**

— ურთულესი და სასიამოვნოც. ბავშვებისგან მოდის საოცრად დადებითი აურა. მათ თვალბში გამოკრთის სინდრფულე, უზაქველი სული. თბილი, მეგობრული დამოკიდებულებით და, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობითა და დისციპლინით ნაბიჯ-ნაბიჯ ვცდივით სირთულეებს.

აღსანიშნავია, რომ პატარა ქორისტებს მზრუნველობას არ აკლებენ გუნდის მენეჯერი შვია გურგენიძე, კონცერტმასტრი მთავარის ბერძინივილი, გეოგრაფები: თიარ ხანიშვილი და მარია ზუციშვილი, გორის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი სანდრო კაჭარავა და გუნდის სამხელეობი ხელმძღვანელი შალვა მოსიძე.

— აკომპანიმენტი, კოსტუმები, მდიდარი საკონცერტო რეპერტუარი — ყველაფერი უზდება ერთმანეთს...

— პატარა ქორისტები 2006 წლიდან ეუფლებიან საგუნდო ხელოვნებას. ანსამბლის რეპერტუარში შედის როგორც ქართულ, ისე ევროპულ კომპოზიტორთა ნაწარმოებები: კობა შერშინივილის, ჯემალ ბეგლარიშვილის, მაკა არომიძის, ნუნუ ვაბუნიას, ვებერის, მოცარტის... ვფიქრობ, კოსტუმებიც ქმნის განწყობას.

2007 წლის დეკემბერში პატარა შემსრულებლები საანაკრძო კონცერტით წარსდგნენ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

2008 წელს ქუთაისი ხელოვნების ფესტივალს „მსგეფს“ მასპინძლობდა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწინდესისა და უნეტარის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა. წარმატებული გამოცდის შემდეგ, გორის ბავშვთა საგუნდო სტუდიის ანსამბლს მიენიჭა ლაურეტის ნოდება.

2008 წლის მაისში პატარა ქორისტებს პრეზიდენტის რეზიდენციამ უმასპინძლა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონცერტში.

2008 წელს კომპოზიტორმა ნინო ჯანაფლავამ გამოსცა დისკი „17 საგუნდო განწყობლება“, რომელშიც შესულია მათ მიერ შესრულებული ორი კომპოზიცია; 6. ჯანაფლავას „სეფიდ-ანი სიღღერა“ და მოცარტის „ანა და ჯარა“.

**— რა გრძნობა გეუფლებათ სცენაზე გასვლისას?**

— მთლიანად ვეითიშები გარესამყაროს. ფიზიკურად და სულიერად ვეზადები ბავშვების სამართავად, რათა ფაქიზი, სათუთი და უხილავი კაემირი დაეამყარო ჩვენსა და მსმენელს შორის.

**— რა არის აუცილებელი მიზნის მისაღწევად?**

— რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა, ბრძოლის უნარი, პასუხისმგებლობა, ყველაფერი მიიღწევა დიდი სულიერი და ფიზიკური ნერვჯის დაძაბებით.

2009 წლის 23 ივნისს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, თბილისის სახელმწიფო კაპელასთან და ორკესტრთან ერთად, მსმენელთა წინაშე წარსდგებიან პატარა ქორისტები, ხოლო ზაფხულში მინვეულნი არიან ქალაქ სტამბოლში საგუნდო მუსიკის ფესტივალზე.

— ხელოვნება ერის მინაგანი კულტურის ყველაზე ღრმა და უტყუარი წარმომჩენია, ერის ქუშმარიტი, სულიერი ღირებულებების საგანძურია.

ეს არის ამაღლებული, ამაღლებული ხელოვნება, პირდაპირ მსმენელის გულსიკენ რომ იკავფავს გზას. აქ თითოეული ბგერის სისუფთავესა და სიფაქტეს, ინტონაციას, დახვენილობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამის შედეგია, რომ გასაოცარი ფლერადობის ბგერებს ალტაცებაში მოჰყავს მსმენელი და უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას გგანიჭებს.

ესაუბრა  
ნიკო ქოქოპვილი



კვა ბუჯიაშვილი

## მათ ერთად ნახეს... პიკასო

სოლომონ დოდაშვილსაც თავისი ბედისწერა ჰქონდა — მამულისათვის თავშენიწილ გმირთა მსგავსი, სიცოცხლეში რომ არ დაეკლოთ დევნა და სიკვდილის შემდეგ კი მათ სსოვნას არ დაუღუბნებოდა.

ოღონდ ეკ არის, დროდადრო, ასეთ სახელებს უფალი და ქართველობის მაღლი თავისთავად მოუფლდება-ბოლქმე მზურნელებს და კიდევ გადმოჰქონდათ, თაობიდან თაობაში, სანუკვარ წინაპართა სახელები.

აგურ უკვე რამდენი წელია აღექვანდრე ორბელიანის საზოგადოებას, როსტომ ჩხვიძის თაოსნობით, ასეთი მაღლი მოაქვს, ანთებული სანთელივით, და იმედად და სინათლედ შემოაქვს ერის ცნობიერებაში ეროვნულ გმირთა სახელები.

სოლომონ დოდაშვილსაც ეს ბედისწერა ჰქონდა — სამშობლოს წერას ატანის სიცოცხლეში დევნა არ დაეკლოდა, სიკვდილის შემდეგ კი...

1832 წლის შუთქმულების სხვა თაოსანთა სახელებით მისი სახელიც უნდა ამოვიხიდა როსტომ ჩხვიძის და სულაც ტრადიციად დამკვიდრებია ზაფხულის დასაწყისის სოლომონ დოდაშვილის სულის მოხსენიებით შეგებებოდა აღექვანდრე ორბელიანის საზოგადოება.

ამ ფაქტორი მიუყვებოდა გზას მოღიბად სიღნაღისკენ. თან წმინდა ნინოს ტაძარში ხირსის მამათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენ მამა ლაზარე გრძელიშვილის მიერ სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენებლად დაბანდილი პარაკლისის მაღლი მოაყვებოდა...

მიხეველ-მოხეველი გზებით მიქროდა მანქანა.

ქვემოთ მზით გათანგული ალაზანი რჩებოდა... მცერა ნისლეტში ვახვეული კავკასიონის მწვერვალებს რომ გაუსწორდა, წითელი, კრამიტისსახურავებიანი სახლები, ფარნების, ქვაფენილიანი ქუჩებისა და სიყვარულის ქალაქის თაღმიც შევედით.

გაივლის დღეები და კინოკადრებით შემორჩება მესსორეებას:

ოვინის მცხუნვარე მზით განაჩანახებული სივრცე, ქვით მოკრწილული აღმართ-დაღმართები, უზარირ სტუმარი — სიღნაღის სტოპების დაგმომებნითა თუ ქალაქში სტუმრად მყოფი პიკასოს გამოფენის ნახვით დანიტრეკესებული. მუზეუმის თავზე გამოფენილი ფრანგი მხატვრის პორტრეტი ექსცენტრული მზერით, სტუმრებისთვის გამომსუვრებული ქართული ტრადიციული ხელსაქმის ნიმუშები, სამკაულები, თეძა და გობელენი... მუსიკათა თუ თეატრალური წარმოდგენებით ახმაურებული ქალაქი, ამ ენებათაღელვებაში ჩაკარგული საკუთარი ხმა და რომელიცდა ძალიან ნაცნობი და ძალიან ახლომებელი ფილმის კადრებით ამორავებული ადამიანები...

სიცოცხლე ჩქეფს ქალაქის ცენტრში.

სხვაგან კი...

მიუყვებოდა დაცარიელებულ ქუჩას, უკან ვიტოვებო ძველი აგურით ნაშენ ახალ ეკლესიას, ქრელა-ქრულა ხალიჩებგადმოფენილ, რიკულებიან აივნებს, ფარნებთან სახელებს... გვოცებს უცნაური ბრწყინვალება, გვაკრობს სიწუმე, ჩვენი ნაბიჯების ექვსაც რომ გვასმენინებს, თითქოს სადღაც მისტიკისა და რეალობის ზღვარზე დავდიოდეთ ამ ქალაქის მიტოვებულ დეკორაციებში დავსეირნობდეთ... და რომ არა, უცვრად, ერთ-ერთი სახლის აივანზე გადმომდგარი ქალის კახურ კილოთი გამთბარი ვადმობახილი, იქნებ მართლაც მთლიანად მისტიკის საბურველი გამოეხეთვით:

— ნინო... შენ რომ „ვეფხისტყაოსანი“ აწუქე ჩემ ბიჭსა, ეკა 1992-ში ყოფილა, აღარა და აღარ ამოხვედი რომეფენებანი... — ეუბნება ჩვენი მეგზურს, პროფესიით ქედაგოს ნინო ქოქიაშვილს, სიღნაღის გაკრიალბულ აღმართ-დაღმართებზე რომ მივიქვივება და ლამის თითოეული სახლის ისტორიას გვიამბობს.

კიდევ ბევრი რამ გაგვაოცებს ამ დღეს სიღნაღში...

მაგალითად ის, რომ სოლომონ დოდაშვილის ძველი სხვაგან და სხვა მხარეს მომზირალი შეგვეცხება — უფრო მიკარგული, თვალს მიფარებულ...

სიღნაღის ან უკვე გაუქმებული უნივერსიტეტის შესახვეულიან მდგარი ამირანის ძველი ქუ, თავისი მხატვრული ღირებულებებით ნამდვილი ხელოვნების ნიმუში რომ იყო, საერთოდაც აღარ დავგვიძვება.

სოლომონ დოდაშვილი თავის ბედისწერას მიუყვებოდა — აი, ისეთს, მამულისათვის თავშენიწილ გმირთა ხვედრად რომ ქვეყელიყო, სიცოცხლეში რომ არ დააკლდებოდა დევნა და სიკვდილის შემდეგ კი მათ სსოვნას არ დაუღუბნებოდა...

ნეტა ან ამირანს რას ურჩოდნენ, საფიქრალი თავისიც ეყოფოდა — ღმერთთან გატოლებისათვის დასჯის საკაცობრიო ცოფეა ჰქონდა გამოსახყიდი და ათასწლეულებიდან მოჰქონდა თავისი მძიმე ვაჭყიდა და ქართული მითის მისტერიაც...

...ხელოვნების ნიმუში მინც არ ყოფილიყო თავისი მხატვრული ღირებულებებით...

\*\*\*

— შენ რა გქვია?

— ელისაბედი!

— ეს ანანია... დაიმახსოვრეთ, პატარებო, თქვენ სიღნაღში ერთად ნახეთ პიკასო! — ეუბნება ქალაქის მუზეუმში გამოფენილ, მსოფლიო შედევერებად აღიარებულ ნახატებთან მდგომ გოგონებს ახალგაზრდა კაცი.

პატარები ხან უცნაურ, არაორდინარულ მონსამებს მისჩერებთან, ხანაც ერთმანეთს და იღიბებთან, იღიბებთან... იმ უზუალობით, ზავგმობას რომ ახასიათებს.

პიკასოსი ბევრი არაფერი გაეგებათ, და იწებ ჯერ არც ის ციან, რომ გაივლის სწებში და იმ ყველიფერს, რაც ისტორიულ მოვლენად ჩავენერება ჩვენი კულტურაში, თანატოლი გოგონას ღიმილით გაიხსენებენ.

მე კი იმ ამბებს ჩაწიწერ, ახლა რომ ვერ გავცნობიერებს პატარებმა და, ვინ იცის, მომავალი იქნებ კიდევ დაინტერესოსთ, რა ხდებოდა ამ დღეს სიღნაღის მუზეუმში.



იყო დრო, პიკასოს მხატვრობაში ლურჯი ფერი სჭარბობდა და ძირითადად მოუსაფარ ადამიანებს ხატავდა. ეს იყო ცისფერი პერიოდი დასასწავსი.

იყო კუბიზმის პერიოდიც და სხვა ათასგვარი მიმდინარეობისაც, საქართველოში კი, მხატვრის გამოფენა, ძირითადად, ბოლოდროინდელი გატაცებით — ლინოგრაფიურის იმ ნიმუშებით ჩამოვიდა, 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე რომ შეუქმნია ავტორს.

ოცდაჩვიდმეტი ლინოგრაფიურა, სამი გრაფიკული ნამუშევარი და სამივე ოფორტი — ამ სახით წარსდგა პიკასო ჩვენ წინაშე.

აქ არის ნახატები მისი უკანასკნელი მეუღლის ფაკლინის თემაზე; ედუარდ მანეს ვარიაციებით შექმნილი სერია; ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ციკლი ოფორტუბისა; ეს ელ-გრეკოს გაველენით შექმნილი ნამუშევრებია, ლინოგრაფიურის საუცხოო ნიმუშები; ის კი ნატურმორტებია, სენანის ვაშლების თემატიკას რომ გაგახსენებთ; თავისი უცნაური გმირებით მიგიზიდავთ მითოლოგიური სერიაც...

— საერთოდ, ლინოგრაფიურა ლინოლომზე იჭრება, საღებავი ეღება, შემდეგ სურათს წნებში ატარებენ და ნახატი გამოდის, —

გვისონის მუზეუმის თანამშრომელი ქალბატონი მარიამ გულაიშვილი, — ამ ტექნიკის ორიგინალობა ის არის, რომ მხატვარი უკლებია უნდა ეფიქრა, ნაღმა გამოტანილი ნახატი მის ჩანაფიქრს რომ დამთხვეოდა. პიკასო კარგად ფლობდა კლასიკურ ფორმებს, ფაკლინის ეს კლასიკური პორტრეტები სწორედ ამის დასტურია, თუმცა სხვა პორტრეტები მომზობს, რომ პიკასო სულ ძიებაში იყო, ნგრევასა და შენებაში, ამიტომაც არის, რომ მეუღლის სახეს სხვადასხვა შრიტში და განსხვავებული რაკურსით ხატავდა.

საერთოდ, კლასიკური ლინოგრაფიურა შავ-თეთრი ფერით იქმნება, პიკასოს ნოვაჯია კი ის არის, რომ ფერები შემოაქვს. აი, ამ სურათზე — ფაკლინი პონპონებანი ქუდი — თორმეტამდე ფერი შემოიტანა მხატვარმა. ხომ უცნაურია — პირველ პირ საღებავს სხვა ფერს ადებდა, ასე რამდენიმე ფენაში ქვემო ფერი იკარგებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, მან იკვლიდა, საბოლოოდ რა სახეს მიიღებდა ეს კველავფერი.

შუქი ფერებით დაიწყო... ამით პიკასოს ფიქროსმანსაც ვადარებუ ხოლმე, ისიც ხომ უჭერდა არჩევდა ხატვას. ძალიან მომწონს ნატურმორტების სერია. ელექტროენერჯის შემოსვლამ მხატვრებს ახალი საფიქრალე

გაუჩინა — როგორ უნდა ასახულიყო ეს უცხო სინათლე ნამუშევრებში. აი, ნატურმორტი ნითელი სხივებით... ჩანს, ასეთი სახე არ აკმაყოფილებს ავტორს და ახლა სხვაგვარად ხატავს: ბოთლი, პური, ხახვი, დანა, ქოჭა და... თეთრი სხივები. ამ ძიებებში კი, საბოლოოდ, მდის დადგენილება, რომ კლდეზე შავ-თეთრი უკეთესია. ასე ამოწურავს ამ თემას და ახალს იწყებს...

სულ სიახლეს ეძებს. ყოველთვის ჰყავს მუზა და ყოველი მათგანი მისთვის ახალი მიმდინარეობის შთაგონების წყაროდ იქცევა.

საერთოდ, კოლექცია ზერუოსის მუზეუმშია. იონის დეპარტამენტს რომ ეკუთვნის. ამ დეპარტამენტთან სილნალის ახლო ურთიერთობების გამო, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთში ფიროსმანის გამოფენა გაემგზავრა, აქ კი პიკასო გვეწვია. ასე რომ, ეს დიდი მხატვარი საქართველოში ფიროსმანისა ჩამოგვიყვანაო, — ამბობს ქალბატონი მარიამი.

\*\*\*



ნინო ვახანია, თამარ ღონღაძე, ელისაბედ, როსტომ ნატო, ლევან და გიორგი ჩხვიტევი, ევა ზუჯიაშვილი, ლევან კიკნაძე, ნინო დეკანოიძე

ცნობისათვის: ზერუოსის მუზეუმი ბურგუნდიაში თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი იშვიათი კოლექციის მფლობელია. მასში დაცულია ძირითადად იმ ხელოვანთა ნამუშევრები, რომლებიც პა-

რიზმი 1925-65 წლებში იცენენ პოპულარული.

1986 წელს, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, ზერუოსის კოლექცია, მუზეუმის სახით, საფრანგეთის მუზეუმების დირექციას დაექვემდებარა. გადაწყდა, რომ კოლექცია ქალაქ გვზლში, რომენ როლანის სახლში განეთავსებინათ.

1937 წელს შექმნილი სახლი მისმა ქვერმა 1953 წელს გადასცა პარიზის უნივერსიტეტის კანცელარიას, რომელიც მისი მფლობელი 1985 წლიდან — მარი როლანის გარდაცვალების შემდეგ გახდა; იქ დაცული ზერუოსის კოლექცია კი იონის დეპარტამენტს დაექვემდებარა.

\*\*\*

ეს ვველავფერი მაშინ ჩაიწერე, როცა საქართველოს პირველად სტუმრობდა პიკასო და მის აზროვნებას მსოფლიომოვლელ ნახატებზე სილნალის ძალიან ქართული მაღლის ანარეკლი რჩებოდა.

ეს იყო დღე, როცა მსოფლიო შედეგებდა აღიარებულ უცნაურ ნამუშევრებთან ერთი პატარა გოგონა მეორეს უღმობოდა და ორივე იმისსოვრებდა იმას, რომ მათ სილნალში ერთად ნახეს... პიკასო.



თორნიკე ჭუმბურიძე 17 წლისაა, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე. ეს ის თორნიკეა, 12 წლისა პირველი ყველაზე მკვიდრი რომ გახდა. შემდეგ ორჯერ „ეტალონიში“ გაიმარჯვა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტიპენდი- ატ მოიპოვა.

ბევრს კითხულობს. განსაკუთრებით უყვარს „დონ კიხოტი“, ჯობრით ხალღი ჯობრანის „იესო ძე კაცისა“; ასევე ძალიან უყვარს ჯერამ რეჟისორი. მარტინ ბუტორის „მეცხრეა“ და „მეცხრეა“ (ამან ლუესიკ დაანერჩინა); 11 წლის თორნიკე სკოლიდან რედაქციამი მიდის და მაშას მარტინ ბუტორის „მეცხრეა“ მუშაობს. მარტინ ბუტორის „მეცხრეა“ (ამან ლუესიკ დაანერჩინა); 11 წლის თორნიკე სკოლიდან რედაქციამი მიდის და მაშას ეუბნება იცო, რას მიეხვეწი? საიდან მოიხს სიტყვა „საქართველო“ — აჰა — რთველი, ვეს იგი, აქ ვაზია, რთველიაო. ალბათ, არავის გაუყურებდა, თორნიკემ მოხიზრობების წერა რომ დაიწყო. დღეს ჩვენს ჟურნალში მისი დებიუტია. გზა დაეულოცოთ...

თორნიკე ჭუმბურიძე

ბ.შ.

ვარ ოთხი კმ“ — „მობერებელი, მამაცი, მარტოხელა, მართალი“.

კიდევ — „ამაყი, ბრვე, გონიერი, დიდსულოვანი, ერთგული, ვნებაუღელი, ზნესრული, თავისუფალი, იმედ- ნეული, კეთილშობილი, მადლიერი, ლომგული, ომახიანი, პირუთენელი, ფინშორელი, რეტდასხმული, სახელო- ვანი, ტყვემემნელი, უებრო, ფესემტიცივე, ძველი, ღრსეული, ყურადღებიანი, ჩაუჭი“.

ვისაც გაგახსენდათ, მართლები ხართ, შეყვარებული გახლავართ: თუ არ გაგახსენდათ, კარგია, „დონ კიხოტის“ გადაკითხვას რა სჯობს, თუ ვერაფრით გაგახსენდებოდათ, კიდევ უკეთესი, „ჰაერში ყოფილხართ ასატყორ- ცნი, ოლიმპიური ჩემპიონივით“.

მიყვარს იმიტომ, რომ ვუყვარვარ. მართლა ვუყვარ- ვარ, იმიტომ, რომ ვენდობი და მენდობა, იმიტომ, რომ პირველი გოგაა, ვინც ჩემი გაცემა შეძლო, იმიტომ, რომ იმ დღეს, როცა გაეთიქანი, ყველაფრის რწმენა დავეკარგე და მან დაიმბრუნა, კიდევ...

ყველა ამაღლებულ გრწმობასა თუ საქციელს ამაღც მდაბალი, ძალიან მდაბალი და პრაგმატული მოტივი ამა- გრებს. ციტატა არ არის, ჩემი აზრია, პირადი.

ფინჩერის „Fight Club“ (ვერაფრით მოუძებნე ქართული შესატყვისი, „ბრძოლის კლუბი“, „მებრძოლთა კლუბი“, „საბრძოლო კლუბი“, იდიოტურად ფლერს და აზრსაც არ გადმოსცემს ზუსტად) საკულტო ფილმია, პალანიკის კიდევ უფრო საკულტო ნივთის მიხედვით გადაღებული. ვეუფლებოდით მე და ჩემი მშააკი, დღემი სამაჯერ ვუყურებდით, ნაკითხვით ხომ რა დათვლის, ზემარად ვიცოდით ორივე. ჩვენწარებთან ერთად, ასეთი კლუბის თბილისში გაკეთებაც გადაწყვიტეთ, შევხვდით ერთი-ორჯერ და გემრიელადაც დაეძგვეთ ერთმანეთი, მაგრამ არ გამოვიდა რატომღაც. დღემდე გული მწყუდება.

რატომ ვახსენებ... მთავარი გმირი სხვადასხვა უკურნებელი სენით დაავადებულია ანონიმურ შეხვე- დრებზე დადის, უძილობისგან თავის დასაღწევად და იმიტომ, რომ „როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ კვდები, თავის რიგს კი არ ელიან სალაპარაკოდ, არამედ მართლა გისმენენ“.

აი, მე ვი ამის განსაცდელად სულაც არ მჭირდება თავის მოწყვეტა, თითქოს კანის კიბო მქონდეს. არაფერი უნდა ჩემგან, არც ყვავილები, არც ძვირფასი ნივთები, ლამაზი სიტყვებიც კი, ოღონდ რამე მოუყუვე ჩემზე, რამე

მართალი და საინტერე- სო. მეც ვუყვები, ყვე- ლაფერს, რაც თავს გადა- მხდენია, სკოლაში, უბან- ში, სახლში, თბილისში, ბათუმში, კიევში, ლონ- დონში... ვუყვები გულწრ- ფელად, საიმოვნებით და იმის იმედით, რომ როცა აღარაფერი დამჩქება მო- საყლო, ყვავილების ჩუ- ქებასაც ვისწავლი, სამ- კაულტების ფულიც მექენ- ბა და როგორმე ბო- დლერის ნაკითხვასაც შეე- ძლებ გულიწიგის შეგარნების გარემე.

რა არის ამაში მდაბალი და პრაგმატული? როგორ არ არის, მაგრამ ჩემი მდაბალი მოტივი კიდევ უფრო დაბლა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მაგარი ფეხები აქვს. ისედაც ლამაზია, მოხდენილი, მოდელირება, მაგრამ, ფეხები, ოო...

\*\*\*

გამონაკლისი რომ ნებს ადასტურებს, აღარ არის ჩემი აზრი, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, გურამის გამო თუნდაც. ჩემგან მიფიოდა სახლში, კიბებზე აუყვა ვერის ბალისკენ. ნინ გოგო მიდიოდა, მოკლე კაბით, გამომწვევად. გურამა ერთი არც ისე თბილისელი ბიჭია რა, უნებდა „ვზრუნებებს“ პატებს ცეცხს და „ჰომინ თავისუფლებას“ რომ ვასმენინებ, ნესვისხელა მუშტებს იბრავუნებს და ეკუნთულ მკერდზე. მოკლე კაბით გამომწვევად მოსიარულე გოგოები აღიზიანებენ და ერს ურყენიან, მაგრამ...

— ეს იმნა სხვანორი იყო, ტო, ენოლა, პირველად ვნახე, იმნა, გოგოა სიარულით ენოლა, თან აღმართი, ტო“.

გოგოს ხელი უთრთოდა, ეტყობოდა რაღაც უჭირდა, ძალიან ცუდად იყო და მიინც ვგრე დადიოდაო, ჯიშში ჰქონდა, ალბათო.

კიბეების ბოლოს ბიჭები ისხდნენ, რაღაც მიაძახეს. გარედა, სიგარეტი გაუჭრდა ხელიდან, სულ ერთი ნაბით გადმოხედა მათ აცრემლებული თვალებით და ტანის ისეთივე რხევით განავრძო გზა. მერე გურამას, აი, ფილმებში რო ჩითავს რა, ხო აზზე ხარ, იმნა რო ხნელდებ- ბა და ნელდებსასავით“, ახსოვს როგორ ლენა ერთ-ერთს, როგორ ჩაარტყა დანა მეორემ და დაჭრილი მხრით როგორ დაღალაგა ოთხი მუტურუკი ერთმანეთზე. მე ვალა- ტორის ხიდან დაამრეკა, ამომიყვანე, მხარი მტკიავო. არაყი დავაღვივნი, არყითვე ჩამოვბანე ჭრილობა, იოდი





ნაფუსი და შეფუხვი. რომ ვკითხვ, უკან რალატომ ჩამოხვედი, სახლთან არ იყავი-მეთქი, - არ მინდოდა, ის გოგო მენახა.

\*\*\*

მხარზე თავს მომადგებს, ძილის წინ ზღაპრის მომლოდინე ბავშვივით შემომხედავს, ყურის ბიბილიოზე მაკოცებს და მეც ვინყვებ:

— ჩვენ რომ ერთმანეთი გავიცანით, ის დღე ვახსოვს? ახსოვს. მაგ დღეს სკოლის კარებთან ვიყავი, გაგამ რო დამირეკა, არ შეხვიდე, სტადიონზე ვართ, ამოდიო.

— რა რომელი ვაგა? — აა, გუშინწინ რომ იყო გამოსული, ვიკას რომ მოვეწონა. ჰოდა, ერთი ნიკუშა იყო ჩვენს კლასში, მითანინდელი, ამ ამბის მერე ამერიკაში წავიდა. ფული ვერ გაიყვეს, ბევრიც არ იყო, 700-800 ლარი, ფული და ერთი გოგო. მერე ნიკუშა ძალიან ცუდად მოიქცა, უცხოელებს დაურეკა, კიდევ მიქარა რალაცები, დეტალები არ არის საინტერესო. ჩვენც დაფურეკეთ ერთი ორს და საბოლოო ჯამში ისევე თავისიანებმა გააჩრტვეს ნიკუშას ხელი. მაგრამ ვაგა ის ბიჭი არ იყო, ასე ადვილად შეერჩინა ვინმესთვის წყენა. სახლთან „დაუსტკაცებს“ და ნაცემი ჩამოათრის, ქოველიძეზე რომ სტადიონია, იქ რომ მივყავი, ავალმ გრძელი „რეიქ“ ჩაარტყა, ადამის და ვეასგან გამოყოლილს ჩათვლით ყველა ცოფვა გაუსხენა ტიპს. ბოლოს ვაგამ დაასკვნა, საძმოს გვიღალატა, ბოზურად მოიქცა და ბოზური შრამიც უნდა აირტყასო. გვიწოდო შენც აქ ყოფილიყავი და დანა ამოიღო. დახედე-მეთქი.

ოპინელი იყო, ცხრა, ნაღდი. ორი წლით ადრე ჩხუბში მოუქნია ერთმა ვაგას. ნიკუშამ მოასწრო და ხელით დაიჭირა, ცოტა ხანს ეჯავჯავრა, მერე მე გამოვერეკე და გავარტყი, დავარდა. მას მერე მარჯვენა

ხელისგული წესიერად არ გაუმოლა ნიკუშას, ძვლებამდე ჩაატანა ფოლადმა, წერაც კი მარცხენა ხელით ისწავლა. დანაზე თავისი ინიციალები ამოატვიფრონა და ვაგას აჩუქა, თან პათეტურად დაეყოლა: „ის დანა დარტყი მტრებს, შენ რომ უნდა მოგხევედროდაო“. ავალა მტრებთან. ბავშვური „პონტი“ იყო, აი სადღაც მეშვიდე კლასის ბოლოს და მერვეს დასაწყისში კლასელი გოგოების გამოხერხილ მკერდს და დამრგვალებულ თემიებს რომ ამჩნევ და თვითონაც ვიკვირს, რომ ამჩნევ, შენხელებს რომ დიდი ბიჭები აინტერესებთ, შენზე

დიდებს — უფრო დიდები, შენზე პატარებს — საერთოდ არავინ, და მოხლავაგულ სექსუალურ ენერჯიას სიგვარტით, სახმელთან, სკოლასთან „ბირცაობით“, ჩხუბებით, ძმაკაცობაზე გრძელი სადღევრძელობით და თვითდამკვიდრების სხვა სამუშაოებებით იოკებ, იმ პერიოდის. ბავშვური, მაგრამ მინც ვაქცაბური, მთელი ცხოვრება რომ არ დაგვიწყებდა, ისეთი.

არც ვაგას დავინყვებია. რომ დახედა, შეეტყო, მინც დაუსვა, მარცხენა ლოყაზე, ნიკაპამდე.

...რალაც ჩაებურტყუნე და ჩაქარი ნაბიჯით წამოვედი. რუსთაველისკენ ვინმე მინც შემხედვებოდა, ბაქრაბით

ჩამოვედი ქვევით, თალიდან პირდაპირ გადასასვლელი გავჩნდი, მერე პერიოსკაია, ლენინის აღმართი, ხიდი... მთელი ძალით მოვებოდი, თეატრთან დავიღალე, გაუჩერდი. ამოვისუნთქე ცოტა. დავმშვიდდი. ჩავედი. ვაგასის მოედანი, ნაძალადევი, ელდეკო, დიდუბე, ღრმა-ღრუე. ლუდი, თევზი, სიგარეტი და თონის პური ვიყიდე. ანრისკენ დავიძარი. კარგა ზვეით ცხოვრობს ორსართულიან სახლში, დიდი ეზოთი. ლენოს და არაყს თვითონ ამზადებენ. არაყი ქაჭაა, ორნახადი, საზოზარი ვეიო აქვს და მალდა გრადუსი, სამ ქაჭაზე მეტს მეც კი ვერ ვსვამდი. დამალეინე-მეთქი. არავერი უთქვამს. შემატყო, ამიტომ ამოვედი აქ. ჩავიდა სარდაფში, ჩამოსახა, ჭიქები წამოიღო. ტყეში ავედი. უხმოდ ვსვამდი, ჩამოსახამდა, მომიჭახუნებდა, გადავერავდი. ნახტეარი საათის შემდეგ ბოთლი აიღო, ჭიქებთან ერთად ჩადო პარკში და, გეყოფაო, მიოხრა. სახლში დავბრუნდი. „Skype“-ი ჩართო, შენი სურათი მაჩვენა, ნინელისის საუბარიც ნამაკითხა. მოვცალამდა. დექე-მეთქი. — რატომ? — ადექი და დავიწყე-მეთქი. მერე შენც იცი...

არ მომიყოლია. როგორ გინდა, ეს მოყვე, თან...

\*\*\*

ერთი კვირის შემდეგ „Acid“-ში შეგვხვდა გურამი. მოგვესალამა. ეს მარიამიაო. აი, ზომ ვახსოვს, იმ დღესო და თავი ჯერ ვერისკენ გაიქნა, მერე დაჭრული შრისკენ.

\*\*\*

არადა, თავს ვიტყუებდე, სხვაასც ვატყუებდე და ჩემს საექციელს ჩემივე ბრძალუა აზრებით ვამართლებდე, რა მისი ბრალაო, ოთხი არაკაცა ცემა დაჭრილი მხრით. „პაერშია ახატყორცნი, ოლიმპური ჩემპიონივით...“



მხატვარი ზურაბ ნივარაძე



გიორგი ლალიაშვილი დაიბადა 1984 წლის 13 ივნისს მცხეთაში. 2001 წელს დაამთავრა საჯარო სკოლის 11 კლასი. 2002 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე ნათობისა და გავის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 2006 წელს. გატაცებით კითხულობს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნოდარ დუმბაძის, გაბრიელ გარსია მარკესის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. ნოდარ დუმბაძის, გაბრიელ გარსია მარკესის, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. აღმერთებს ვალენტინოს, შვერლობის სიყვარულსა ხელში კალამი ააღებინა. ცდილობს გამოახტოს ის, რაც ლიტერატურის გარეთ, ცხოვრებასა და თავის შინასამყაროში ეგულება, რაც ხმამაღლა ფიქრის ღრისად მიაჩნია.

ის ახლა იწყებს, ფრთხილად, გაუბედავად, დეზობუტანტის მოკრძალებით, ოღონდ გულწრფელად, რწმენით, იმედით.

გიორგი ლალიაშვილი

ბუ ზღუნებს ქარი სითბოა წყნარი გამოჩნდა ბზარი და ლექსთა ჯარი იწყება ჩქარი ფიქრებში მყარი როდესაც კარი იღება მტკნარი მუზების ქნარი მორბის ვით ხარი არა აქვს ზღვარი და არც ქვეშ ნარი მოჰყვა მთა-ბარი მწვანე ნაქნარი ქადრიდან მზმარი ფოთოლით ნარნარი აქვეა მტკვარი მის თავზე დარი ტაძართან მდგარი ჩემი თამარი.

ღვთისმშობელო დედაო! შენს კალთაში მზედაო? ფეხზე რომ ვერ დადგვიარ, ნეტავ მუშევრებაო?

ყვავილს ხელით დაეკრეფავ, შენთან მარტო დაეკრები და დალოლი გულ-მკერდით შენს ხატს ჩაეხუტები.

მომეშვება მტანჯველი, ფიქრები და ლანდები იღლა გამითენდება ისევ და განვახლდები.

ნეტავ რას ნიშნავს ეგ შემოხედვა, მე გამახსენდა, ჩვენი ნარსული დღეს მაგ თვალებით ისევ მოშელის ის ერთადერთი ნმინდა ასული.

გოშრის თვალბეჭში ისევ შევიწინე ქალი, უმანკო ფიქრში ნასული,

მე მულოდები, ვიცი, ძვირფასო, და ამ მოლოდინს არ აქვს სასრული.

შემოგვხვევი სიოს შარფით, და მოლოდინით გავირინდები, მაგ შემოხედვამ დამწვა შანთით, მოგონებებში ისევ ინთები.

ნეტავ რა გეცის, არ ვიცი, არა, იმედის გზები ისევ მრუდდება, საითუთ სულს ვინდა გაუფრთხილდება, მომავლის ფიქრში შიში მუქდება.

შენ დარჩი ბროსთან, რომელმაც დამგმო, ზამთარი თეთრად კვლავ იღებება, ო! ამ ცხოვრებამ არარა მარგო, შენ კი გისურვებ ბედნიერებას.

გთხოვ მამატიო! რომ გტოვებ მარტო, გისურვებ ღიმილს, მშვიდ ხინიერებას, მე ამ ცხოვრებამ არარა მარგო, შენ კი გისურვებ ბედნიერებას.

შენთვის ვილოცებ, რომ არ იდარლო, სევდა არ გქონდეს ბინდის ფერებად, მე ამ ცხოვრებამ არარა მარგო, შენ კი გისურვებ ბედნიერებას.

ძრისტა იშვა! გიხაროდნე!

ღამეა. ცოვა. ყინვა ირგვლივ, მოუფენია მთვარეს ნათელი, მინდორში მწყემსი ცხვარს ფრთხილად ითვლის მთებზე ფიფქია ჩუმადა ნათესი.

თივით მოფენილ სულის ზაგამი, ჩვილი ორივე თვალს ახამზამებს, იმედი იშვა ადამთ საგამი, მისი ღიმილი ცას აკამკამებს.

კარი გაიღო ლაბირინთებში, ხალხით გაივსო სწრაფი ეტლები, დაცარიელდნენ ძველი მითები, მშვიდად თენდება დილა ბეთლემში...



ეორე სიმენონი

# მე და მეგობარი ერთმანეთს დავებმგვანეთ

ყოველი ადამიანის ცხოვრება რომანია, მაგრამ არა აუცილებლად მუვი არ რამე სერიოზულის შექმნილი.

ერთმა დიდმა კრიტიკოსმა თქვა: „ყოველი ჩვენგანის ცხოვრება რომანია, მაგრამ, ამასთან, მხოლოდ ერთი რომანი სხვა რომანების წერის უნარი მარტო რომანისტს აქვს“. — მართლაც, ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია აღწეროს საკუთარი ახალგაზრდობა, მომავალ მუცლსთან პირველი შეხვედრა, თანაცხოვრების პირველი თვე და, ამგვარად, ნამდვილი რომანი შეიქმნას.

მას შემდეგ, რაც ადამიანი საკუთარ თავს სცოდნება და სხვა პერსონაჟებზე გადვინს, რომანიც სხვა სახეს იძენს.

პერსონაჟი რომ შექმნა, კიდევ უნდა აამოქმედო, ამისთვის კი მისი კანში უნდა შეძრეს. ერთ დღესაც, როცა აღმოაჩინე, რომ სხვის სხეულში შეღწევა და ახალი გმირების შექმნა მეტესმეტად დამბლელი იყო ჩემთვის, გაიერება გადავწყვიტე.

ეს მოხდა ორი წლის წინათ, ამ დროს უკვე 70 წლისა ვახლდით და, ვინაიდან კიდევ შემოჩნებოდა წერის სურვილი, გადავწყვიტე, ჩემი პიროვნების მსგავსი პერსონაჟი წარმოვადგინა.

თუკი ადრე სხვებს ვაკვირდებოდი, რათა მცოდნობა, თუ რა არის ადამიანი, ახლა საკუთარ თავზეც ვადავკვირვებ.

რომანის წერის სურვილი მუდამ მამოძრავებდა და ამით დიდად არ გამოიჩინებოდი სხვებისაგან. მაგრამ ეს ჩემთვის საკუთარი თავის ძებნასაკით იყო. ის, რასაც ადამიანის შესწავლას ვუწოდებდი, საკუთარი თავის შეცნობად გადაიქცა, რადგან მე სხვა ადამიანებისგან არ გამოიჩინებდი.

როცა რომანს ვწერდი, ისეთი განცდა მუფულებოდა, თითქოს პერსონაჟის კანში ვფერებოდი. არის რომანები, რომლებიც ქვეცნობიერად იწერება. ავტორი სხვის კანში კი აღწევს, მაგრამ არ იცის, თუ სად წაიყვანს ესა თუ ის გმირი. ასე, დღიდან დღემდე, უკანასკნელ თავამდე გაუგებარია, თუ რა ხედი გვლის. ამის გასაგებად პერსონაჟმა საკუთარი შესაძლებლობანი ბოლომდე უნდა ამოწეროს.

ბალზას ეკითხებთან: „რომანის პერსონაჟი რას წარმოადგენს?“ — ის კი მიუგებს: „ეს ნებისმიერი შემხვედრი შეიძლება იყოს, მთავარია, იგი საკუთარ თავს ბოლომდე ჩანს. ჩვენ ბოლომდე არ მივდევართ, ხან ციხის გვემინია და ხან მოყვასის. ზოგჯერ ამას ზედმეტი მგრძობილობა განაპირობებს, ზოგჯერ კი ზედმეტი განათლებულობა და, ვინ იცის, კიდევ რა“.



რომანი მოითხოვს, მთავარი გმირის ირვლე შექმნა მცირე სოციალური გჯგუფი, არა აქვს მნიშვნელობა — რამდენკაციანი, და ავტორს ისლა ევალება, პერსონაჟის კანში შეძრეს. უკანასკნელი თავის დანერგამდე ერთი დღით ადრეც კი არ ვიცოდი, როგორ დასრულდებოდა რომანი, რა მოხდებოდა, რადგან ჩემი პერსონაჟი თავისი ლოგიკით მოქმედებდა, ჩემი ლოგიკისგან ძალიან განსხვავებულად. მე მისი ცხოვრებით ეცხოვრობდი, ეს მართლაც ძალიან დამბლელი იყო.

— მაგალითად, რას ვავტყვიო, თქვენი ცნობილი პერსონაჟი, კომისარი მეგრე, ბოლოს და ბოლოს დაიმსგავსეთ?

— დასაწყისში მეგრე სრულიად უბრალო ადამიანი იყო, რიგითი კაცი, მსუხუცე და მშვიდი, რომელიც უფრო ინტუიციის კანახით ცხოვრობდა, ვიდრე გონებისა, ინტუიციის უფრო ენდობოდა, ვიდრე თითის ანაბეჭდებსა და პოლიციის სხვა ტექნიკურ სიახლეებს. ცხადია, მათაც იყენებდა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულების გამო და არა იმიტომ, რომ მისი მათი სჯეროდა.

წელ-წელა ჩვენ ერთმანეთს დავემსგავსეთ, თუშვალა მიჭირს თქმა იმისა, მე დავემგვანე მას, თუ ის მე.

ცხადია, რაღაც მე გადავიღე მისგან, მან კი — ჩემგან. ნახეთ: ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ჰყავდა მეგრეს ბავშვები, რაც ძალიან უნდავს. ეს ძალზე ადარდებდა. საემე ისაა, რომ როცა მეგრეს პერსონაჟი თარქენი (30 წლით ადრე, ვიდრე შვილი მგყოლებოდა), ჩემმა პირველმა მუფულემ უარი მიიხარა ბავშვის გაჩენაზე და ქორწინებამდე დამაფიცა კიდევ, რომ შვილის გაჩენას არ მოვუხდებდი. ამის გამო ძალიან ვიტანჯებოდი, რადგან მეც მეგრესავით ვალმერთებ ბავშვებს.

აი, ამ მიზეზით მე უბრალოდ ვერ წარმოვადგინა, როგორ შეიძლებოდა მინ დაბრუნებულ მეგრეს ორი ბავშვი დახვდებოდა, რას ეტყუოდა მათ, პატარების ტირილზე როგორი რეაქცია ექნებოდა, როგორ მოაწოვებდა ღამე საწოლსა, როცა მუფულე ავად გაუხდებოდა. მე ამის წარმოდგენა არ შეუძლო, ამიტომაც გადავწყვიტე უშელო წყვილის პორტრეტის შექმნა.

ერთსაც დაეძინე. ასაკი მეგრეზე გაცილებით სწრაფად მემატებოდა. თეორიულად მას სამსახური 55 წლისა უნდა მიეუფლებინა. მისი უკანასკნელი გამოჩენისას ორმოციდაცამეტ წაწვერისაა, ხოლო როცა მისი პერსონაჟი თარქენი, 40-45 წლისა იწებოდა. ასე რომ, მან სულ რაღაც 15 წელი იარსება, მაშინ, როცა მე ორმოციოდე მომემატა. აქედან გასაგებია, რომ მე უნდა ვეფიქროვებ მას ჩემი გამოცდილება გადავეცი, მან კი სიცოცხლისუნარიანობა შეუძინა.

ეს ერთ-ერთი იმ პერსონაჟებია (თუ უნდა დავთვროთ არა), რომელიც ოდნავ მაინც დაემსგავსა. სხვა ყველა ჩემგან განსხვავებული და დამოუკიდებელია.

ფრანგულიდან თარქენმა  
ლევან ელიაშვილმა

# ლევან ბრეგვაძე მალევის საკითხი

„საჯანის“ 2007 წლის მე-8 ნომერში რეპლიკა გამოავიქვეყნეთ ზურაბ კიკნაძის ერთ ნაშრომში გამოთქმული თვალსაზრისის გამო. ვთავაზობთ ამ რეპლიკას მთლიანად: „საჯანის“ 2006 წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილია ზურაბ კიკნაძის გამოკვლევა „ცხოველთა ეპოსი“. მასში ავტორი იგაზევდ ლაპარაკობს, ყველა ჩვენგანისთვის ბავშვობიდანვე იცავის და ბევრისთვის დღემდე საყვარელ ვანრზე. ავტორი იცავის რამდენიმე ვანრულ თავისებურებას გამოყოფს, მათ შორის ამასაც:

„მელა ყველგან მელიაა, ის ყველა იგავში მელიობს, არსად კარგავს მელიაობას, მეველი არ მომლის მგლობას, რაც მის მარადიულ ბრძოლებასა და სიხარბეში, ასევე მარად მშვიდრობაში მდგომარეობს. ისინი არ შეიძლება ასეთები არ იყვნენ, არასოდეს შეიცვლიან წირს და ქვევას, რომ სხვა სახით გვეჩვენონ. ჩვენ თითოეულ მათგანს ყველგან გამოვიცნობთ როგორც მელა ნაცნობს, რომელიც მრავალჯობს შეგვხვდარი-ნიშანდობლივია, რომ მელა თუ მგელი, თითოეული ცხოველი, ინდივიდია და, ამავ დროს, თავისი გვარის ერთადერთი წარმომადგენელი. ერთსა და იმავე სიტუატში მის გვერდით სხვა მელა და სხვა მგელი არ ჩანს“ (გვ. 152).

ანუ ერთსა და იმავე იგავურ სიუჟეტში ერთზე მეტი მელა და მგელი არ გახდება?

დავასახებო რამდენიმე იგავს, რომლებიც ეზოებს მიეწინააღმდეგება, და რომელთა მართლ სათაურებიდანაც ნათელია დამოწმებული მსჯელობის მცდარობა (მიუთითებ ვიღაცა სარბიშლის თარგმანის გვერდებს ეზოებ, იგავ-არაკები, თბ., 1968): „მელიები“ (გვ. 11); „მალევი და ძაღლები“ (გვ. 86); „მგლები და ცხვრები“ (გვ. 88).

ეზოებს ერთი იგავის შინაარსი ასეთია: მელა ხის ფულეროში მწვესმების დანატოვარი საწოლავით გამოდის და ისე გაეგება მუცელი, ფულეროდან ვეღარ ამოვიღა. მისი ოხრ-კოფება სხვა მელამ გაიფონა და უფხვარა სანამ იმ ზომისავე არ გახდები, რა ზომისაც ფულეროში ჩაძრომამდე იყო, არაფერი გეშველება! („მპიკრი მელა“, გვ. 59).

გარდა იმისა, რომ აქ ორი მელა ფიგურირებს, ისიც ახედავა, რომ არც ერთი მათგანი არ „მელიობს“. ავტორის შეხედულებას, რომ „მელა ყველგან მელიაა, ის ყველა იგავში მელიობს, არსად კარგავს მელიაობას“, მხარს არ უჭერს იგავები: „მელა და ძაქვი“ (გვ. 12); „გარეული ტახი და მელა“ (გვ. 32); „დავით და მელა“ (გვ. 61); „ძაღვი და მელა“ (გვ. 78); „ძულღობი და მელა“ (გვ. 89) და სხვ.

უსუსტობათა მიზეზი აქ ვანრობივი თავისებურებათა ინტუიციურად დადგენის მცდელობას ვანრობივი თავისებურებების გამოკვეთისა შესაბამისი ვანრის თხსულობათა მონაცემებს უნდა დავეყრდნობი.

ჩვენს ამ რეპლიკას გამოიხედავთ თუა თავებრივი და ზურაბ კიკნაძის შეხედულების დაცვა ცხადვა (თუა თავებრივი. გამოკვრების სტილური ფუნქცია ცხოველთა ეპოსში. კრებულში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეირისტიკურიება“. ბათუმი, 2008, გვ. 11-19).

ქალბატონი თუა ნურსა. ვთვლით, რომ ლევან ბრეგვაძის აღნიშნული რეპლიკა მთლად სამართლიანი არ უნდა იყოს. პირველ რიგში იმიტომ, რომ არსებობს ხალხური და ლიტ-

ერატურული ვანრები, ზურაბ კიკნაძის წერილში არ ხდება მათი აღრევა ან შერწყმა, არც ერთელ არაა მოზიზობილი ლიტერატურული იგავ-არაკის ნიშმი და შესაბამისად, დასკვნებიც გაკეთებულია მხოლოდ ხალხურ ეპოსზე დაყრდნობით“ (გვ. 14.).

ჯერ ის უნდა შევნიშნოთ, რომ თუა თავებრივი თვითნებურად ცვლის ზ. კიკნაძის ტექსტს. ზ. კიკნაძისთან არის: „ის (მელა. — ლ. ბ.) ყველა იგავში მელიობს“, ქალბატონ თუასთან კი ზ. კიკნაძის ამ მსჯელობას სახე ასე უცვლია: „მელა ყველა ზღაპარში მელიაობს“ (გვ. 13). მაგრამ ეს მანიპულაციაც ვერ შევლის საქმეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

ჩვენ ვნერდით: „დავასახებო რამდენიმე იგავს, რომ. ლებიც ეზოებს მიეწინააღმდეგება“. მეცნიერისთვის ძნელი ვასაგები არ უნდა იყოს, რას ნიშნავს ამ ფრაზაში „მიეწინააღმდეგება“. ეზოებს სახელით მოღწეული იგავები სწორედაც რომ ხალხური იგავები, რომლებიც ისევე მიეწინააღმდეგება ეზოებს, როგორც მოლა ნასრედის მიეწინააღმდეგება ხალხური ანტიკლტები.

ამისი ამოკითხვა ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში შეიძლება. ჩაგვადოთ, თუნდაც, ს. ი. რადციგის „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიას“:

„ამადრე იგავი, რომლებიც ჩვენს ნელთალრიცხვამდე V საუკუნეში ტრადიციულად ხალხში, მიეწინააღმდეგება ვიღაც ფრიგიელ კუზნაბს მონას ეზოებს. (...) ეზოებს სახელით ჩვენამდე მოაღწია პროზაული იგავთა მთელმა კრებულმა (426-მა იგავმა). ან კრებულის შემადგენლობა ერთობ ძრელია: კარგად ნაცნობ სიუჟეტებთან ერთად მასში ანტიკლტებიც გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნება. ერთ ავტორზე აქ ლაპარაკიც შეუძლებელია“ (მ., 1982, გვ. 31).

ასე რომ, ეზოებს სახელით ჩვენამდე მოღწეული იგავები ხალხური იგავებია.

შემდეგ, ქალბატონი თუას სიტყვით, „ზურაბ კიკნაძის წერილში არ ხდება მათი (ხალხური და ლიტერატურული ვანრების. — ლ. ბ.) აღრევა ან შერწყმა, არც ერთელ არაა მოზიზობილი ლიტერატურული იგავ-არაკის ნიშმი და შესაბამისად, დასკვნებიც გაკეთებულია მხოლოდ ხალხურ ეპოსზე დაყრდნობით“ (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.). არ არის საც. 155-ე გვერდზე ზ. კიკნაძე მოიხიბოს კრილოვის „Лендеи, пак за уйка“-ს.

ანდა მისი ნაშრომის ეს ადგილი ნავიკითხოთ: „გავიხილოთ მელასა და წეროს ცხოველი, რომელიც მაინც მსგებობიანად მთავრდება, თუცა ერთმანეთის მასპინძლობით იმედაცარუებულნი (განზიზბულნი) ერთმანეთს შორდებიან, რათა კვლავ აღარ შეხვდნენ ერთმანეთს“ (გვ. 154).

ეს იგავიც ეზოებს მიეწინააღმდეგება (გვებედა პლუტარქესთანაც; მე-2 საუკუნეში გაღვსია ბაბროსიმა, ლათინური ვერსია ფედრუსის ცუთურის, ფრანგული — ლაფონტენის, ქართული — სულხან-საბა ორბელიანის). რა გამოდის? თუ ზ. კიკნაძე მოიხიბოს იგავს, რომელიც ეზოებს მიეწინააღმდეგება, ის ხალხური იგავის ნიშმი იქნება, და მე თუ მოვიხიბო, ლიტერატურული იგავის ნიშმივე გადაიქცევა?

ახლა ზ. კიკნაძის ამ მსჯელობასაც დააკვირდეთ: „მათი (იგავის პერსონაჟ ცხოველთა. — ლ. ბ.) ყოველი ერთობლივი საქმიანობა ასევე სრული კრახით მთავრდება: მამალი, მელა, ძაღლი ვერ ამეწებენ სოფელს“ (გვ. 155).





ხომ იცანით სახას „სოფლის მამუნებელი“? სულხან-საბა ორბელიანმა არსებითად გადაამუშავა ფაბულა, რომელიც ასევე ეზოპოს მიწერება (ეზოპოსთან მის „ძალად, მელა და მამალი“ შეკვია). გვეხდება ვარდართანაც (XII ს.), გაბრიელ ფერნესთანაც (XVI ს.); ოღონდ არც ეზოპოსთან და არც ანათიან სოფლის მუნებაზე არაფერია ნათქვამი. ყუთლი და ყიული სოფლის ამებრის მოტივი მარტო სახასთან არის. ამ მოტივის შემოტანით საბამ თვისებრივად განსხვავებული ნაწარმოები შექმნა.

აქი უ. კიქნაძესთან „არც ერთხელ არაა მოხმობილი ლიტერატურული იგავ-არაკის ნიმუში“? მერაზდენვა ეს? მოკლედ, უ. კიქნაძე ამ წერილში არ გამოიხატავს ხალხურ და ლიტერატურულ იგავებს. სწორადაც იქცევა: ის იგავის ეანრული თავისებურებების დადგენას ცდილობს, ამ თვალსაზრისით კი ფოლკლორული და ლიტერატურული იგავები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება.

„ესეც არ იყოს, — განაგრძობს ქალბატონ თვა, — თუნდაც ვიპოვოთ უწყინარი მელისი (რატომ მაინცდამაინც „უწყინარის“? — გნებავთ, აგრესიულიც იყოს, მოავარია არ „მელიობებს“ ანუ არ ცბიერობდეს. — ლ. ბ.) პრეტენდენტები ფოლკლორულ წყაროებშიც (მაგ., „მელა და მისი კუდი“), ისინი მაინც გამოწკარვნილები მაინცაა და არა ეანრის ტიპურ მახასიათებლებად. ეანრის ესა თუ ის სტილური კანონზომიერებანი მაგალითია მკაცრი სიწარვლის საფუძველზე ფიტსირდება და თითო-ორილა განსხვავებულ ნიმუშში მთა დადგენას ხელს არ უშლის“ (გვ. 14).

რა თითო-ორილა! ფოლკლორულ იგავებშიც და ზღაპრებშიც მრავალი მელაა, რომლებიც არ „მელიობენ“ ეზოპოსადმი მიწერილი იგავებიდან ექვსი ასეთი ტექსტი დაფასებულ, მაგრამ, რაკი ესენი ქალბატონ თვის ხალხურად არ მიიწინა (თუმცა ევლარ გვიფერ მიიწინა თუ არ მიიწინა, ხან მიიწინა, ხან — არა: თუ უ. კიქნაძე დამომწმებს იგავს, რომელიც ეზოპოს მიწერება — ხალხურია, მე თუ დავიწმინდე — აღარ არის ხალხური!), ამიტომ ახლა უ. კიქნაძის კოლექციიდან მოვიყვან მაგალითებს:

„ერთხელ მელიამ კაკაბი დაიჭირა და ფეხებ შუა რი ჩაიჭირა, კაკაბმა შესთხოვა მელას: ხომ შენი ლუკმა ვარო და ერთი დღერთი ასხენე და მერე შემეჭამეო. მელამ რი ტოტები აღაყრო, — კაკაბი გაფრინდა. მაშინ მელიამ ტირილი წარმოსთქვა: „კაკაბის მოსატყუარსა / ვივადვალთ მელსაო, / ჰქონდა მშვირი მოცელი, / რაღა დიდებდა ღმერთსაო“ (პ. უმიკაძე, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, თბ., 1964, გვ. 286).

წინადა ნელის იგავია, გალექობილი მორალითურთ, ოღონდ ამ მელა კი არა, კაკაბი „მელიობს“.

ნაიკიობთ ამავე ტომში „სურდღელი, მელა, დათვი და მელა“ (გვ. 285) და დარწმუნდებით, რომ ვერც იქ მელიობს მელა.

ახლა „ხალხური სიბრძნის“ I ტომიდან (თბ., 1963) დავასახელებ ტექსტებს, რომელთა მელიებზეც აგრეთვე ვერ მელიობენ: „ცხოველთა ნადი“ (გვ. 38), „ბოხილი და მელა“ (გვ. 42), „ნახევარქათმის ამბავი“ (გვ. 45)...

ამიტომ უ. კიქნაძის თვალსაზრისი — მელა ყველგან მელიაა, არსად კარგავს მელიაობასო — არ არის სწორი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას: ზემოთ დასახელებულ და უამრავ სხვა იგავსა, არასა თუ ზღაპარში, ქართულსა თუ უცხოურში, მელაა არ „მელიობს“!

მოვით, აქის თაობაზე საკვალისტის აზრაც მოვის-მინოთ:

„მელა ზღაპრულ ეპოში, ძირითადად, ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირია — ტრიქსტერი (ცბიერი, მოხერხებული და სასტიკი). გარდა ამისა ის ქართულ ზღაპრებში სხვა ტიპის ოცამდე სოუფეტსა და მოტივში გვეხვევს, რომლებიც ზღაპრული ეპოსის სამივე ქვეყანას (ცხოველთა, ჯადოსნურ, ნოველისტურ ზღაპრებს) განეკუთვნება. ამ ზღაპრების მელაა უკვე ტრიქსტერისა და ანსხვავებულ სახეს ქმნის“ (რუსუდან ჩოლოყაშვილი. მელიის მითოსური სახე ზღაპრულ ეპოში // II საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. თბისები, თბ., 2008, გვ. 232. ხაზგასმა ჩვეინა. — ლ. ბ.).

ზურაბ კიქნაძის ამ ნაშრომში არაერთი სხვა უზუსტობა და მცდარი მსჯელობაა. ყველას ვერ გამოვეყივებით, მაგრამ ერთ მათგანზე კი არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ. იგი წერს:

„ცხოველთა ეპოსის სამყაროში არ არსებობს შემწეობა, ხელოვნო ჩაცვენილი მისი მექანიკის თავის თავზე არაინ მინდობილი... ეს სიცრუის, გაუტანლობის, ურთიერთმოლორების, მუხანათობის სამყაროა. ყველანი ერთმანეთს ატყუებენ ან ცდილობენ მოტყუებას. ეს არის მათი ცხოვრების წესი — მოდუს ვივენიო“ (გვ. 152).

როგორ შეიძლება ასე იყოს?! და არც არის ასე! არც ქართულ და არც სხვა ხალხთა ფოლკლორში არ შეიძინება ამგვარი რამ.

სხვა თუ არაფერი, „არწყილი და ქიანჭყელა“ მაინც არ უნდა გაგავახსენდეს!

„ცხოველთა ზღაპრების“ ცოცლის სხვა ტექსტებსაც ჩავეხედოთ:

„ზღაპარში „გლუხი, დათვი და მელა“ (ხალხური სიბრძნე, ტ. I, გვ. 37) მოხერხებული მელას შემწეობით დადღია თავი დათვისგან მომდინარე საფრთხეს გლუხსა; მელა დემხარა გაჭირებულ ქალს დამურული ბატკნის ფოგის გაშლამი, მერე კი ქალსგან გასამრჯელოდ მოძებულ ბატკანი შინ ნაიყვანა და მელივით უვლად, ვიდრე დათვა ამ შეუჭამი („დათვი და მელა“, იქვე, გვ. 14); ყურანს, რომელსაც გველი ბარტყლის უჭამდა, მოხერხებულმა მელამ მოაშორა ეს ქირი, სახეებით უანგაროდ („ყურანი და გველი“, იქვე, გვ. 43); მელა რომ ლეშს მიაძღა და მორელემა გაუჭირდა, მწყურნიტა მოეღინა მყურნალად; მარიალმა, „პაციერტმა“ ამაგი არ დალუფასა და მეჭმა დაუპირა, მაგრამ შემწეობა, რომელიც მწყურნიტამ გაუწინა მელას, შემწეობად რჩება („მელა და მწყურნიტა“, იქვე, გვ. 47).

ამრიგად, ზურაბ კიქნაძე რომ წერს, „ცხოველთა ეპოსის სამყაროში არ არსებობენ შემწეობა... ყველანი ერთმანეთს ატყუებენ ან ცდილობენ მოტყუებას“, არ არის მართალი: როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, ცხოველთა ეპოსის პერსონაჟთა შორისაც ყველა როდია ბოროტი, მატყუარა და ვერაჯი — ასეინიც არაინა და ისეთინც, რაც პარიორულადაც მოსალოდნელი იყო.

ყოველგვარ ზემოქმედებად ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ეს უზუსტობები და შეცდომები როგორც საკვლევი მასალის, ასევე ფოლკლორისტიკის ზოგადეოგორული საკითხების არასაკპარისი ცოდნის შედეგია.



# აქემენიდურ ნარნარათა ნიმუშები-5

## აღმშენებლობა და ხელოვნება

1. გახლავართ ქსერქსე, ხელმწიფე დიდი მეფე ხშიარმა მეფეთამეფე. მინათმპყრობელი, მხარეთმფლობელი, ამ სამფლობელოს მეფეუ სრული. დარაიავაჰუს მემკვიდრე ვაჟი, — ჰახამანიანთ საგვარეულოს. ახლა კი ვიტყვი, ხშიარმა მეფე: "მე აღმიგია სასახლე ესე".  
*ქსერქსე, პერსეპოლისი (XP)*

2. ასე აცხადებ მეფე ხშიარმა: აპურამაზდას ნადლისამებრ ეს სრა-სასახლე დარაიავაჰუმ — მან, მამაჩემმა ააგო ტურფად.  
*ქსერქსე, სუზა (XSA)*

3. კეთილშობილი ქვისგან თლილი სვეტების რიგით დარაიავაჰუს ეს სრა-სასახლეაგმშენებულა, — დიადი მეფის ნაგებ-ნაშენი, და ნოფებულა ის აპადანად!  
*დარიოს მეორე, სუზა (D2Sa)*

4. დარაიავაჰუ ვარ, მეფე დიადი, მეფეთა მეფე, ქვეყნების მპყრობი, ამ სამფლობელოს სრული მეფეუ ართახშათრას მე, მეფის მემკვიდრე, ჰახამანიანთ შთამომავალი. ამბობს ხელმწიფე დარაიავაჰუ: "ეს სრა აეგო ჯერ ართახშათრას, — უნც არის ჩემი მშობელი მამა, — შემდეგ მე კელავაჟ ვაშენე მეტი, აპურამაზდას მაღალი ნებით".  
*დარიოს მეორე, სუზა (D2Sb)*

5. სრა-სასახლე აპადანა აუგია ართახშათრას. თლილი ქვისგან, ჩამოქნილი სვეტთა რიგი ჩაურაზმავს! არდაშირი — დიდი მეფე, მეფე დარიოსის ნული. მითრა სწყალობს აქემენიდს, მწყალობელიმც იყოს სრული!  
*ართაქსერქსე მეორე, პაშადანი (A2Hb), (ძველი ემბატანი).*

## 6. ასა ბაიჰრა პირველად სუპისის არსი

უზენაესმა ღვთაებთათგან, აპურამაზდამ, მაალმა ღმერთმა, ნარმოქმნა ზეცა, გუმბათი ცისა, ქვეყანა, მინა, წყლები დაჰაბადა; შემდეგ მან შექმნა ადამიანი, რომელსაც მისცა ბედნიერება.

მანვე დარიოს დამსვა ხელმწიფედ, ვარ დიდი მეფე დარაიავაჰუ, რომელსაც მერგო მისივე ნებით, ეს სამფლობელო დიდი და ვრცელი.

ქვეყანა კარგი, კარგცხენიანი, კარგეტლიანი, კეთილი ხალხით.

მე ვარ დარიოს, დარაიავაჰუ, მეფე დიადი, მეფეთა მეფე, მხარეთმფლობელი, ქვეყნების მეფე, მრავალრიცხოვან ერთა მპყრობელი.

შორს გადაშლილა სამეფო ჩემი, გადაჭიმულა ვრცლად სამფლობელო.

ვიშტასპას ნული, აქემენიდი, — ვაცხადებ მეფე დარაიავაჰუ: "მე ვარ სპარსელი, სპარსთა მოფგმისა, პარსადან მიდნი დაივიორჩილე.

და შემდეგ ვბრძანე ამ არხის გათხრა!

იმ ნილოსიდან, მისრეთს რომ კვებაეს დეკვიპტეში მოედინება, პირდაპირ ზღვამდე, — სპარსეთს რომ ეკერის, გათხარეს არხი, რომელსაც აღვწერ, როგორც მე ვბრძანე და დაუადგინე.

ჰოდა, დაიძრნენ გემები სპარსეთს, ეგვიპტის ქვეყნით გამომავალნი, — ამ არხის გავლით, ამ არხზე ჩავლით აქ მოცურავდნენ, — როგორც ვისურვე!

*დარიოს დიდი, სუცი (DZc)*

7.

აცხადებს მეფე არდამირი, დიდი ხელმწიფე სვინი მუფეთამეფე, ქვეყნების მპყრობელი, მინა-წყლიანი. დარიოსის ძე, მეფისა, დარიოს — არდამირისა, არდამირი, — ქსერქსეს ვაჟია, ქსერქსე კი, — დარიოსისა. ესენი ყველა მუფენი. დარიოს, — ძე ვიშტასპასი; ვიშტასპა — აქემენიდი, კითლომობრი მოდგმისა.

აი აპადანა, სასაბლე, აქ ამიგია მიდეთოში. აპურამაზუდას წყალობით და მითრას მოვლებითა კვლავ ანაპიტას წადილით, სურვილით ამ ღმერთებისა და მათი ნებით ლეთიურით, დავაგვირგვინე შევებითა.

აპურამაზუდა მფარავდეს და ანაპიტა მწყალობდეს, მითრამ მომხადლოს უნარი — დამიცვან აუტისაგან. ყველა სიკვამლონი, ამვგრონ ჩემნი ნაგებნი; მარადეაშს იდგნენ ძეგლები, დაუქცეველი მტრისაგან! ართაქსერქსე მეორე, პამადანი (ზა), (ძველი ექვატანა)

8.

“აი, რა შევქმენი! — ამბობს მეფე დარიაივაჰუ. აპურამაზუდას ლეთიურ ნებით შთაგონებულმა. სუხის მშვენება, — სრა-სასაბლე აქ აღმიგია, — ტურფად ხილული, ნახოს თვალები. ეს საოცრება”.

დარიოს დიდი, სუზა (DSO) (ძე. სპ. თრუშა, ახ. სპ. შუშა)

9.

ბრძანა მეფე დარიოსმა: “თვალმა შენმა რაც იხილო, რაც შეიციხო სულმა შენმა, — ამას ნურას დაუშავებ, ნუ ნაბილწავ, ნარყვინი ნურას!”

დარიოს დიდი, სუზა (DSG)

10.

მალაღმა ღმერთმა აპურამაზუდამ შექმნა ხმელეთი, დაბატა ზეცა კაცი დაბადა სუბედნიერი. მე, ართახშატორა, მაკურთხა მეფედ. მეუფე ერთი მრავალთა ზედა და მბრძანებელი მრავალთა ერთა. ართახშატორა ვარ დიდი ხელმწიფე, მპყრობი ქვეყნების მეფეთა მეფე. ვუფლობ სამეფოს მრავალეროვანს, ამ სამფლობელოს მეუფე სრული. რომ გადაშლილა შორს, უსასარყოლოდ, გადაწვედენილი, გადაჭიმული. ხმაირამას მკვიდრი ვაჟი-მემკვიდრე, დარიაივაჰუს ვარ შვილიშვილი. მამა — ხელმწიფე, ბაბუაც — მეფე, ნარმოშობით კი, — აქამანიდი.

მაქვს საუბარი თქვენს გასაგონად, მე, ართახშატორას, დიდებულ მეფეს:

ჰადიმ-სასაბლე ხმაირამა მეფეს ანუ მამარემს აქ აუგია. ახლა კი ადრე მისი ნაგები ჩემგან კვლავ მეტად დამმევენებულა. ო, ვეედრებ ლოცვით აპურამაზუდას, მან დაიფაროს სამეფო ჩემი; წყალობა მომცეს და დაიფაროს ღმერთებთან ერთად ნაგებნი ჩვენი.

ართაქსერქსე პირველი, პერსეპოლისი (A1Pa)

11.

გესმათ ჩემი ნუბარი, ართახშატორა დიდი მეფის, მეფეთმეფის მრავალ ქვეყნის, ამ მინა-წყლის მბრძანებელი. დარიაივაჰუს მემკვიდრე, — ხელმწიფისა, ვინც შვილია ართახშატორა მეფის თავად; ართახშატორა კი ვაჟია იმ ხმაირამა ხელმწიფისა, — ვინც ნულია და მემკვიდრე დარიაივაჰუ მეფისა. დარიაივაჰუ კი თავად ვიშტასპას ძე, — მკვიდრი შვილი: ჯამში ყველა ერთად მოდგმით გვქვიან — ჰახამანიდეში.

ახლა გეტყვით:

ეს სასაბლე, აპადანად ნოდებულე, ჩემმა დიდმა პაპამ აგო მისი ნაშუქენ-ნაღვანია. მაგრამ შემდეგ ავებედითად, ართახშატორას მეფობისას, ბაბუას დროს, — აპადანა ცვეცხლმა შთანთქა უცაბედად!... აპურამაზუდას წყალობით: ანაპიტას, მითრას ნებით აპადანა აღვაშენე! კვლავ აღვაგე ეს მშვენება!

აპურამაზუდა მალაღმა, დე, მომხადლოს მფარველობა, მეფე მეყოს ანაპიტა, აღარ მოხდეს, რაც კი მოხდა. მითრამ ხელი მომიმართოს, და დამიცვას ერთად ყველამ. ამაცილონ ბედი ავი, სიცრუე და ბოროტება.

რაც ვიღვანე, დავაშუქენი, დაიფარონ დანგრევისგან. არ ნაირყვენას, არ გაფუქქდეს, რაც კი ძეგლია ამიგია.

ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sa)

12.

დარიოს მეფის ვაჟი, ვინც იყო ვიშტასპას ძე. აქემენიდი ყველა. ართახშატორა კი მე, ვამბობ ხელმწიფე დიდი:

მეფეთამეფე და ქვეყნების მბრძანებელი

ამ მინა-წყალზე ვარ. —  
 აი სრა-სასახლე ჩემი. —  
 კიბე მიჰყვება მას;

ძვირფასი ქვისგან თლილია.  
 საფეხურები მისი,  
 კეთილშობილი ქვისაა  
 მოაჯირებიც კიბის.

აპურამაზდას ვეძდრებ,  
 ლოცვით მიემართავ მას.  
 მოგვცეს ჩვენ მაღლი ცისა —  
 მე და ჩემს სამეფო კარს!

*ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sc)*

13.

მე ვარ არდაშირ, დიდი ხელმწიფე, მეფეთმეფე,  
 ქვეყნების მეფე,  
 ამ მინა-წყალზე შეუფე სრული,  
 დარიოს მეფის ვაჟი მემკვიდრე.  
 აქამანიონთ საგვარეულოს შთამომავალი ვარ უქვეყელი.  
 ამბობს არდაშირ მეფე დიადი, გეტყვით დასტურად,  
 უჭქოდ განამდეთ:

ჩემს სიცოცხლეში, ხელმწიფობაში,  
 აქ ამიგია ეს სრა-სასახლე;  
 საღიზიოდ ვცანი ეს ნაგებობა  
 და დრონი ჩემნი აშოდ ვატარე.

აპურამაზდამ დე, დამიფაროს,  
 ვთხოვ ანაჰიტას, შევთხოვ მითრასაც.  
 დამიცვან ყველა აუგისაგან,  
 და ყველა ჩემმა ლეანლმა იხაროს!..

*ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sd)*

14.

მაღალსა ღმერთსა აპურამაზდას, —  
 მას შეუქმნია ეს მინა-წყალი,  
 დაუდგამს ზეცა — გუმბათი ცისა,  
 მისგან შექმნილა ადამიანი.  
 ადამიანს კი მან მიანიჭა  
 ბედნიერება და ნეტარება.

ხშიარმა მეფე გამახელმწიფა,  
 ერთი მრავალთა ზედა მგრძანებლად.  
 მეუფედ ერთა ზედა მრავალთა.

მე ვარ ხშიარმა ხელმწიფე დიდი,  
 მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების;  
 მრავალეროვან სამფლობელოში  
 ვრცელი მინა-წყლის ვარ განმგებელი.

შორს გადაშლილა, გადაჭიმულა,  
 ჩემი სამეფო, საუფლო ესე;  
 დარაიავაპუ მეფის მემკვიდრე,  
 ვარ მისი ვაჟი, აქემენიდი.

აცხადებს ამას მეფე ხშიარმა  
 "აი ყველა ქვეყნის სვეტი აღვაგე;  
 სვეტები ჩაუდგი ხეივნის რიგად;  
 სხვაც უთვალავი სიტურფე კვლავაც  
 აქ აღმიგია, — სპარსთა ქალაქში!

რაც კი შევეძელი მშენებნის შექმნა,  
 ან მამაჩემის რაც არს ნაგები,  
 რაც თვალებს უტკობს ამის მნახველებს,  
 ფერთა სიტურფე და სილამაზე, —  
 ყველა ძალგვედგა ღვთიურ ნყალობით,  
 აპურამაზდას ნების სანაცვლოდ!

ხშიარმა მეფე ლოცულობს ასე:  
 ო, შექმნიოს აპურამაზდა  
 და დამიფაროს სამეფო ჩემი;  
 დე, მფარველ ვქმნას ჩემს ნამოღენანრს  
 და მამაჩემის მემკვიდრეობას!..

რაც აღვშენეთ, მეც და მამამაც, —  
 ორნივე დიცვას ღმერთთა მეუფემ!"  
*ქსერქსე, პერსეპოლისი (XPa)*

15.

მაღალსა ღმერთსა აპურამაზდას, —  
 მას შეუქმნია ეს მინა-წყალი,  
 დაუდგამს ზეცა — ტანრობი ცისა,  
 მისგან შექმნილა ადამიანი.  
 ადამიანს კი მან მიანიჭა  
 ბედნიერება და ნეტარება.  
 ხშიარმა მეფე გამახელმწიფა,  
 ერთი მრავალთა ზედა მგრძანებლად.  
 მეუფედ ერთა ზედა მრავალთა.

მე ვარ ხშიარმა ხელმწიფე დიდი,  
 მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების;  
 მრავალეროვან სამფლობელოში  
 ვრცელი მინა-წყლის ვარ განმგებელი.





შორს გადაშლილა, გადაჭიმულა,  
ჩემი სამეფო, საუფლო ესე;  
დარაიაგაუ მუფის მემკვიდრე,  
ვარ მისი ვაჟი, ჰახხანიანი.

მეფე ხშიარმა აცხადებს შემდეგს:  
რაც აღმიცხა, მიშენებია, —  
სპარსთა ქალაქში, თუ მის გარეთაც, —  
აღმშენებლობა ხელმწიფებთა  
აპურამაზდას ნებით დიადით.

ნეტად დამიცვას აპურამაზდამ,  
ყველა მის თანმხლებ ღმერთებთან ერთად,  
ღმერთი ჰვარაიედეს ამ სამფლობელოს  
და ჩემი ღვანლი დაცივას ზენამ!

ქსერქსე, პერსეპოლისი (XPB)

16. მალალსა ღმერთსა აპურამაზდას, —  
მას შუეუქმნია მის მინა-წყალო,  
დაუდგამს ზეცა — ცის კაბადონი,  
მისგან შექმნილა აღმიანი.  
აღამიანს კი მამ მანიჭა  
ბედნიერება და ნეტარება.

აქემწინეთა ძველსპარსული წარწერე-  
ბის ჩვენეულ თარგმანთა ნინამდებარე  
წიშულები წარმოადგენს აღნიშნულ ისტო-  
რიკულ-ლტერატურულ კორპუსის ფრამენტების რიგით მხებუთ  
პუბლიკაციის, რომელთა ნინა, მეოთხე ნაკვეთი კვან მწერლობა-  
შივე გამოქვეყნდა [2007, 9]. იქვე იყო შემთავაზებული აქე-  
მწინეული წარწერების თარგმანთა სისტორიაც და მათი ლტერატუ-  
რული ღონისძიების ავტორისეული ზედაც, ძველსპარსულ ორიგინ-  
ალთა შესატყვისი კულტურლოგიური უპოვება თუ მათი  
გადმოქართულების სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით.

ამჯერად წარმოვიდგინთ ძველი, ისლამამდელი ირანის სამე-  
ფო ქრონიკების ნიმუშთა შორეი მწერის, რომელიც ავტორისე-  
ული გეგმოქმედებითა შერჩეულია: აქ შევედგებით აქამინიანთა  
გრანდიოზული აღმშენებლობის მძღაერ თემატიკას, — რა ზე-  
დაც დღესდღეობით, სანუზარაოდ, დიდნობად ოდენ ნანგრევე-  
ბილა მეტადელებზე. მაგრამ ამ ნანგრევებიც საკმარისაა ჩვენზე  
ღრმა მოხატელობის მოსახეენად და ჩვენი სულიერი საძიარის  
გასამდიდრებლად.

ამჯერადც შერჩეულია შედარებით მცირეტიანი წარწერები,  
რომელთა გადმოქართულების სტალი საებით ვერგონება  
მთარგმნელი ავტორის შემოქმედებით მუხასა და გზობენებას. იმა-  
დროულად სრულდა დაცული ორიგინალის ტექსტის ძირითადი  
შინაარსი, თუცაღა ქართულ თარგმანში ზოგჯერ უმეტება  
გამაძლიერებელი, ქარბი ლექსურ-ფრაზეოლოგიური მასალაც  
(სინონიმბი, შორისდებულები, ნაწილაკები, საკუთარი სახელები,  
ნაკვობათა მუწარწერბული სახელწოდებები და სხვ.). ზოგჯერ  
შეცვლილი მეტყველების ნაწილთა ელემენტები (ზმნიზება, ნაც-  
ვლასახელი), სიტყვათა რიგი და მისთ. თავისთავად, დამატებულია  
სასტავი და სხვა სახის ნიმუშები (მაგ. ტრუკალები) და ა. შ. საკუთარი  
სახელები ორივე ფორმითაა წარმოდგენილი: ძირითადად  
ძველსპარსული, ხანაც კი ბერძნული ფორმით. ბოლო  
ძველსპარსულ წარწერათა ტრადიციულ, ხშირად და უცვლელად  
განმარჯვებულ ფორმლები ქართულნი სხვადასხვა ეკვივა-  
ლენტებით ითარგმნება, ანუ გამარჯვლეროვნებულია.  
გამაქუთარებთათა ხაზგასახებელი, რომ ამჯერად ყველა ნიმუშბ

ხშიარმა მეფე გამახებლმწიფა,  
ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად.  
მეუფედ ერთა ზედა მრავალთა.  
მე ვარ ხშიარმა ხელმწიფე დიდი,  
მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების;  
მრავალეროვან სამფლობელოში  
ერცელი მინა-წყლის ვარ განმგებელი.  
შორს გადაშლილა, გადაჭიმულა,  
ჩემი სამეფო, საუფლო ესე;  
დარაიაგაუ მუფის მემკვიდრე,  
ვარ მისი ვაჟი, აქამანიდი.

ბრძანებს ხშიარმა, ხელმწიფე დიდი:  
აპურამაზდას ღვთიური ნებით  
ეს სრა-სასახლე, თქმული ჰადომად,  
აღვაცე, დავედი და გავემშენე.

დაე, ძლევა მცეს აპურამაზდამ,  
თვის თანმხლებ ყველა ღმერთებთან ერთად!  
და მხოც ყეოს ამ სამფლობელოს,  
დაიცვას ძველნი, ნაკვები ჩემგან..

ქსერქსე, პერსეპოლისი (XPB)

ძველსპარსულიდან თარგმნა  
მინა სასოქიამ

მთარგმნელისაგან

ქართულში გაღვივებულა, ანუ ძველი სპარ-  
სული რიტმული პროზის მულოდკა  
ქართულში სხვადასხვა სახის ტრადიციულ  
ქართულ ლექსადაა გადმოღებული: გართობითი თუ ევრალიზითი.  
მთარგმნელის აზრით, ქართულ ლექსს მუსიკალბა სწორედ იმ  
შთაბეჭდვლებსა და განწყობას უნდა ქმნიდეს, რასაც ძველ  
სპარსულში აქამინიანთა ღმერთთა წარწერათა ტექსტების მიხედვით  
დინამიკა და მიღებულ ფორმულათა სისტემა განაპირობებს.  
ქართულ ლექსთწყობის განსხვავებული ტიპების შერწყმა ჩვენთან  
ღრმევისტური ტექსტის სტრუქტურას, აგრეთვე ორიგინალის  
სტროფითა და მასათა სავრძობაც უკავშირდება, მაგრამ ნამყენი  
მანერ ტექსტური სემანტიკაა.

ავტორისეულია გაღვივებული თარგმანთა სტრუქტურების  
სტროფებად დაყოფაც, რაც ორიგინალთა გარკვეულ მეტრულ  
და რიტმულ ტაქტებზე, — მონაკვეთებს შეესაბამება.  
დაწერულებით აქამინიან ღმერთთა გარკვეულ პოეტურ-  
ობზე წინა უბუბიკაციების ნინათმეხმევე გვეკრება საუბარში.

აღნიშნული მატერიალური გრძნებების გამოისახობა, ორიგინალთან  
აბსოლუტური სიზუსტეც სხვადასხვა ხარისხითაა დაცული, მაგრამ,  
მთარგმნელის ღრმა რწმენით, ყველგან ზედმიწევნითაა აღმუდო-  
ბასწილი ყველა ნიმუშთა მთავარი, ნამყენი ტექსტოლოგიური  
შინაარსი და მისი სიღრმისეული არსი, სულისკვეთება, ფინრი და  
შინაგანი განწყობა. რელიგიური შინაარსის პასახებისა და ლოკების  
ფორმების თარგმნისას ხშირად გამოიყენება ქრისტიანული  
ქართული ლექსთა ამბერად, ზოგი ნიმუში მეტაფორულ-  
ბული, ზოგჯერ ნაკლებად, სრული შემოქმედებით თავისუფალი ნებე-  
ლობის მიხედვით. თუ რამდენად მართებულია თარგმნელის  
არჩევანი, მოთვითი განსჯის, ჩვენი მხრიდან მხოლოდ შევნიშნავთ,  
რომ მთარგმნელი თავისი მუხასა და ორიგინალის ერთგული მთაბ-  
ნური იყო. ფრამენტბა ქვემო წარმოდგენილი დაჯგუფება და ლოკები  
თემატიკურ დასაბუთებდა ავტორისეულია: ღმერთთა წარწერათა  
ორიგინალბი ამ შეჯგუფებ არავითარ საბაურებს, ბოლო კავებზე-  
ურ გამოყენებში მხოლოდ წარწერათა ზუსტი წყარობბა  
მითითებულია. ჩვენც ვუთითებთ წარწერის ადგენლას და მეფე-  
ავტორის სახელს.



ლუიჯი პირანდेलო

# მხარზე შეომოვდარი სიკვდილი



— მინდა გამოგიტყდეთ: ძალზე მშვიდი ადამიანი ჩანხართ... მატარებელმა გაგასწოროთ, არა?

— სულ რაღაც ერთი წუთით. დაინახეთ, ხომ? როცა სადგურში მოვედი, მატარებელი უკვე გაიყოლა.

— შეგეძლოთ გაეიდებოდით.

— სასაცილოა, არა?!. ღმერთი ჩემო, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, საქმე რომ არ გაერთულებინა დიდი ფუტებს, პატარა ფუტებს, სულ პანანინა ფუტებსაც. ყველაფერი ვირივით მქონდა აკიდებული. ქალების კაპრიზებს ხომ ბოლო არ უჩანს. დამოყრდნობა, მანქანიდან გამოსულს მხოლოდ სამი წუთი დამჭირდა, რათა თითო თითზე ზო-ორი ფუთა დამეკიდებინა.

— მართლაც რომ ძალზე სასაცილო იქნებოდით... იცით, მე რას ვიზამდი? ყველაფერს მანქანაში დაეტოვებდრ...

— მერე, ჩემი ცოლ-შვილი? კიდევ იმათი მეგობრები? — მე კი ეს ყველაფერი ძალიან გამართობდა.

— ალბათ, არ იცით, როგორები ხდებიან ქალები, როდესაც დასასვენებლად მიდიან.

— რა თქმა უნდა, ვიცო, ძალიან კარგადაც ვიცო. ყველა ამბობს, ზედმეტი არასოდეს არაფერი მჭირდება მოგ ზაურობისასო.

— მხოლოდ ეს მათთვის დასასვენებლად წასვლა ფულის დაზოგვასაც ნიშნავს. მაგრამ როგორც კი ჩაველენ ქალაქში, უსამეფოდ ძნელია, იყო თავაზიანი, როცა ისმენ მათ ქალებს ახირებებს. ეჰ, ქალები, ჩემო მეგობრო... დანარჩენი უკვე მათი საქმეა... "საყვარელო, თუ ქალაქში შევილი, დამჭირდება... მოიტანე ეს... ისიც... და თუ არ დაგეზარება... რაიმე მოსახსნივთ გამოაყოლე ხელს... თუ იქ ვაივლი..." "საყვარელო, ამდენი რამე როგორ მოვასწრო სამ საათში?" "რას ამბობ, შენ ხომ მანქანით ხარ?" გესმით, რა საშინელება ყოველივე ეს? უნდა მერბინა მხოლოდ სამი საათი. საბოლოოდ კი სახლის გასაღებიც არ ნამომიღია... — მშვენიერია! მამასადაც...

— დიდი ფუტები, პატარა ფუტები, სულ პანანინა ფუტები — ყველაფერი სადგურის შემწახველ საკანში დატოვებ. შედეგ ვიჯამებ ერთ-ერთ დუქანში და განწყობის ასამაღლებლად თეატრშიც კი წავედი. იქ აუტანელი სიცილე იდგა. გამოსვლისას ჩემს თავს დავეკივლე: დასაინებლად სასტუმროში ხომ არ წახვიდლოდი? ახლა თორმეტი საათია; ოთხისთვის უკვე მატარებელი იქნება... სამსაათიანი ძილისთვის არ ღირდა ფულის დახარჯვა. და, აი, აქ მოვედი. ყავებანა ჯერ ხომ არ იხურება?

— არა, ბატონო, ჯერ არ იხურება; ეს იგი, ფუტები სადგურის შემწახველ საკანში დატოვებ?

— რატომ, საიმიდო არ არის? ყველა კარგადაა შეკრული.

— არა, არა, ეს არ მიგულისხმია ეჰ, ახლა კარგად შეფუთული ის ნივთები მიდგას თვალწინ. მალაზიის გამყიდველები ხომ განსაკუთრებული ოსტატობით ფუტებზე გაყიდულ საქონელს...

ან რა ხელები აქვთ იღებენ ერთ დიდ, ორმაგ ფურცელს; მნიშვნელობა არა აქვს, ვარდისფერი იქნება თუ მწილახურადიარაინა... თქვენთვისაც ხომ სასიამოვნოა, იგრძნობთ შესაფუთი ფურცლის სიგრძელს... გაბლიან მას დახლზე და ზემოდან მსუბუქ ქსოვილს დაადებენ. ხელისგულებით ფურცელს თავიდანვე ორივე მხარეს აუკეცავენ. ამის შემდეგ ნაეჭური ზემოდანაც დაიფურება. და მალევე მკლავების ფაქიზი მოძრაობით ფუთის ორივე მხრიდან სამკუთხედად ფურცლებს თავიდანვე ამოაკეთ ყლიდან თანმებო, ზუსტად იმ სიგრძის, შესაფუთად რომ ჭირდებოდნ. და ის წამიერად გადანასკეცავენ ბაბთედად, თვალს ვერ მიაყოლებ მათი ხელების ოსტატობას. ხედავთ, ბაბთებით შეკრული ფუთა უკვე მზადაა. ახლა მხოლოდ ხელი უნდა გაუყაროთ ნასკეპში.

— შმ, დეტყობათ, ძალიან ყურადღებით აკვირდებით ახალგაზრდა გამყიდველებს.

— მე? ჩემო მეგობარო, დღეები მხოლოდ ასე გამყავს. შემძლია საათობით ვიდრე მალაზიის შემინულ ვიტრინებთან და ვაკვირდებოდი მათ. ზოგჯერ მაინც ყვება კიდევ და მგონია, რომ ვარ, არა, უფრო სწორად, მინდა რომ ვიყო აბრეშუმის ქსოვილი... ან ბამბის ნაჭერი... ან სულაც ლურჯი თასმა, რომელსაც საგალტერო მალაზიის ახალგაზრდა გამყიდველები ზომებდნ ჭირან. თუ გინახავთ, ამას როგორ აკეთებენ? შეხვევამდე მარცხენა ხელის ცერა და ნეკა თითებს შორის რიჯინებს ხაზავენ. იმასაც კი ვაკვირებ, როგორ გაბლიან მალაზიიდან კლიენტები, თითქმის, ხელებსა და მკლავებზე აწონჩხილი ფუტებით. და მათ მანამდე ვაკვირდები, ვიდრე თვალს მიეჭებოდნენ. ეჰ, რას არ წამომოუღებენ თუშცა ამას ვერასოდეს გაიგებთ; ეს მე მჭირდება, მჭირდება ეს ყველაფერი.

— თქვენ მჭირდებათ? უკაცრავად, მაგრამ რა?

— აი, ასე, ყველაფერს წარმოსახვით ვეჭვობდი, ცხოვრებას ვეჭვობდი, როგორც ზვიარა ქიქრის რიკულებს. იცოდეთ, არასოდეს მოადუნით ყურადღებას!.. აბა, წარმოიდგინეთ, რომ... უწყვეტად, უწყვეტად ცხოვრობთ სხვათა ცხოვრებით... მაგრამ არა აბლომების ყოველდღირობითი, არა, არასოდეს! მე ეს არ შემძლია! მაშინ თავს ცუდად ვგრძობ. დისკომფორტულად. მაგრამ, აი, უცნობ ადამიანი ცხოვრების წარმოსახვისას შინაგანად ვთავისუფლდები. არა, ეს ჩემი ახირება არ გგონოთ! მეტყობ, ვაკვირდები ამა თუ იმ სავანის გარეგნულ სახეცეცილებს. თქვენ რომ იცოდეთ, ამისთვის რამდენს ან როგორ ვმუშაობ;



მანამდე, ვიდრე ყველაფერს ბოლომდე ჩაერედებოდა. როცა ვაკვირდები ამა თუ იმ სახლს, წარმოსახვით უკვე იქ ვცხრობი, უკვე იმ გარემოში ვუსუნთქავ, ვიდრე იქ ბოლომდე შევალბნებ, ბოლომდე ყველაფერს არ შევიგრძნობ... იცით, ეს განსაკუთრებული სამყაროა, სამყარო, რომელსაც ბადავს თითოეული სახლი. თქვენი, ჩემი სახლი... მაგრამ საკუთარ სახლში ამდგავარს ვერაფერს იგრძნობ; იმიტომ, რომ იქ ჩვენივე ცხოვრება ფეხქაფს, სუნთქავს. ხომ გესმით ჩემი? ვხედავ, მეთანხმებით.

— დაახ, იმიტომ, რომ... ახლა იმას ვფიქრობ, რამდენად სასიამოვნოა წარმოსახვითი სიმრავლე...  
— სასიამოვნოა? ჩემთვის?  
— დაახ... მე ასე მგონია...  
— შეგიძლიათ დამიხსენოთ, რა სიამოვნებაზე მეღაპარაკებოთ? ისე, როდისმე თუ მისულხართ ცნობილი ექიმთან კონსულტაციისათვის?

— მე? არა!... ან რატომ? ცუდად სულაც არ ვგრძობ თავს.  
— არა, არა! იმიტომ შეგეკითხეთ, მაინტერესებდა, ყოფილხართ თუ არა ოდესმე ექიმის მისალმებით, იმ ოთახში, სადაც პაციენტი წამოინიჭებია ვოლოდგარა.

— ა... დაახ, ერთხელ გავვეცი ჩემს შვილს... ნერვები ანუხებდა.

— ძალიან კარგი; სხვა არც მაინტერესებდა, მხოლოდ ამის გაკეთება მინდოდა. მითხარით, აკვირდება შერე ვინმე იმ მოსაცდელ ოთახს? შუტი ფერის ავეჯს, ძველ-მოდურს, დალიანდავებულ სკამებს, უფრო ხშირად, დამტვრეულს, პატარა უსახურ საფარძლებს. ეს ავეჯი ვადაწყვიდეულისგანა შექმნილი და შერე პაციენტებისთვის გამეტყულო. ეს ავეჯი ამ სახლის ნაწილი არაა. დიდად პატივსაცემულ ექიმს თავისთვის და თავისი ქალბატონის მეგობრებისთვის მოწყობილი აქვს სულ სხვა მისაღები — მდიდრული, მშვენიერი დარბაზი. ვინ იცის, იქნებ ამ ოთახიდან ნამოუღებელი სკამები და საფარძლები პაციენტების მოსაცდელ ოთახში რომ დაგვედგა, მათაც დაეწყითა ქრჩინი. ძალიან მაინტერესებს, როდესაც თქვენს შვილს გაყვითლ ექიმთან, დააკვირდით თუ არა სკამებს, საფარძლებს, მოსაცდელში რომ იდგა?

— მე? არა. მართალი გითხარა...!

— დაახ, იმიტომ, რომ ვადა არასოდეს ყოფილხართ... მაგრამ არც პაციენტები აქცევენ ამას არანაირ ყურადღებას. მათ მხოლოდ ავადაწყვიტება ატევენ. ზოგჯერ, ფიქრებით ნასული, შეიძლება თავის თითქმისაც აკვირდებოდნენ... და ამ დროს ვერ ამჩვენებს საფარძლის გაქცეულ სახელურებს. მხოლოდ ფიქრებზე და ვერაფერს ამჩვენებ. ან მაშინ რა განწყობა გვეუფლება, როცა უკვე ვტოვებთ ექიმის კაბინეტს,

როცა ისევ გავდივართ მოსაცდელ ოთახს, ისევ ვხედავთ საფარძელს, რომელზეც ცოტა ხნის წინათ ვიჯექით გაურკვეველი დიაგნოზის მოლოდინით გაბრუნებულნი. მაგრამ ამჯერად იმ საფარძელში უკვე სხვა პაციენტია. ან სულაც ხედავ ცარიელს, რომელიც ისევ ავადაწყვიტეს ექიმმა. თუშეა რაზე ვსაუბრობდით? პო... წარმოსახვის სიამოვნებაზე... ისე, არც მე ვიცი, რატომ ვიღაპარაკე ანდენი ექიმის მოსაცდელი ოთახის სკამებსა და მომოდინე პაციენტების შესახებ.

— დაახ, მართალი გითხრათ...  
— ვერაფერი გაიგეთ, არა?!

ვერც მე... ადამიანთა შეხედულებებში ერთმანეთთან პირადი შეგრძნებებით განსხვავდება. გარესამყაროს თითოეული საკუთარი „მე“—დან შეიმდგენება.

ამ ანალოგიებზე ალოგიკური არაფერია. მაგრამ მათ შორის კაშპირი მანც შეიძლება იყოს. განა სიამოვნებას არ მოგანიჭებთ სკამებზე ფიქრი, ან იმაზე, თუ ვინ იქნება ის პაციენტი, რომელიც თქვენს შემდეგ მოვა ექიმის მოსაცდელ ოთახში? რა არის იმაში ცუდი? ან სად ნაღ, რას სახლს ანის შემდეგ? თითქოს რა სიამოვნებაა, მაგრამ მოდის ბევრი პაციენტი და მე ხშირად ვაკვირდები მათ, მათ სულაც სკამებსაც, რომლებსაც ისინი იკავენ. ხომ ხედავთ, ჩვენი საქციელი ერთმანეთს ჩამოჰკავს. ახლა ამით ვარ დაკავებული. შერე სხვა რამით შევიტყვე თავს. აი, ამ ნუთში, მაგალითად, მე თქვენი თუ ვარ დაკავებული. და, გგონიათ, არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებს მატარებელი, რომელმაც გავასრულეთ? ან ის ოჯახი, რომელიც გულდობნა? ან ის მოუსვენრობა, რომელიც სახეზე განერიათ?

— ემ, მართალი ბრძანდებით...!

— იცხვართ უფლის მადლიერი, რომ მოუსვენრობა გჭირთ. ბევრს, ჩემო ბატონო, თქვენზე მეტი უსიამოვნება შემთხვევია. გიმეორებთ, ჩემთვის აუცილებელია უცნობთა ცხოვრების წარმოსახვა. მე ეს არა რამეა მასზე და არც რამეა მაინტრიგებს... არამედ, ისე... მინდა მოუსვენრობა შევიგრძნო, ავხსნა ათასი სისუფლე, ვიმსჯელო ნუთისოფლის ამოუბნაზე. ამასთან, ცხოვრება იმდენად დიდი რამეა, ვერაფერ იტყვის, ოდესმე დასრულდებაო. იცით, ამას როგორ ვგრძნობ? ცალკეული მინიშნებებით. ჩემო ბატონო, მართალი არ ვიცი, რისზე შედგება ცხოვრება, მაგრამ არის ის რაღაცა, რასაც ჩვენ ყველამ მომდგარ ბოლმას ვეძებთ. ვერასდროს ვტყუებით ამ ნუთისოფლის სიაშით, ვერასდროს ვგვაყოფილებით. და ეს იმიტომ, რომ თვით ცხოვრებაა მუდმივად



მხატვარი მალხაზ იაშვილი



გაუმადლარი. ჩვენ არ ძალგვიძს, შევიგრძნოთ მისი გემო. ცხოვრების ფასი მხოლოდ ნარსულშია, ჩვენშია. ცხოვრების ავ-კარგი ჩვენს მოგონებებთანაა. რა მოგონებებთან? ათას სისულელესთან, უაზრო ოცნებებთან, უინტერესო საქმიანობებთან. დიახ, დიახ, ის, რაც ახლა ხდება, ესეც სისულელეა... ის, რაც ახლა ხდება, მხოლოდ მოსაპებრებელია... იქამდეც კი მივდივარ, რომ ყოველივე უბედურებად ვნათლავ, ნამდვილ უბედურებად. დიახ, დიახ, ჩემო ბატონო, ოთხი, ხუთი ან ათი წლის შემდეგ განა რა გემოს ჩაატანთ ამ ცხოვრებას, რა გემოს, რა ცრემლებს?.. დღმერთო ჩემო... განსაკუთრებით მაშინ, როცა გადიხარ ამ ნუთისოფლიდან, როცა იცი, რომ დღეები დათვლილია... აი, ხედავთ? ხედავთ, იქით, იმ კუთხეში ნაღვლიანი ქალის სილუეტს? თუმცა უკვე დაიშალა!

- როგორ? ვინ... ვინ არაა და რა...?
- ვერ დაინახეთ? დაიშალა.
- ქალი?
- დიახ, ჩემი ცოლია.
- ოპ! თქვენი ქალბატონი?

— გამუდმებით ასე მითვალთვალებს შორიდან. დამიჯერეთ, მივიღოთ და სიამოვნებით შევდგებოდი ფეხებითაც. მაგრამ, ვიცი, ახრი არ აქვს. ახეზარი ტუნა ძაღლივითაა. რაც უფრო ურტყამ, მით მეტად გვეკრის და გებლანდება ფეხებში. ვერც კი წარმოიდგინო, როგორ აქვს იმ დღედაცენს ვიღებდა შერყეული არც ჭამს, არც სინჯას და დღედაღამ შორიდან მითვალთვალებს. სჯობს, იზრუნოს საკუთარ თავზე, მოისრლოს ჯვანი ფოსონტები, გამოიკვლოს ტანსაცმელი. ქალს კი არა, მომწარულ ტილოს აჭავს. თავი მიიწვ დაიბანოს. არადა, ჯერ მხოლოდ ოცდაათობნებტისაა. ვერც კი წარმოიდგენო, რამდენად მაღლიზანებს. რამდენჯერ მიმოხილა პირში უხემადა, შე ჩრდილო-მეთიო. არ შეპასუდება. ადგას და მიყურებს ისეთი თვალებით, გვეცხვებით, ცხოველური ძინი მიპყრობს, მივანროო კიდეც. ახლაც თქვენს ნასულას ელდებდა, რომ ისევე გააგრძელოს თვალთვალი. აი, შეხედეთ...

- სანყალი ქალბატონი...
- სანყალი ქალბატონი?! ჩემი არ გესმით? სურს, რომ ჩავივტო მინ და დავემორჩილო მის ნება-სურვილს. შევიწარწწო სიმშვიდე და სამუალება მიცეც, იზრუნოს ჩემზე, იყოს თბილი და მოსიყვარულე მუელულ. ის ხომ თავისი კომნა, დაღვანებული ოთახებითაც ტყუბებს; სუფთა ავეჯით, ისეთი სიწუმით, რომელსაც მხოლოდ ქანქარაინი საათის ნიკიტი თუ არღვევს... სწორედაც ეს უნდა! და გვიფიქრობო, გაუგეთ რაზე ამ სიგეფს? მაგრამ, რას ვამბობ? რ! ის სიგიფე? ეს ყველაფერი საშინელი უაზრობაა. გთხოვთ, მიპასუხოთ: შეიძლება ავეწვანოს ან შექნას მცხოვრებელმა ნინისნარ შეიტყონ, რომ მოსალოდნელია მინისებრა და ამის მერე შეიწარწწონ სიმშვიდე, ისეინონ ქაჭრებით, ქალკის მოედნებზე? აბა, წარმოიდგინეთ: ამის შემდეგ ავეწვანოლები და მუსიკლები მშვიდად გაიხდები ტანსაცმელს, დაკეცავენ კიდეც, ფესაცემლსაც გაიძრობენ და აუღლებულად ნაველენ დასაძინებლად; ზნების ქათაქათა ფერც კი სიამოვნებას მიანიჭებთ. თუმცა გააზრებულნი ექნებათ, რომ სულ რამდენიმე საათში ყველანი დაიხრცე-ბანა. ნუთუ ეს შესაძლებლად მიგაჩნით?
- ვფიქრობ, თქვენი ქალბატონი...

— ბოლომდე მათქმევინეთ, ჩემო ბატონო! წარმოიდგინეთ, სიკვდილი რომ უტუნაური, საძაგელი მწეროთი იყოს და ვიკავი ამ მოულოდნელად მზარზე დაჯარო... მერე თქვენ ქუჩაში გაიარეთ და უკვე სხვამ გვაჯაროთ: უკაცრავად, ნებას მომცემთ? იცით, ჩემო ბატონო, რომ მსხუტულ სიკვდილი გახვით?! მერე ფრთხილად, აი, ასე, ორი თითით აიღოს და მოისრლოს ჯანდაბაში... ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა, მაგრამ სიკვდილი არ ჰქავს იმ საშინელ მწერს!.. არადა, უამრავ ადამიანს, რომელსაც ქუჩაში მშვიდად და ლალად მისეინრობს, მზარზე სიკვდილი ახს. მათ მხოლოდ ხვალისდელი, ზეინდელი, მომდევნო დღეების საზრუნავი ადარდებთ და ამ დროს ვერავინ ამჩნევს მათ მზრებზე დასკუპებულ სიკვდილს. ახლა კი, ჩემო ბატონო, მომიახლოდით... აქ მოდით, ას... ლამპიონის შუქთან მოდით... ერთ რაღაცა გიჩვენებთ. აი, აქ მიყურეთ, ულუაშების ქვევით. ხედავთ ისაშინისფერ ღარს? იცით, ამას რა ჰქვია? ემ, მას ძალზე ტკბილი სახელი აქვს. ხო, კარაშელზე უფრო ტკბილი. ემიტლიომა ჰქვია. გაიმეორეთ, გაიმეორეთ ეს სახელი და, მერნმუნეთ, სიტკობებას თქვენც იგრძნობთ: ე-პი-ტე-ლი-ო-მა. გესმით, მე სიკვდილმა ჩამიარა?! შემეტნა პირში ისაშინისფერი ყვავილი და გამაფრთხილა: ძიწრფასო, რვა ან ათ თვეში ისევე გესტუმრები. ახლა მიპასუდით, შემშიღა პირში ყვავილარქომბილი მშვიდად ვიჯდე მინ, ისე, როგორც ეს ჩემს წყეულ ქალბატონს სურს? როცა ვეკითხები, გინდა თუ არა, გააკოცო-მეთი, მპასუბობს, ხო, მაკოცო... იცით, კიდეც რა ჩაიინდა? ნინა კვირას ტუჩი ჩემით გაიკანრა და ღამის გაბურღა ტყინი: უნდოდა, რომ ზღვითი ეკოცნა... ხო, ტუჩებში ეკოცნა ვერ ისევენებს, გამუდმებით გაიძახის, რომ ჩემთან ერთად უნდა სიკვდილი. ნამდვილი გიჟია. მე შინ ვერ გავერდები. ჩემთვის აუცილებელია, ვიკდე მალახლის სარკულთან და დავაკვირდე ახალგაზრდა გამყიდველთა ოსტატობას. იმიტომ, ნამითაც რომ ვიგრძნო სიცარულიე, აი, აქ, შინგან, აუღლებელად მოვკლავ ვიღაცას. სრულიად უცნობ ადამიანს, დავადრო იარღლს და მიოკლავ, თუნდაც თვეწინისგან, რომელსაც მატარებელმა გაასწრო... არა, არა, წე გეშინიათ, ჩემო მეგობარო! მლდე დაგანებებთ თავს. თუ რამეა, თავს მე მოვიკლავ... არადა, ახლა როგორ გემეოცნა გარგარო!.. თქვენ როგორ ქამთ მას? კანიინდა, ხომ მართალი ვარ? შუახ რომ ხლენი ორი თითით... უჰ, უჰ, რა ვემეოცნა! მოიკითხეთ ჩემგან თქვენი ქალბატონი და შეკლები. მე მათ თეთრ თუ ცისფერ ტანსაცმელში გამოწყობილებს ვხედავ. მინდორში სხედან, ჩრდილქვეშ. ვიცი, უზომოდ კმაყოფილი ვიქნები, როდესაც წარმოვიდგენ, ხვალ დღლით როგორ ჩახვალთ მათთან. ქალკი სადგურიდან ცოტა შორს იქნება. გამთენიისას გაისყრებთ ქალკამდე. ალბათ, ბუჭქარსაც ჩაუღლები. გთხოვთ, ჩემს მაგიერად დათვალთ მწვანე მწკრივი. იცოდეთ, რამდენი რიგაც იქნება, ზუსტად იმდენ დღეს ვიცოცხლებ. რაც შეიძლება გაზლილი წარგავი ამოარჩიეთ. აბა, თქვენ იცით. ღამე მშვიდობისა, ჩემო მეგობარო...

იტალიურიდან თარგმნა  
თორნიკე მსხლიაძე

ბანდელშტამი და კოტეტიშვილი

„ფრანგებს ფიროსმანა-სკოლის არსებობა რომ შეეჭყობო, საქართველოში ჩამოვიდოდნენ ფიერერის სახსავლად“, — წერდა 1921 წელს ოსიპ მანდელშტამი.

ფიროსმანის გაცნობას არც ქართული ენის ცოდნა სჭირდება და არც ხანგრძლივი ეიზიტები საქართველოში, მაგრამ განაგასაკვირი არაა, რომ დიდებული რუსი პოეტი, ვისაც ქართულის იწიპ-ბინი არ გაეგება და ქართულ პოეზიას მკვერედებით ეცნობა, იმანად მარტოოდენ რჩეულთათვის მისაწვდომ შემოპირიქებას წარმოთქვამს: „თანამედროვე ქართული ხელოვნების კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც ვერაპულ ფსევდობათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ, გახლავთ ვაგა-ფშავლა“.

1920 წელს ყირიმიდან თეთრებს გამოქვეული მანდელშტამი ბათუმში მენდელიკურმა ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც ბოლშევიკთა აგენტს. შემთხვევით იქ მყოფმა ტიციაჩ ტაბიტემ და ნიკოლოზ მინიშვილმა იხსენეს საპატიმროში.

1921 წლის ზაფხულში ხელმწიფრედ ეწვია საქართველოს და ნახევარი წელიწადი გადატარა მზორი და სტუმართმოყვარე ცის ქვეშ. გულითადად მისაპირილობა გუგინეს თილისსი. დაბინძურდა, კარგად ამქვედნენ და ასმეცდნენ, ექსკურსიებზე ატარებდნენ ქალაქში და ქალაქგარეთ — აი, სიონი; აი, სვეტიცხოველი; აი, ჯვრის მონასტერი (ლერმონტოვის „მწირი“ ხომ დახსოვსო?). საძმელ-სასმელთან ერთად სულერს საზრდოსაც გულუხვად უწილადებდნენ და ანათლებდნენ: აგერ, ეს ფიროსმანია, ეს კიდევ — ვაგაო.

ფრიად მაღლიერი ვართ, რომ ესოდენ მაღალ კვარცხლბეკზე, როგორც ეკადრებოდა, ატყორცნა ორი ჩვენი საამაჟო დიფოსტატი, მაგრამ ნეტავი რატომ ჯავრობდა, როდესაც გულახილად აუწყებდნენ: მე ვარ ქართველი, მამასადავ — ევროპელიო.

აიღო და ეგება თავიდან კასრში ერთი კოვზი კუმრიც ჩაინთია: ამგვამდ საქართველოში ასე ღალადებენ: შორს აღმოსავლეთისგან, მივბრუნვით დასავლეთისკენ! ჩვენ აზიატები არა ვართ, ჩვენა ვართ ევროპელები, პარიზელები!

მანდელშტამი ამგვარ ღალადის მოწინედა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის მიამიტიობად.

დახებ, არ მოეწონა ჩვენი ღტოლვა ევროპისაკენ, ოდითგანვე რომ მივდგამიდა. ნეტავი ვინ ეკითხებოდა, ევროპელები ვართ თუ აზიატები. რას გვეჩვენა, რას გვაშინებოდა?

როგორ ზედვადა, ჭკუა დაერიგებინა იმ ქვეყნისათვის, რომლის ზურგსუკან ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია აღმართულა და მერე როგორ ისტორია — ევროპასაც რომ შემოურდებოდა და ამერიკასაც!

მანდელშტამი კი გვიკვირებდა: „თქვენ არც დასავლეთი ხართ და არც აღმოსავლეთი, არც პარიზი და არც პალადა... გაუფრთხილდით თქვენს ბელოვნებას, რომელ-



ვახტანგ კოტეტიშვილი



ოსიპ მანდელშტამი

იც მინაში ჩამარხულ ქვეყნს მოვავაზონებს“.

ქართველებად გაგვიჩინაო! ერთი სიტყვით, გვირძაღვდა ვეროპაში ფანჯრის გაჭრას.

ტიციან ტაბიტემ საკადრისი პასუხი გასცა ამ არამკითხვე მოამბეს და „რუსული პოეზიის ხელსტაკივი“ უწოდა.

იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს ოსიპ მანდელშტამი (1891-1938) და ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1937)?

არ არის გამორიცხული, რომ ცისფერ-ყანწელთა გარემოცვაში მყოფ სტუმარს კოტეტიშვილიც გაეცნო, მაგრამ ამას გადაამწყვეტ მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ რუსი პოეტისა და ქართველი მკვლევარის მოსაზრებანი შემოხრებულ საკითხზე საოცრად ემთხვევა ერთმანეთს.

ვახტანგ კოტეტიშვილი თავის ესეიში, რომელიც 1920 წელს დაუბეჭდავს ასეთი სათაურით „აზიისკენ“, შემოფთებით წერდა: „ევროპამ შეგეშალა და ალბათ ნავექლის კიდევ, თუ ასე ვაგვრძელდა. აზიაში მყოფნი, ევროპიდან ეუშუერდით აზიის. მიტომ ჩავგიპრა შემოქმედება, მკვდარ მინამაძველობამ კი დაგვანსულა“.

გავერთოვლების ნადილმა ფსიქოზის ხასიათი მიიღო, — ამბობდა ქართველი ავტორი.

ირონიულად აღნიშნავდა: ბინოკლი ევროპას დიდად გვაჩვენებს და აზიას — პატარადა.

ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, გოეთეს მთავარ-სარდლობით, აღმოსავლეთისაკენ მისინრაფოდნენ ფიქრებში, ჩვენი პატარა-პუტარები კი თავჩალუნუნდნი ევროპისაკენ გარბიანო.

და მერე ასკვნიდა: „ახალი თაობა ისევ აზიის შარავზას უნდა გაუღებო“.

რუმი, შაჟეფი, დერიჟითა გლობა, მუქინების ყივილი, მოგვები, მისნები, ბრამინები, მუტრინი — ბუჯითაღ ჩამოთვლის აღმოსავლეთის კოლორიტულ ფუნონენებს. „ან სად იყოდნენ ისეთი ღრმა სუფაიანობა, ან ისეთი მწვევე ფიქრი და თავდავიწყებითი ჭვრეტა, როგორც აღმოსავლეთში?“ — წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი.

თვისტომთ მოუწონებდა: უკან აზიისაკენ, წინ წასასვლელადო.

როგორც ვხედავთ, ცხრა მთას იქიდან ჩამობეჭტულ ვაბატკონს ორად ორი ქართველი გაკაპავს ევროპულ ორიბეჭტად, დანარჩენებს კი ტუქსავს, სად მიჯლეგინობთ, თქვენს კანში დაიტეიოთ.

მაგრამ როდესაც ჩვენი სისხლბორცი, სამაგალითო ქართველი კაცი, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალაშინი მკვლევარი, გამორჩეული ფოლკლორისტი, იმავს ამბობს, რასაც „რუსული პოეზიის ხელსტაკივი“, რა უნდა ვიღონოთ, რა წყალში გადავიცხოვროთ?!

### თავი რატომ არ მიიქლავ

გერმანელი ფელდმარშალი ფრიდრიხ პაულუსის ის კაცი იყო, რომელმაც დაწერილობით იცოდა ყველაფერი, რაც ეხებოდა მიტლერული გერმანის მზადებას. დიას, ყველაფერი მოკვდა, ვინაღაც მას ეჭირა გენერალური შტაბის უფროსის იოვადილის მოსტე და პირდაპირ მონაწილეობდა „ბარბაროსის გეგმის“ დაშუქებაში.

ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ნიურნბერგის პროცესზე გერმანელმა ადვოკატებმა ერთსულგონი პროტესტით მიმართეს საერთაშორისო ტრიბუნალს, როდესაც საბჭოთა ბრალმდებელმა დააპირა ნაკეთობა ჩვენებები პაულუსისა. ბრძოლა ბრალდებულთა დაცვამ მოითხოვა ხსენებული მოწინა გამოცხადება ნიურნბერგის პროცესზე. მოსკოვში ჩვენებების მიცემა ერთია და აქ, თავისი ყოფილი უფროსებისა და მეგობრების პირისპირ, დანაშაულის აღიარება სულ სხვა არისო.

საერთაშორისო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, ინგლისელმა ლორდმა ლორენსმა პკითა მხოლოდ საბრალმდებელს, რა დრო სჭირდებოდა მოწინა გამოცხადებაში პროცესზე და მოვლენიერი პასუხი მიიღო: ხუთიოდე წუთი — ფელდმარშალი პაულუსი საბჭოთა დელეგაციის აპარტამენტებში იმყოფებოდა.

პაულუსის დაკითხვამ გააქარწყლა ადვოკატთა მცდელობა, რომ მიტლერის გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ნიჟინით პრევენტივ ომად. პაულუსმა ყველაფერი დაფტვა, ყველაფერი.

გამართლდა ათაღვ ჰიტლერის ნინასამრმეტყველება, ნარშითქელი 1943 წლის 1 თებერვალს, როდესაც შეტყვევს მე-6 არმიის კაპიტულაცია სტალინგრადში და პაულუსის ტყვედ ჩაეგდებინა. მიტლერმა ბრძანა: ახლა ლუბიანკაზე დაიღვებოდა ჩვენებები ვირთისების ლუკმად და ერთი კვირაც არ გავიღოს, რომ პაულუსი საბჭოთა რადიოში გამოვალ.

ნაცისტური გერმანიის ფიურერი მახლობლად ვადებში შევიკალა. რადიოგამოსვლა პაულუსისა მოხდა ცოტა მოგვიანებით — იმავე წლის 28 მარტს.

მიტლერი განცვიფრებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა ტყვეობა აშკარაბინა თვითმკვლელობას. ამ ერთი კაცის ლაჩრობას მრავალი ათეული ათასობით ჯარისკაცის, ოფიცრისა და გენერლის პერიოზში ნულამდე დაეკაცოს.

მიტლერის სიტყვიერი, მშვიდობიანი დროს გერმანიამ

ყოველწლიურად ოცი ათასი კაცი იკლავდა თავს (და ამ პაულუსის რა დამართაო?)

„რა არის სიცოცხლე? — მსჯელობს ფიურერი, — სიცოცხლე ესაა ნაცია. ინდივიდი ხომ მაინც უნდა მოკვდეს... თუკი ხერვები გლაღატობს, აღარაფერი გრჩება გარდა იმისა, რაც აღიარო, სიტუაციას თავს ველარ ვართმეყო, და შეუბღი ტყვედა დაიხალა. დიას, პაულუსის თავი უნდა მოკლა წარსულის მხედართმთავართა მსგავსად, რომლებიც თავიანთი ხმაზე ლე მგებოდნენ, როდესაც ზედადგნენ, რომ მათი საქმე ნასული იყო — როგორც ვარუსმა უბრძანა თავის მონას: ახლა კი მომკალიო!“

ვარუსმა თავი მოიკლა და პაულუსისაც იგივე უნდა ეწია. მიტლერმა, ჩანს, ჩინებულად იცოვდა ანტიკური ისტორია, ხოლო რომაელი მხედართმთავარი პულუსის კინტროლს ვარუსი იმიტომაც გაახსენებოდა, რომ იგი გერმანიის პროფინციის მმართველი იყო და დაიღვლა 9 წლის (ახალი ნელათორიციტეო) გერმანელ მემამოხებეთან ბრძოლაში.

სასტიკი ყოფილა ის ბრძოლა, სამი დღე და ღამე რომ გრძელდებოდა ტეტებორურგის ტყეში, კოსკარული ნივის ქვეშ. ვარუსი დაიჭრა, მაგრამ არ გატყვეულა ბრძოლის ველდან, და როცა კი მიხედა, რომ ბრძოლა ნაგებული იყო, დაუყოვნებლივ წამოიგო მახვილზე. დანარჩენმა მეთაურებმაც მიჰმაბეს.

რომაელთა მთელი არმია განადგურდა (სამი ლეგიონი ანუ 50 ათასი რომაელი მხედარი ჩანავ გერმანიის ნესტან მინაში).

გამარჯვებით მთვრალმა გერმანელებმა დახცილ მეთართა თავები ხეებზე ჩამოიყდეს, ხოლო დატყვევებულნი სიცოცხლეს გამოახალმეს. მერე მინაში სახელდახელოდ ჩაფლული გვამი ვარუსისა ამოხალეს, თავი მოკვეთეს და თავიანთი მმრძანებელს გაუგზავნეს.

რომის იმპერატორი ავეუსტეუს გაიღს ოქტავიანი შეტრუნებულნი იყო ამ დამარცხებულნი. რამდენიმე თვის განმავლობაში, გლოვის ნიშნად, თმა არ შეუტრეჭია, ნეერი არ გაუპარსხდა, თავს ახლიდა კედელს და მუხუარე ნიში გაკვროდა: „ოჰ, კინტილიუს ვარუს, დამბრუნებ ჩემი ლეგიონები!“

სადა იყო გენერალი ვარუსი... მისგან განსხვავებით, ფელდმარშალმა პაულუსმა სამარცხებინო ტყვეობა აშკარაბინა სახელკოვან სიკვდილს და ამით 14 წლის სიცოცხლე მოიგო. თოთბმეტი წელიწადი განა ცოტაა?!

### ქრონიკა

1 ივნისი, მინიდა ნინოს ქართლად შეშოსვლისა და ბავშვთა საერთაშორისო დღე, თანხმის რაოზის სკოლებმა, ბიბლიოთეკებმა და საბავშვო ბალებმა ლიტერატურული საღამოები აღნიშნეს.

მარნა გელოვანის საბუღალის პირველ საჯარო სკოლაში (დირექტორი ნათელა კოჭლამაშაშვილი) გამართულ ზეიმს დაესრულა ერწი-თანხმისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი თადეოზი.

„მედნიერი ვარ, რომ ვიმყოფებო მირნა გელოვანის მშობლიურ სკოლაში. ეს არის პოეტრი, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართული პოეზიის ისტორიაში. ის ნიშნდა გრმამობები და თავანკარა ქართული, რომელიც წყაროსაგით მოედინება მისი ლექსებიდან, ამ მინიდან, ამ წყალ-ჭალებიდან იღებს სათავეს და ამიტომ ეს არის საფუძველი როგორც ჩვენი სიამაყისა, ისე პასუხისმგებლობისა.“

ჩვენი დიდი პოეტის სახელი გვაგვადებულებს, ყოფი ღირსეული მოქალაქეობი, გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ენა და სარწმუნოება.“

მისწავლებლმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია ოლია ჭავჭავაძის „არდღის“, აგრეთვე რაფიელ ერისთავის, გლაკტიონ ტაბიძის, ოსებ ნონშვილისა და ანა კალანდაძის ლექსების თემაზე.

სოფელ ვებოტის ბავა-ბაღის (დირექტორი მარინა თოთაური) აღასარდებულმაც ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს — ოლინად მუფთე თადეოზის ლექსზე.


ერწი-თანხმის და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა, მუფთე თადეოზმა დალოცა ვებოტის ბავა-ბაღის აღსარდებულნი და მისწავლებლები და დადოდა გადაუფადა კეთილი მასმინდობისათვის.



ცირა ყურაშვილი

# „ბორიას“ საყვარო

(ნაგვიანვეი შობაქედილება)



„ბორიაი“ უბრწყინვალესი რომანია. ეცნობი უკვე ისტორიადქვეული კრიტიკულ მოსაზრებებს და გიკვირს მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურების მიმართ გამომქმული შეფასებები, რომელთაგან ზოგიერთი უფრო ბრალდებას ჰგავს.

ჩამათარებ და ისევ გადაფურცლავ რომანს, ან ემფატიკურმა „ა“-მ ან გამეორებებში, ტაქტოლოგიებში, სად დაადგეს თხრობის ტემპი, სად რა დააკლეს ხასიათების გამომძივნევა.

არა, ერთი ამოსუნთქვით ივითხება. მკითხველის უღრანეში შეყვანა და თხრობის მოდუნება კი არა, ტკივილისგან სუნთქვაც გეკვირს, გული გიკრძობება.

ტრაგიზმის ის ხარისხია, დიდი მწერლების შემოქმედებას რომ ჩვევია. და თუ ამ ტრაგიზმს შემოქმედების სხვა თავისებურებებთან ერთად რამე ღირებულება გააჩნია, თუნდაც ესთეტიკური, ეთიკური კუთხით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რომანის ღირებულება განუზომელია. ოთარ ჩხეიძის პერსონაჟთა ტრაგიზმი თუ აჭარბებს, თორემ არ ჩამორჩება მსოფლიო რანგის მწერლებისას.

უცებე ამოტივტივდება.

ორი ხელვანია, ხასიათით მეტ-ნაკლებად განსხვავებული, ერთი ფეტილი, მეორე გიროლი. ერთი კომპოზიტორია, მეორე მწერალი, დროც ითიქვის ერთია, ვითარებაც იმპავსებული, გარემო პირობებთან დაპირისპირებულაზც არ ავლია იმ შიორებს, შინაგანი ჭიდილიც ახასიათებს, მაგრამ ტრაგიზმის ხარისხი განსხვავებულია.

ოთარ ჩხეიძის ახალგაზრდა კომპოზიტორი ნიკუშა ჩაჩანიძე უფრო გარემოთა ჭიდილის მსხვერპლია. იგი, ძალადობრივი რევოიზის მიერ ფეხქვეშგაგადებული, იმედგადაწურული და ძალანართმული, აბსურდული ვითარებით ნაკვეთი ისტორიული ბედისწერის სამსვერპლოზე ეცემა, მაშინ, როცა

ჯოისის სტივენ დედალოსი შინაგანი ჭიდილით აღძრული ანტიკური ხანის მითოლოგიური მხატვრის - იკაროსის - მსგავსად ახერხებს ფრთები გაშლისხას და ცაში აიჭრას.

აი ნიწითი სტივენ დედალოსის მხატვრულ სახე ნაკლებად ჰგავს სტენდენ პირველმოამბის ხატს. ეს ხატი უფრო ნიკუშა ჩაჩანიძეზე ზედგამოჭრილი.

ხელოვანი კვდება იქ, სადაც ბორიაია, სადაც გახამებული ოთარ პერანგსა და შავ ბათოს მტვრის მანჩრითელა ბური ეფინება და ეს ძალადობრივი ეპოქა, აბსურდული, სამარცხ-ნილო რევოიზი იმხანურებს შურისძიების იმ ფორმას, რასაც ახალგაზრდა კომპოზიტორის აკვიტებული თანამაზგავრი, ლეკო თათაშელი მიმართავს, როცა ნიხვებით ჩამოიხრჩობს თავს.

ის რევიში რომ უმტიკენეულად არ გადაივლიდა, რომ იბარ-ტყემა და ვითომ კეთილმოსურნეობით, ვითომ ობიექტურობით სულს გაუმწარებდა მწერალს, რად უნდა თქმა. სად, რა არის გათავსებული, რომელ გვერდს შეუვლი, რომ გაბეზრებული მკითხველივით ჩქარ-ჩქარა გადააშალო, გაამბინინო და მორჩე.

უბრწყინვალესი რომანია.

დრო სამწრალო გალერეის საუკეთესო დიასახლისია, მან უნდა გამოკავოს, დააღაგოს... და, აი, ლავდება.

ამ გულისგამპობი ტრაგიზმით აღბეჭდილი რომანიდან, იმ იმედგაცრუებიდან, რასაც 1924 წლის აგვისტოს მოვლენები ჰქვია, ერთი პატარა ნათელი კონახე. შეყვებულად გაკრთება ქალის - თეკლას სახე - მცირე ნათელიც ქალურმა წიაღმა უნდა იკვირობს. მანამ კი ზეცისკენ აღმართული კოშკის ქონჭურებს ასაღება ამ ამაყი, ქვეყნის თავისუფლების დამკარგავი ქალის კიბული, ქონჭურებს ასაღება, ზეცაში ტრიალებს. და უცებ ამოტივტივდება ღინა გროუვის სახე რომანიდან „აგვისტოს ნათელი“. ამაყი, მშვიდი, უდრტიველი.

აქ ავდასახენებელი რევოიზი ყვეში წვდომია ოთარ ჩხეიძის პერსონაჟ ქალს - თეკლას, იქ კი, უთლიან ფოლკნერთან ყველაფერი მომართულია იმისათვის, რომ ღინა გროუვმა, ამ მშვიდმა, მწავარმა ახალგაზრდა ქალმა, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილმა, რომანის დასაწყისიდანვე რომ

გოპყრობს პიროვნული ღირსებით, ნებნიერად თუ არა, უდრტივე-ვლად მაინც იმოგზაუროს ალაბამაძან ტენისში. გევენება, თითქოს მწერალიც ხელს უწეფის ქალს, რათა თავისი განუთერ-ებული დიონება არ დამკარგოს, არ ამოვარდეს, სახე შეინარჩუნოს. არა, ფოლკნერთან მსგავსი ავბედითობის ვეკალი არ ჩანს, თუცა დაბოინობირებულნიც არიან სხვებთან, საკუთარ თავთანაც, მოკლულიც არის, დამამაშვეც, მღვდელყოფილიც, მითკებულები, უშიდოდ შეყვარებულნიც...

არა, ტრაგიზმის ის ხარისხი არ არის.

ქალელი კი როგორ ჰგვანან ერთმანეთს.

„ბორიაი“ ბრწყინვალე რომანია.

მითუმეტეს. უნდა გავიგოროთ, თუ ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი ასე დროულად იქმნება თეიმურაზ დოიაშვილის ღრმად გააზრებული იდეის საფუძველზე. უნდა ვიგუ-ლისხმოთ, რომ მკვლევარიც არ მოაკლდება ამ საქმეს სანიტურესო წიაღებში, სანიტურესო პარალელბასაც უნდა ეწოდოდოთ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მკვლევარებს ის გზებიც არ მოაკლდებათ, რა განებითაც იქმნებოდა ოთარ ჩხეიძის შემოქმედება.

მის უფრო, თუ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „აგვისტოს შვილები“ უკვე ჩვენს ხელთაა.



საქართველოს

დავით მუხომბერიძე